

811.353.1'282

5-30

ქმის სახელმწიფო მუზეუმის სახელმწიფო კვლევითი ინსტიტუტი

კ. ჯაფარიძე

გურული დიალექტი

I

გაქსვები
დექსიკონის შესავალი

თბილისი 1977

811.953.1282 5-30

აღ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო კვლავიერობის ინსტიტუტი

პ. ჯავახიანიძე

ბურული დიალექტი

I.

გეგმვა

დემსიკონის მასალები

საქართველოს
 სახელმწიფო უნივერსიტეტი
 ლინგვისტიკის ინსტიტუტი
 ბურული დიალექტი
 № 53054

3. ჯაჭანიძის „გურული დიალექტი, I, ტექსტები, ლექსიკონის მასალები“ მოიცავს ავტორის მიერ ჩაწერილ და გულდასმით შემოწმებულ ტექსტებსა და სალექსიკონო მასალას.


ტექსტები მნიშვნელოვანია დიალექტოლოგიური თვალსაზრისით, ამავე დროს ფოლკლორისტიკისათვისაც.

ლექსიკონში მოხდა ისეთი სიტყვები, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე უცნობი იყო, ან განსხვავებული მნიშვნელობა აქვს.

„გურული დიალექტი“ დაზარებს გაუწევს სპეციალისტებსა და ფილოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებს.

გვ. 62

რედაქტორი ა. კვიციანი



წინასიტყვა

დიალექტები სალიტერატურო ენის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების დაუშრეტელი წყაროა. ენის ისტორიამ არა ერთი მაგალითი იცის, როცა დიალექტების ზოგი ლექსიკური ერთეული და გრამატიკული წყობის ესა თუ ის ელემენტი საერთო-სახალხო ენის კუთვნილებად ქცეულა. სალიტერატურო ენასა და დიალექტებს შორის მჭიდრო კავშირი განსაკუთრებით მკვეთრად ლექსიკის სფეროში იგრძნობა. სალიტერატურო ენა დიალექტების ლექსიკიდან იღებს ისეთ ერთეულებს, რომელთა შესატყვისი თვითონ მას არ მოეპოვება, ან სიტყვის მნიშვნელობის ნაირსახეობის შესაქმნელად არის აუცილებელი.

ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკის ოქროს ფონდის რეზერვს შენახვა და დაცვა გადაუდებელს ხდის დიალექტების ლექსიკური შედგენილობის სრულყოფილად აღნუსხვას — დიალექტური ლექსიკონების შედგენის აუცილებლობას. ეს მეტად სასწრაფო და პირველი რიგის ამოცანაა ქართული ენათმეცნიერების სხვა პრობლემათა შორის ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მიმდინარე ეტაპზე. რადგან ის ღონისძიებანი, რომელთაც კომუნიზმის მშენებელი ქვეყანა ატარებს განათლებისა და კულტურის ფრონტზე, დიალექტურ მეტყველებას, საზოგადოდ დიალექტებს, საფუძველს აცლის, სრული გაქრობით ემუქრება. ამასთან ერთად უფროსი თაობის სიკვდილიც დიდი დანაკლისია: ბევრი უნიკალური სიტყვა და გრამატიკული ფორმა შეიძლება გაუჩინარდეს ამ გზით.

დიალექტური ლექსიკა ისევე ამოუწურავია, როგორც საერთო-სახალხო ენისა. მაგრამ ენათმეცნიერების თავდადებული და მოუწყინარი შრომით მაინც შეიძლება ყოველი კილოს ლექსიკის მაქსიმუმის ფიქსაცია, სათანადო კონტექსტში აღნუსხვა და ამ გზით მისი გადარჩენა, შენახვა. ეს იმავე დროს დიდად შეუწყობს ხელს

ქართული ენის გრამატიკული წყობის, მისი განვითარების ისტორიის ზოგი საკითხის დაზუსტებასაც: სიტყვა მნიშვნელობაც არის და ფორმაც ყოველი ენისათვის.

გურული დიალექტის ასე თუ ისე მოლიანი და სრულყოფილი ლექსიკონი არ არსებობს, ცნობილია მხოლოდ მისი ეპიზოდური მასალები: ეგნ. ნინოშვილის თხზულებებიდან ამოკრებილი სიტყვების განმარტება მოცემელი აქვთ — თ. კიკვაძეს (ლექსიკონი ეგნ. ნინოშვილის თხზულებათა-საიუბილეო გამოცემისა, თბილისი, 1924 და სიმ. ხუნდაძის რედაქციით გამოსულ თხზულებათა სრული კრებულის 1-11 ტომისა, ტფილისი, 1932), ქ. ლომთათიძეს („პარტახის“ ლექსიკონი, ეგნ. ნინოშვილი, პარტახი პროფ. ა. შანიძის რედაქციით, ტფილისი, 1935). გურული ლექსიკონის საინტერესო მასალები ახლავს ალ. დლონტის მიერ გამოცემულ გურულ ტექსტებს (ალ. დლონტი, გურული ფოლკლორი, I, თბ., 1937).

1936 წელს გამოვიდა ს. ყდენტის „გურული კილო“ (გამოკვლევა, ტექსტები, ლექსიკონი). „გურული კილოს“ ლექსიკონი მხოლოდ ამ წიგნში შეტანილი ტექსტების სიტყვათა განმარტებას იძლევა.

როგორც ცნობილია, გურული კილოს ყველაზე უფრო სრული ლექსიკონი შეადგინა დამსახურებულმა მასწავლებელმა გიგო შარაშიძემ (ქართველურ ენათა ლექსიკა, I, 1938). როველიც თითქმის სამოც წელს მოღვაწეობდა პედაგოგიურ ასპარეზზე გურიაში და ზედმიწევნით კარგად იცნობდა გურიის ყველა კუთხეს, მის ეთნოგრაფიას, ენას, ისტორიას — წარსულსა და აწმყოს. გურული დიალექტის ლექსიკონის მასალები გამოსცა ამ წიგნის ავტორმაც (პ. ჯაჭანიძე, მასალები გურული ლექსიკონისათვის: ქუთაისის პედაგოგიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. მე-17, 1957). „ქართულ დიალექტოლოგიაში“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I. დიალექტთა მიმოხილვა, ტექსტები, ლექსიკონი, თბილისი, 1961) შეტანილი გურული ტექსტების ლექსიკონი შეადგინა ი. გიგინეიშვილმა. გურულის ლექსიკონის მასალები უხვად არის წარმოდგენილი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც. გურული ლექსიკონისათვის საინტერესო მასალაა ი. მეგრელიძის შრომაში. მოკლე (აჭარული) ლექსიკონი წიგნში ვ. ი. ნოდაიძე, ნარკვევები და ჩანაწერები, I, ბათუმი, 1971 გურულის ბევრი უცნობი სიტყვა შეიტანა „ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში“ (I-II) ალ. დლონტმა.

გურული დიალექტის შესწავლის პროცესში არა მარტო გავეცანით გურული ხალხის ცხოვრებას, ენას, ისტორიას, ისტორიულ ძეგლებს, არამედ დიდძალი ენათმეცნიერული და სალექსიკონო მასალა ჩავიწერეთ. ექვსიათასზე მეტი სიტყვა მოხვდა ამ ჩანაწერებში.

წინამდებარე ნაშრომში შედის გურული დიალექტის ტექსტები* და 2500-ზე მეტი ლექსიკური ერთეული, რომელთა დიდი უმრავლესობა სულ უცნობია, ზოგი სიტყვის განსხვავებული მნიშვნელობა დადასტურებული. იშვიათად გურულის სხვა ლექსიკონებში არსებული სიტყვათა შეტანილი, მაგრამ ამ შემთხვევაში საკითხს წყვეტდა საილუსტრაციო მასალა, რომელიც ყოველ სიტყვას ახლავს. შრომის ერთი მთავარი უპირატესობა მაინც ისაა, რომ მითითებულია სიტყვის ხმარების ადგილი—სოფელი (ზოგჯერ ორი სოფელიც კი).

ვფიქრობთ, რომ აქ წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები გურულის მთლიანი ლექსიკონის მასალად გამოდგება.

ტექსტები წარმოდგენილია ზუსტად იმ სახით, როგორადაც ჩავიწერეთ მთქმელებისაგან. გარკვეული მოსაზრებით, არ შეგვიცვლია ჩვენი ჩანაწერების არც ფორმა და არც მისამართების მაშინდელი დაწერილობა.

დიალექტურ მონაცემთა პარალელურად სალიტერატურო ენის ფორმებიცაა ტექსტებში, მაგრამ ეს იმაზე კი არ მიუთითებს, რომ სიზუსტე აკლდეს ჩანაწერებს, არამედ სწორედ საწინააღმდეგო ვითარებას განახავს, თუ გურული კილოს თანამედროვე მდგომარეობას ობიექტურად ავსახავთ.

ტექსტების ნაწილი ეგებ ფოლკლორული თვალსაზრისითაც არ იყოს ინტერესმოკლებული. მაგრამ ჩვენ ამჟერად განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევდით მათი მონაცემების დიალექტურ სტრუქტურას. ეს, პირველყოფლისა, ჩვენ მიერ დასახული მიზნითაც იყო ნაკარნახევი.

პოლიკარპე ჭაჭანიძე

* 1935-36 და 1950-60 წლებში ჩაწერილი ტექსტების მხოლოდ ერთი ნაწილი ქვეყნდება წინამდებარე შრომაში.

ვექსეები

ხემწიფის ქალიშვილი

იყო ერთი ქალი საწყალი და საცოდავი მშვიერი. აფერი არ ჰქონდა. ხოდა, ერთი ფაცხა ჰქონდა მოღობილი. გამოეცხადა ამ საწყალ ქალს სიზმარში ქრისტე და უთხრა: შენ გეყოლება თერთმეტი ვაჟიო. მართლა ეყოლა ამ ქალს თერთმეტი ვაჟი. რა ქნას ამ ბიჭებმა; არ აქვენ არც საქმელი და არც სასმელი. რა ვქნათო, თქვეს ამ ბიჭებმა; გამოეცხადა ამ ბიჭებს კილომ ესო ქრისტე და უთხრა: ქენით ყანა ზღვის პირას და მე მუალ თქვენთანო. ქნეს ამ ბიჭებმა ყანა, მარა ცხენმა პაწა მუჭამა. ატირდა ბაღნები. რა ვქნათო. გამოეცხადა კილომ ესო ქრისტე და უთხრა: წადით და იქ იქნება თერთმეტი ცხენი და თითო-თითო დეიკირეთო. მივიდნენ ბიჭები და თერთმეტივე ცხენი ნახეს. უნდოდნენ დეიკირენ, მარა მივიდა ერთი ცხენი და უთხრა: „გაგვიშვი ჩვენ ახლა და შენ ისეთ ცხენს მოგიყვანთ, რომ იმან შენ სიღარიბიდან ამოგიყვანსო და ხემწიფის კარზე გაცხოვროს და გამეფოსო“. დეიკირა მართლაც ამ ბიჭებმა თითო ცხენი. განსაკუთრებით კაი იყო უფროსი ბიჭის ცხენი. სამივე ძმებმა მიიყვანეს ეს ცხენები დედასთან და უთხრეს დედას: აგინმა შეგვიჭამა ყანაო. დედამ უთხრა: შეჯექით ამ ცხენებზე და წადით სანადიროთო. უფროს ბიჭს უთხრა ცხენმა: მე ისეთ ადგილას წაგიყვან, რომ შენ ოქროს ფთას შეიძვეო. იარეს, იარეს და რუმ მიაწიეს ხემწიფის სანადირო ტყესან, დაალამდნენ კიდეც. გზაში იგინმა მეიძიეს ოქროს ფრთა. ცხენმა უთხრა ბიჭს: გადაადდე ეს ოქროს ფრთა, თვარა ბელას ვადეყრებო. იარეს, იარეს და ნახეს ერთი ფაცხა. ამ ფაცხაში ცხოვრობდა ერთი მალაზონი და ყავდა შვიდი გოგო. ამ ქალმა შეიყვანა ეს ბიჭები სახში. ცხენები გარეთ დაამბია.

ამ ქალთან ცხოვრობდა ლომი, რომელიც საღამოს მოდიოდა შინ. უფროს ბიჭს უთხრა ცხენმა: ნუ გაათევ აქაო, თვარა ოქროს ფრთა ბელაში ვაგამბავსო. შამევიდა ლომი და უნდა ეს სტუმრები შექამოს. ორ ძმებს ძინავს და უფროს ძმას კი არ ძინავს. მას ცხენმა უთხრა: არ დეიძინოვო.

ამ ფაცხაში ეძინათ აგრეთვე შვიდ გოგოს, რომლებსაც ერთნა-
ირი საბანი ეხურა: სტუმრებს კი სხვაი ფერის საბნები ეხურა. უფ-
როსმა ბიჭმა, ცხენის რჩევით, სამ გოგოს გადაადრო საბანი და იგინმა
დაიხურეს, მისი საბანი კი გოგუებს დაახურეს. ლომმა გვიღვიძა და
შეკამა ეს სამი გოგო, რომლებსაც სტუმრების საბნები ეხურათ. ამ
ბიჭმა გააღვიძა ძმები და გეიქცენ. მივიდნენ ეს ბიჭები მეფის სანადი-
რო ტყესთან. სადაც მეფე და ვეზირები ნადირობდნენ. ხემწიფემ
მიიღო ეს სამივე მონადირე და წეიყვანა სახში. უფროსი ბიჭი
ძაან ლაშაზი იყო. ამ უფროსმა ბიჭმა ამეიღო ეს ოქროს ფრთა და
სტოლზე დადვა. ნახა ხემწიფემ ეს ფრთა და შეიკითხა: სად იშო-
ვეო. ბიჭმა უთხრა — მევიძიეო. ხემწიფემ უთხრა ამ ბიჭს: წადი და
ამ ფრთის ოქროს ბუდე მომიტანეო. მივიდა ბიჭი ცხენთან და რჩე-
ვა კითხა. ცხენმა უთხრა: წადი ხემწიფეს უთხარი: შემაბას ცხენის
ტყავები ტანზეო, მომცეს ასფუთიანი რკინის მათრახი, ფეხზე რკი-
ნის ნალები დამაქრასო და მაშინ წავალო.

ის ორი ძმები რჩება და უფროსი ძმა თავისი ცხენით მიდის. ის
ბუდე, რომელსაც იგინი ეძებს, აქვს იმ მალაზონს, იმ ლამეს, ლამე
რო გაათიეს. ცხენმა უთხრა: იყავი ჭერ გარეთ, როცა ლომი შევა
შით. ის კარს არ დაკილტავს და მერე შეი შითო. ყუთის კილტე, რო-
მელშიც ი ბუდეა, მალაზონს აქ წელზეო. დაწოლისხანს შამეიძრობს
და დადობსო. აიღე აი კილტე, გააღე ზანტუკი და შიგ არის ოქროს
ბუდე და წამეიღეო. ბიჭმა ისე მოიქცა, როგარც ცხენმა ურჩია. მე-
იპარა ოქროს ბუდე და გამეიქცა. მალაზონმა როცა გვიღვიძა, ნახა,
რომ ზანტუკი ღია იყო და შით ოქროს ბუდე აღარ იყო. შეჯდა მა-
ლაზონი ღორზე და გამეიკიდა. ის არის, უნდა დიეწიოს, რუმ მეიქ-
ნია ცხენმა ფეხი. ბიჭმა მათრახი და მალაზონი ჩააწვინეს იქინე.
მოუტანა ბიჭმა ხემწიფეს ოქროს ფრთის ბუდე. ხემწიფის ქალიშ-
ვილმა მეიწონა აი ბიჭი და თქვა: ბიჭი მინდა ქმარათო. ჩეიარეს
ხემწიფემ და ამ ბიჭმა ზღვის პირა. ხელში ევირენ აი ოქროს ფრთა.
იგინმა დეინახეს მზისუნახავი ქალი ზღვაში. ხემწიფემ უთხრა ბიჭს:
აი მზისუნახავი ქალი უნდა მომგვაროთო.

ბიჭმა რჩევა უთხრა ცხენს. ცხენმა უთხრა: ხემწიფეს თხუე
ოქროს სტოლი, ოქროს სკამი, ოქროს სარკე, ოქროს სასმელები. ამ
ბიჭმა ცხენის რჩევით ეს სტოლი დადგა ზღვის პირზე. დეინახა აი
მზისუნახავმა ქალმა, მიეწონა აი სტოლი და სასმელი. წაატანა ბიჭ-
მა ხელი ამ მზისუნახავს და წამეიყვანა ხემწიფესთან. მზის უნახავ
ქალს მოეწონა ბიჭი. მეფე კი არ უნდოდა ქმრათ. მზისუნახავმა
უთხრა ხემწიფეს: მეიტანე უკვდავების წყარო, დეიბანე შით ტანი,

გახდები შენც მზისუნახავი და მაშინ ვიქნები შენი ცოლიო. დეიბარა ხემწიფემ ბიჭი და უთხრა: უნდა მეიტანო უკვდავების წყარო და მაშინ მოგცემ ჩემ ქალსო, თუ არა და თავს მოგჭრიო. რა ქნას ბიჭმა? რჩევისათვის მიმართა ცხენს. ცხენმა უთხრა: თხუე ხემწიფეს შემომაკრას ტყავები, შემომაბას კისერზე ოქროს კარდალიო. წვეიდა ბიჭი და ცხენი. ცხენმა უთხრა ბიჭს: მე შევალ ზღვაში მივალ იმ ცხენთან, რომელსაც უკვდავების წყარო აქ. თუ ზღვა გაწითლდეს, ნულარ მელი, თუ არა, მევიტან უკვდავების წყაროსო გამეიტანა ცხენმა უკვდავების წყარო და მოუტანეს ხემწიფეს უკვდავების წყარო. ხემწიფემ უთხრა ბიჭს: ეიდულე და შენ პირველათ დეიბანეო. ცხენმა გეიგონა აი და უთხრა: ნუ გეშინია, მე ჩაებერავ ადულებულ წყაროს სულს, ის გაგრილდება და შემდეგ ჩადი შენ შითო. ჩუბერა ცხენმა სული ქვებს და შემდეგ ჩვეიდა აი ბიჭი შით და გადიქცა მზისუნახავათ. შემდეგ აადულეს ისევ წყარო და შით ჩვეიდა მეფე. უკვდავების წყარო ადულებული იყო და დეითუთქა ხემწიფე და მოკტა.

აი მზისუნახავი ქალი ცოლად დარჩა ამ ბიჭს და, რა თქმა უნდა, ხემწიფეთაც თითონ გახდა.

ლიხაური, მოქმელი ნატალია ივანეს ასული ცეცხლაძე, 80 წლისა
ჩაწერა ეთერ ყაისარის ასულმა ცეცხლაძემ

მოჯამაგირის ამბავი

იყო ერთი მოჯამაგირე ქალი ძალიანი ლამაზი. ეს იყო ვეზირის ცოლის მოჯამაგირე. აი ვეზირის ცოლი სულ ემიზეზებოდა ამ გოგოს. ერთ დღეს ამ გოგომ ტირილი მორთო და თქვა: რა დავაშავე, რუმ ეს მახინჯი უღამაზო ქალი მე მაწვალებს და ჩემთვის ნაჭერი პურიც მოსანატრი არისო. გოგომ თქვა: „ქვა წისკელი, ქვა ბორბალი, ქვაი ბორბლად არ იქნებაო, დაუფიქრებ ამდონ ფიქრებს. ვნახოთ, ბოლოს რა იქნებაო“.

ვეზირის ცოლმა გეიგონა აი თქმა და დაუძახა: მოდი ჩემთანო. მივიდა საწყალმა გოგომ; თვალზე ცრემლები მოადგა შიშით. რას ბრძანებთ, ქალბატონოვო? მოდი, დეიბანე ხელი და პურის კვერი გამოაცხვე ჩემს ილბალზეო. გამოაცხო გოგომ პური. გატეხე მაგი პური, უბრძანა ქალბატონმა, გატეხა გოგომ. გამოცვინდა პურის კვერიდან ოქროუები. ახლა გამოაცხვე პური შენს ილბალზეო. გამოაცხო გოგომ პური და მეელოდა, რუმ იმისგანაც ოქროები გამოცვინდებოდა,

მაგრამ აფერი არ გამოუცვინდა ამ პურიდან. პური იყო ძალიან შავი. მორთო გოგომ ტირილი. ქალბატონმა უთხრა: რა ვქნა, შენ ღმერთმა მოგცა სილამაზე მხოლოდ და არა ცხოვრების ილბალი. მე კი მომცა სიმახინჯე და ცხოვრების კარგი ილბალი. ასეა, ყველაფერს არ მისცემს ღმერთი. ზოგს სილამაზეს აძლევს, ზოგს კი ცხოვრების ილბალსო.

მთქმელი ნატალია ცეცხლაძე
ჩაიწერა ეთერ ცეცხლაძემ

წყლის ქალი

ერ დღეს ილარიონა ერქომაიშვილის შიშის ფარა მქონდა მისაცემი. საღამოს მუედი ოზურგეთიდან. წვევი ილარიონასთან. თვითონ არ დამხენია სახში. მითხრეს — ილარიონა შენთან წამევიდაო.

მიორე კვირეში მევიდა ჩემთან კიდომ შიშის ფარიზა. შევხედე ილარიონის სახეზე. ძან ფერამკთალია. — რა დეგემართა. — ვკითხე მე. მან მითხრა: — მე რომე შენსას ვიყავი ფარიზა. შენგან რუმ წამუედი, ლომჯარიების ეზოშ რუმ მივაწიე, წისქვილის დეღე იყო გასახტომი. გუხტი იმაზე. რაცხამ მეტეკა უკანიდან და ზელები დამიჭირა. მე შევქტი. ტერი არიკაცი მყავს, ვიფიქრე და აგი რა წემეკიდა-მეთქინ. უცფათ შემოვტრუალდი და მეც ვეტეკე წელჩი. მივერიე და წავაქციე. იყო თეთრი ტანისამოსით ჩაცმული. მუხლი გულზე დავაჭირე. ცალი ხელი კისერში მუჭირე და ცალი ხელით ვსცემდი თავპარჩი. იმან ქვეშიდან გვერდებში მომიჭირა ხელი და გვერდები მომღლიტა. მეგონა, მიძახა, რუმ რას მერჩი და რას მცემო. კილო მიორეთ მეტეკა. მევინდომე ხელის დარტყმა. დავარტყი. მარა მიწაზე დავარტყი, ვორ საეენში წინ გაჩთა ქალი. მითხრა, — კი მცემე, მარა ხომ წაგართვი შენი სულიო, — რაფერ წამართმედი — მორეული მე ვიყავი-მეთქინ. — ამაყათ დუძახე.

რუმ მივედი მიორეთ სატეკებლათ, ქალი ქე გაქრა, აღარ იყო. ამაზე ისე შევეშინდი, — მითხრა ილარიონამ, — რომე იმ დამეს მერე წყალს გაღმა აღარ გავსულვარ. გამოღმა ვათევიდი დამეს. აგი ამბავი დემემართა მე შენსას მოსლაზეო.

გომი, გიორგი ბურჭულაძე

ჰინკაბ

ივანია ბურჭულაძემ და კოწია ჩხარტიშვილმა მითხრა: მარომამდელ დროში ყარაულობა იყო ეკლესიაში. წვევდით სა-

ყარაულოთ, რუმ დაღამდა კარქა. თოლი იყო დიდი, ნაკვალეხს გარდა ვერ გეიარდი. ერთი შიშველი ბალანაი გაჩთა წინ. მიხობა ივანიკა უკან და მივა ბალანაი წინ. ივანიკას მე მივხობი. ერთქამეთს კარ ვეკითხებით — ვინა აგი-თქვა. ოკომის წყალზე რუმ მივაწიეთ, ხიდზე გასლაზე, შუა ხიდზე რომ მიადწია, ბალანაი ქი ჩავარდა წყალჩი. ჩვენ აფერს ვამბობთ. მივედით ეკლესიაზე. ივანიკამ მითხრა: ჩემზე წინ ბალანაი რუმ მიდიოდა, მერე წყალჩი რუმ ჩავარდა, 'შენ შეხედეო? მერე რეიზა არ ვკითხეთ, ვისი იყო აი ბალანაი? კოწიას უთქმია — ჩვენ ვორუე დამუნჯებული ვიყავით. იგი ბალანაი კარა ჭინკა იყო; მე ბეურჯელ მინახია ამ წყალთანო. სულ ფიცულობდენ — კი ვნახეთ ჭინკაო.

გომი, გიორგი ბურჭულაძე

იროდი მეფე

იოსე ქრისტე ქვეყანაზე ღმერთკაცათ მევიდა. როგორც სახარებაში გვიწერია. მანომანდელ დროში იყო წინასწარმეტყველობა. იროდი მეფეს დროში იყო აგი. იროდი მეფემ გამეიძახა, რომელ დროში იარებოდა იოსე ქრისტე. ერთი წელიწადი წინ და ერთი წელიწადი უკან 3 წლის ხანაში 12000 ბიჭი ბალანაი, გარდა ციცაისა, გააწყვეტია. ამაში მოხდა ივანე ნათლისცემელის მამა ზაქარია და იმას თავი მოჭრა. ივანეს მამა ზაქარია ურიების ღდელი იყო, რომ ველარ უთხრა, სად იყო და სად არა, თავი მოჭრა.

საწინასწარმეტყველოში სწერია:

მრავალნი რახილნი სტიროდენ შვილთა მისთა და არა იყო ნუგეშისმცემელი მათთა.

იროდი მეფეს ნათლისმცემელი უყვარდა. მის დარიგებას ყველას ასრულებდა. იროდიადი ქვია ქალს. იროდიმ მიეყვანა ცოლათ იროდიადი ძმის ცოლი. იროდის რძალი იყო პირველათ, ძმაი რუმ მოუკდა, მერე მიეყვანა. ივანე ნათლისცემელი უშლიდა — არაა წესიერი, ძმის ცოლი მიეყვანო ცოლათო. არ დეიჯერა და მაინც მიეყვანა. ქალმა ტერობა გადოუხადა ნათლისმცემელს. ერთ ღდეს იროდი მეფემ კამპანია გააკეთა და დაპაიჯა მისი წარჩინებული პირები. იმ კამპანიაში იცეკვა ძმის შვილმა ქალიშვილმა. მეფეს მიეწონა მისი ცეკვა და ფიცი მისა, ყოლიფერს ოუსრულებდა, გარდა მეფობისა. გოგომ მიირბინა დედამისთან — იროდიადთან — რაი ვთხოვოვო. დედამ უთხრა: ივანე ნათლისმცემელის თავი სთხუევო. იროდი მეფემ მუაჭრია თავი ნათლისმცემელიზა და მიართვა. ვახერხა ქალმა საყვარელი კაციზა მუაჭრია თავი.

გომი, გიორგი ბურჭულაძე

ელცაბედა და ყაჩაღები

ყაჩაღები დათუნაიშვილები დათრენ და ელცაბედა ბურჭულაძეს მუხტენ. გამუარდა გარეთ ივანიკა ბურჭულაძე—ელცაბედას ქმარი და გაუმჯავრდა ყაჩაღებს. ყაჩაღებმა არ იკადრა ივანიკას გაჯავრება. ამუაძრეს მესერში სარი, ჩავარდენ ეზოში, დეიქირეს ივანიკა და თავი გუტეხეს. ელცაბედამ შეიტყულა ყაჩაღები სახში და გარდამიდა მავრათ ჩუკეტა კარი. დუძახა მილინციას. აგი დათუნაიშვილები მავრათ გათოკეს და ისთე წათორის.

ფირალი ჯორბენაძე

კოლია რუსი თაზე მიდიოდა ცოლშვილთან. გზაში ფირალი ჯორბენაძე შეხთა. აგი იცნა კოლიამ. ერთი მოსახლისას ჩევიდა ფირალი. კოლია მილინციაში მივიდა—ყაჩაღებს გაპონიებთო. მილინციამ გამუაწყო სტრანჟიკები და წვეილენ. კოლიე მუძლობა წინ. ჩევილენ ეზოში, შამუადგენ სახს. კრუგი რუმ დარტყეს, მისცეს ზალპი. ჯორბენაძე ექესი სტრაენიკი გადმუაგდო ცხენიდან. ცხენებიც გაწყვიტა. მილინციამ ესროლა ჯორბენაძეს და ტყვია მოხდა მარჯვენა ფეხში. სისხლი მოსდიოდა. ხალხმა გადეეფარა და ღობის ჩელტებში დამალა. მილინცია და კოლია გაყვა სისხლის კვალც. აგერ ყოფილა აგი ძაღლიო, დეიძახა მილინციამ. ამ დროზე ჯორბენაძეს ლევერი ქონებოდა. კეკალ შუბში მიარტყა კოლიას. მილინციამ ჯორბენაძე მოკლა. ჩავდეს მიწაში და ყალაურები დუყენეს. ჯორბენაძის ამხანაგებმა ყალაურებს შამუუთვალა: მაქანე არ დამხთე. მაგის გამოსვენება გვინდაო. ყალაურებს შეეშინდა: საფლავს დამე ყოველ კედრიდან თეთრი ანთებული სანთლები იყო შამოწყობილი. იმდენი ქნეს ამხანაგებმა, ჯორბენაძე შეიპარეს და ეკლესიაში დაასაფლავეს, ხალხს აგი ძალიანი გუხარდა.

გომი, გიორგი ბურჭულაძე

შენიშვნა. ტექსტი გ. ბურჭულაძის ხელით არის ჩაწერილი. გადაწერისას ყველაფერი უცვლელად დავტოვეთ.

კუზიანი დედაბერი

ერთ ქვეყანაში, ერსალიგას გამევიდოდენ ჰინკები და იძახდენ, რაც დღე იყო და ცეკობდენ. ამავე ქვეყანაში ერთ ოჯახში იყო წელჩი მოკაკული კუზიანი დედაბერი, რომელსაც არაფლის ვაკეთე-

ბა არ შეეძლო. ოჯახის წევრებმა ზედ გამუაგდეს აი დედაბერი. თან ერთი ტუმარა გამუატანეს. წვევიდა დედაბერი. იმ ჰინკებს წააწყტა, რომლებიც იძალდენ — პარასკევი, პარასკევი. უკრავდენ ტაშს და ცეკვობდენ. ამ დედაბერმაც ასთე ქნა, ნახეს აი დედაბერი. მუაძრეს კუზი, აჰკიდეს ერთი ტომარა ოქრო და გამუშვეს სახში. როდესაც მევიდა, გამოჰკითხეს ყოლიფერი. დედაბერმა მოუყვა. ახლა სახლის უფროსი წვევიდა იმ ქვეყანაში. ახლა ეშმაკები იძახთენ: „შაფათს“ და ტაშს უკრავდენ. ამ კაცმა დეიწყო პარასკევის ძახილი და დაჰკრა ტაში. ჰინკებმა ნახეს აი კაცი და ძან გაუჰკვირდენ. ეწყინენ კიდემაც. მოჰკიდეს იმ ქალის კუზი, სცემეს ერთი გაყოლა და გუშვეს სახში. გამჯავრებულნა კაცმა დედაბერი დაახრო—რეიზა მომატყუა და თავი მომჰკრაო.

შემოქმედი, ლოლა ნიკოლეიშვილი, 72 წლისა

გაბრიელ და ცოლი მარიამ

გაბრიელ არის საცოლო. ნათლიამ მოუწახა მარიამ და მახედ დაჰქორწილა. ნახევარი ჰონება გურიგა და მისთვიზა დასახლა. მარიამ გამოვიდა ავი ზნის. გაბრიელს თავი მუაძულა, აღარ მიცა საშუალება. გაბრიელ ტყეში წვევიდა გულის გარასყოლიებელათ. ნახა ერთი დაყრუებული ჰაი. სალამოს გაბრიელ დაბრუნდა სახში. შერიგდენ და ორთავემ კამჰანი გაწყო. თამადათ თვითონ გაბრიელ დადგა, თანაშემწეთ მარიამი დეიყენა. გაჩთა ბეური სადღეგრძელო და ღვინოში შეჯიბრება. ქმარმა დათრო ცოლი. სტუმრები რუმ წვევიდენ, შუკრა ცოლს ხელ-ფეხი და ტყეში, ჰაი რუ ეგულეობდა, იქით წეიყენა. აი თრალი მარიამი ქე გულუძახა იმ ჰაში. მარიამს დეიძინა. რუ გვიღვიძა, დიდი მახრობელა დეინახა, იყვირა, მარა რა იყვირა! გველმა შიშით აქით ეცა, იქით ეცა, მარა ვერ ამევიდა. გველი ყვირის: ამომიყვანეთ ამ ორმოდან, მხეციდან გადამარჩინეთო. გაბრიელ მივიდა, ცოლს წააყურა — თუ დეიხჩვო — ყოლიფერი დეინახა. გველი თოკით ამეიყვანა. გველმა საჩუქრათ ხემწიფობა დაჰირდა. გველმა თავის გზას გულდა, გაბრიელ თავის სახში წამევიდა.

გველმა ერთი ხემწიფის ქალიშვილს შამეფხვია. გველი ვერ მუაცილეს, ხემწიფემ გამუანცხადა — ვინც ქალიშვილს გამითავისუფლებს, ცოლათ მივცემო. აი გეიგო საწყალმა გაბრიელმა და გულდა გზას იმ სახემწიფოში, გამეიციხადა გაბრიელ ხემწიფეს. მე ჩემ სიტყვას არ უაროფო, — უთხრა ხემწიფემ, ბიჭი შევიდა ოთახ-

ში. შეხედა გველმა ბიჭს, მაშინვე მოშორდა გოგოს და გაქრა. აი ბიჭი ავ ქალის ქმარი გახთა, ხემწიფობაც მიღო.

13 წელი გავიდა. აი გველი სხვა ხემწიფვის ქალიშვილს შემი-
ეხვია. გაბრიელს შეეცოდა გოგო დ წვეიდა გათავისუფლებიზა. შე-
ვიდა გაბრიელ ვოთახში. გველმა იცნა გაბრიელ, მოშპა და გეიქ-
ცა. ხემწიფემ თავისუფალი შვილი რო დეინახა. გაბრიელს უთხრა:
აი ჩემი ქალიშვილი ცოლათ შეირთე და ხემწიფობასაც მოქცემო.
ბიჭმა ვარი განაცხადა. დიდი ღროს გატარების შემდეგ, ბეური სა-
ჩუქრებით გამიემგზავრა თავის სამეფოში და ბედნიერათ დიდხანს
ცხოვრობდენ. მეც იქედან წამევედი, კარგათ დაეტეე.

შემოქმედი, კონსტანტინე ტოროტაძე, 95 წლისა

იმერელი და გურული

იმერელი და გურული დაჟდენ და ლაპარაკი დეიწყენ. იმერელ-
მა უთხრა გურულს: მე ქორწილში ვიყავი ლაქიად. საკმელი რუმ გა-
ვარიგე, დამაკტა. ავდექი, ბატს ავკიდე საპანე და წისქვილქე დავაფ-
ქვიე, გამოვაცხვე და მივართვი სტუმრებსო. გურულმა თქვა: მე ვი-
ყავი მოჯამავირეთ მეფესასო და სკები მებარა. ჩემს მეფეს ჰყავდა:
სამასი სკა. ყოველ საღამოს დათლილი უნდა ჩემებარებია.

ერთ საღამოს რომ დევეითვალე, ერთი დამაკტა. დიეკირა ვილა-
ცას და ეხედნა. სკაის დაშავებულ კისერზე მიწა მიეყარა. სკაია ძან
შეწუხებული იყო.

იმერელს ხმაი არ ამოულია. გურულიც გაჩუმდა.

ახლა შენ გამეიცანი, რემელს უჯობნია.

შემოქმედი, კონსტანტინე ტოროტაძე, 95 წლისა

ხემწიფე და ხოჯა

ერთი ხემწიფე იყო. მის საბძანებელში სხვა ხალხს არ უშობ-
და. თუ ვინმე მივიდოდა, ეტყოდა: სამი საგანი უნდა ქვითხო მე შე-
ნო, მომიგეფ, ოქროით დაქქვირთავ, თვერ მომიგე, თავი უნდა მოქ-
კრაო. ბეურს მართლა წასკრა თავი. ბოლოს ადგა ერთმა თათრის
ხოჯამ, შეჯდა ჯორზე და წვეიდა ხემწიფესთან. კითხეს — სა მი-
ხვალ კაცოო. მე მივალ ამ და ამ ხემწიფესანო. ნუ მიხვალ იქი-
ნეი, — უთხრა შემხთურმა, თვარა ი ხემწიფე თავს მოქკრისო. ხო-
ჯამ აფრათ ჩაავდო დარიგება.

ხოჯამ შევიდა იმ სახენწიფოში. მუახსენეს მეფეს, უთხრა, კაცია

მოსულიო. ხემწიფემ დეიბარა აი კაცი და უთხრა: სამი საგანი უნდა გითხრა, მომიგეფ, გაგიშოფ, თვერა და, თაეი უნდა მოქქრაო. დითანხნა ხოჯა. ცაზე რამდენი მასკვლავია, მითხარიო. ამ კაცმა გეიხედ-გამეიხედა. ერთი თვალით ცას შეხედა, მიო რეთი მის ჯორს და ხემწიფეს მუახსენა: ცაზე იმდენი ვარსკვლავია, რამდონი ბანალიც ასხია ჩემ ჯორსო. ხენმწიფე განჯვარდა — ეს როგორ შეიძლებაო. ხოჯამ უთხრა: — მე თუ მეკითხები, ამდენი ვარსკვლავია და თვარ ჯერავხარ. თვითონ დათვალეო. აქანეი ხოჯა მოგებული შეიქნა.

ახლა ხემწიფე შეეკითხა: დედომიწის საშუა სა არისო. ხოჯამ გეიარა პაწა, დაარტყა ფეხი და უთხრა — აქანეა საშუაო. ხემწიფე ამაზეც განჯვარდა: აქანე არ იქნება საშუაო, მარა ხემწიფეს არ შეეძლო გეიზომა და ამაზეც ძალუნებურათ დაჯერდა. მესამესაც შეეკითხა ხემწიფე — რაცხა დღემამდელი ახალი ამბავი მითხარიო. ვორც საათი დრო მომე, ბაზარში ჩავალ, დაებრუნდები და მოგახსენეფო — მიუგო ხოჯამ. ხემწიფემ ნება მიცა. ხოჯამ უთხრა: რადგან პატივი მეცი, ჩემ ჯორს დაგიტიეფ და შენი ბედოური მათხოვეო. ხემწიფე ამაზეც დათანხმდა. შეედა ხოჯამ და წევიდა ბაზარში. გააქენა ბედოური აღმა-დაღმა. თელი ბაზარი დიედენა. ხოჯა ყველას უძახთა — ხემწიფემ ჯორში გამიცვალა ბედოურიო. ყველა გაკვირდა. ხოჯა დაბრუნდა ხემწიფესთან. ხემწიფემ კითხა — თუ რამე იციო. ახალი ამბავი ისაა, რო, დეიწყო ხოჯამ: ჯორში შენ ბედაური გადამიცვალეო. გაწყრა ხემწიფე — როის გარავცვალეთ ერთქამეთში ჯორი და ბედაურიო. ხოჯამ უთხრა: გაგზანე ვეზირები ბაზარში და იგნებეც გეიგებენ ახალ ამბავსო. ხემწიფე ასთეც მეიქცა. მობრუნებულმა ვეზირებმა ხემწიფეს მუახსენა: თელი ბაზარი შენი ბედაურის ჯორში გაცლაზე ლაპარაკობსო. დოუქვირთა ხემწიფემ ჯორი ვოქროთი და გუუშვა ხოჯა.

ლიხაური, ჩხაიძე დიომიდე, 70 წლის:

სამი ძმა

ერთ სოფელში სამი ძმაი იყო. ერთი უფრო აბდალი, ე.ი. უფრო მოსულელთო მეითქმოდა. როცა ძმები დამოწიფულდა, გეიყვენ. აბდალს ერთი ფაცხა ერგო წილჩი.

აი აბდალი დადიოდა სოფელ-სოფელ და ძმებს ანჯვარებდა. ამ სულელ ძმას შიართვიენ ქალი. რამდენიმე ხნის შემდეგ აბდალამ ძმების ღორი მოკლა. ძმები ისე განჯვარდა, რომ კი შამუაქათ აბ-

დალეს ცოლი. სულელს რაღა ექნა, არ იცოდა. მეიკიდა აი კტარი ცოლა ზრუგში და შივიდა მეწისქვილესთან. ცოლი კარებზე მიაყუდა. თვითან წისქვილში შევიდა. პაწა ხანს ილაპარაკეს. მერე აბდალამ წამოსლა მეინდომმა. მეწისქვილე შიეითხა — რა გაჩქარებსო, — გარე ცოლი მიცთის, შიგ არ შამომხვარო — უპასუხა აბდალამ. გევიდა გარეთ მეწისქვილის ციკა შამოსაყვანათ. მარა, როცა ქალს ხელი მოკიდა, ქალი წეიქცა და წყალში გარაევარდა. აბდალამ ყვირილი მორთო — ქალი დამიხჩვესო. მეწისქვილემ უთხრა: აი ორი ციკაები მყავს, რომელიც გინდა, ი წეიყვანე და ნუ ყვიროო...

როცა სახში დაბრუნდა, ძმებმა შიეიითხა — სა იზონე აი ქალიო. თქვენ რო ქალი მომიკალით, იმაში მომცენო — უპასუხა აბდალამ. მაინც რაფრაო. — ი მკტარი მევიკიდე ზრუგში და ვაძახე: „ვის გინდა კტარი ცოცხალი“ და აი ქალი მომცენ.

ასე მეიქცა ძმებმაც. მარა კტარში ცოცხალი არავინ მიცა. როცა სახში დაბრუნდენ, აბდალას ფაცხა დუუწვენ. აბდალამ ახიკა ნახშირი, ჩაყარა გორიცაში და წევიდა. გზაში შამუალამდა და ღამე მეფესთან გაათია. დილას რო აღგა, ნახშირი არ დახთა. დეიწყო ყვირილი — ვოქრო მქონდა კალათაში და ვინ წამართვაო. ნუ ყვიროო, უთხრა მეფემ. გუუფსო გორიცე ვოქროით და გუუშევა. რუმ დაბრუნდა, ძმებს ყველა უთხრა. ძმებმაც ასე მეიქცა, მარა მოტყუედენ. სახში რო მევიდენ, გუუმჯვარდენ აბდალას. ჩააგდენ ტუმარაში და დაანწყრიენ ძაროში. აბდალამ ძაროდან დეიწყო ყვირილი — არ მინდა მეფობაო. აი მეცხვარემ გეიგონა და დეიქახა — მე მინდა მეფობაო. თუ გინდა მეფობაო, — უთხრა აბდალამ. — ამ ძაროში შედიო. მეცხვარე ძაროში შუუშევა. მერე კრა ხელი და წყალჩი გარაადო. ცხვრები იმას დარჩა. მირეკა ცხვრები სახში. ძმებმა შიეიითხა — სა ქყავდა აი ცხვრებიო. აბდალამ მუუყვა ყოლიფერი. ძმებმა თხუენ: ჩუენც დაგვანწყრიეო. ძმები ჩასვა ტუმარაში და ზღვაში გადაყარა.

მთისპირი

უსტია კაცი

იყო ერთი ახალგაზდა კაცი. უნდა ეთხოვნა ქალი. აი კაცი მამულმა წეიყვანა ქალის სანახავათ. აგინი სამი შივიდა. მასინძელმაც სამი კაცი დაახთერა. გამეიყვანეს გასათხოვი ქალი და დოუქინეს პირდაპირ. საქმრომ გახედა ქალს. ქალი ბრუტინი გამოდგა. კამპანია გაწყვა. რა ქნას ამ კაცმა, არ იცის. არ ვარგა თქვას, არ შეიძლება. კაია თქვას და ხომ უნდა წეიყვანოს. ადგა ამ კაცმა და გარეთ გა-

45035 - 53054
62898

შევიდა. გეიხედ-გამეიხედა, სახს შეხედა, თქვა: კაი სახლი ყოფი-
ლა, მარა აფრა ბრუნდიაყო. გასათხოვარმა გეიგონა და პასუხი მიცა:
აფრა ბრუნდია, მარა მის მოვალეობას კი ასრულებსო. ვარი აღარ
შეიძლებოდა, ქალმა მოუგო. ადგა და ქე წვიყვანა ი ქალი შინ.

ღვიწყვეს ერთათ ცხოვრება, აი კაცი უსტია იყო. ეილო შორე სა-
მუშიერი. ქალი დატია სახში. ერთი დიდარი კაცის სახლს შენება
დღიწყყო. სახლი ქახჩაყე იყო დადგეული, სეითაც გინდოდა, იქით
აწნიებდი პირს. სახლის პატრონს აი უსტიას მოკლა უნდოდა, სახს
რო დაამთავრებდა. უსტატმა მიხთა, რო ხაზაინი მის სიკტილს ფიქ-
რავდა.

ერთ დღეს ხაზაინს უთხრა: აი სახლი არ მობრუნდება, ხელსაწ-
ყო შინ მაქო. სახლის პატრონმა წასლის ნება არ მიცა. სხვაი გაგზა-
ნა და უმართ-სამართი დააბარა. ცოლმა მიხთა, უსამართ-სამართი რა
იყო. მოსულ კაცს უთხრა — შეი ვოთახში და გამეიტანეო. ვოთახ-
ში რუ შევიდა აი კაცი, ქალმა კარი გარაკეტა. გევიდა სამი დღეი,
კაცი არ ჩანს. მიორე გამოგზანა ხაზაინმა. ახალ მისულს ცოლ-
მა უთხრა: თუ გაათავისუფლებს შენი ხაზაინი ჩემ ქმარს, ამ კაცს
გულუშოფ, თვარა აი კაცი აქანეი იქნებო. მეტი რა გზაი იყო, ქე გა-
ათავისუფლეს უსტია. სიკეტილის გადამჩენი ცოლი კიდომ უფრო
შვიყვარა ამ კაცმა.

ლიხაური, ჩხაიძე დიომიდე. 70 წლისა

ცოლ-ქმარი

იყო ერთი პატარა ღარიბი კაცი. კარგი სადილი ენატრებოდა.
მოწყენილმა ცოლს დუძახა და უთხრა:

— ერთი კაი სადილი მაჭამე!

— რა გაჭამო, რა სიკეთე გაქო? მეტანე, გაიკეთეფ და გაქუმ.
დაფიქთა კაცმა. ქალს გუნებით არ უნდოდა კაციზა ექმია რამე. ერ
კვირე დღეს აი კაცი წვიდა ბაზარში, იყიდა ბატი და მეიყვანა.

— ქალო, გამიკეთე აი ბატი და მაჭამე! — უთხრა კაცმა. ქალი
დაპირდა. კაცი წვიდა სამუშიერზე. ამ ქალს საყვარელი ხოლია. მე-
ვრდა იგი და ქალს უთხრა — აი ბატი თვარ მაჭამე, შენთან აღარ
შუალ აწიო. შეწუხთა ქალმა, მარა დანაბოლოს ეილო და აი ბატი
ქე აჭამა საყვარელს. აი საყვარელი ქე გუუდგა გზას. მევიდა ქმარი.

— რა ქენი, ქალო, სადილი გააკეთე? წლომიარეთ უთხრა ქმარ-
მა.

— რას გავაკეთებდი, რუარაფელი ქეონდა.

2. 3. ჯვანძე



— ქალო, ბატი რო მევიყვანე?!

— კაცო, ბატი როის მევიყვანე? ხუარ გააბლდი?!

დეიწყო კი მევიყვანე, არ მოგიყვანია.

კაცი დაფიქტა — ეგებ სიზმარში ვარ, მართლა არ მომიყვანია. დუუჭერა ქალს და მიორე კვირასაც წვევიდა ბაზარში, კილომ ბატი იყიდა. იჭირავა კაცები, დაფაზურნა. ბატის ერთი ფრთა ერთ კაცს მიცა, მეორეს — მეორე და დიდი ამბით მიხავს ბატი.

— ხვალე სტუმრები მხავს. ყოლიფერი გააკეთე. უთხრა ქმარმა და ბატი გადასცა. დაფატურდა ქალი, ყოლიფერი გახაზირდა. ამ დროს ქე მევიდა ი საყვარელი.

— აი ბატი რუ არ მაჭამო, უთხრა საყვარელმა, შენი და ჩემი მეგობრობა აღარ იქნება.

— აგი არ შემიძლია: ქვეყანამ შეიტყო, ბატი რუმ მევიყვანა. აი რუმ შენ გაჭამო, მე რაი ვქნა მერე?!

— აპა მშვიდობით. დააპირა წასლა საყვარელმა.

— კაი, გაჭუმ, რაცხა დემემართება, დემემართება. აქამა და გუშვა სახში. ქვაბში წყალი ჩაასხა, დახურა თავზე და ცეცხლი დოუნთო. ამ დროს ეკლესიიდან მევიდენ მღვდელი და სხვა სტუმრები. აი სტუმრები გარეთ დაბძანდა. ქმარმა შევიდა სახში და ქალს კითხა — რაფრავა საქმეო.

— კაცო, მარტო ბატის მოყვანა რას კმარა, ერთი დერი შეშა არ მაქ. ნაფოტი ჩამომითალე, ცეხლი შოუნთო.

კაძახმა ჩამოთალა ყოლი მხარე ამ ხეისა. ქალმა კოლი გაჭრე გააგდო. კაცს უთხრა — გეიქეცი ბაზარში, გარცივა იყიდე, ისე არ ივარგებსო. კაცი რო ბაზარში წვევიდა, ქალმა დეიწყო ტირილი და ატირებული მივიდა სტუმრებთან. მოთქვამს:

— ვინცხას გონია, ქმარი მყავს, რა დღეში ვარ, ხალხმა არ იცის; თქვენისანა პატროსნებს დაპატიყებს. მგონია, პატივის ცემს... აი ხო ხედავთ, სარი მეიზნადა. რუმ მოვა, ყველას თავპირს დაგილეწავს. ხმაამალა შეიცხადა ქალმა. წამოცვინდა სტუმრები და გეიქეცენ.

განწვალებული ქმარი სირბილით ჩამევიდა ეზოში. ქალი იმასაც ტირილით შეხბო.

— რა ნიჭენი, ყაძახო, შენისანა ვობრებს მევიყვან. რანაირი სტუმრები მევიყვანე? შენ რო ბაზარში წადი, მამოვარდენ სახში, ამეილენ ბატი და წვილენ.

— ქალო ბატს რავა წვილებდენ?!

— აა, ჩახედე ქვაბში. შორს არ იქნებიენ. ეილე აი სარი და გა-

მიეკიდე. საწყალმა ქმარმა დუღუჯერა და სარით გეეკიდა სტუმრებს.
გონია მაგნები დღესაც მირბიან.

შემოქმედი, ტოროტაძე ეფროსინე. 85 წლისა

დედინაცვალი

იყო ერთი ხემწიფე. ამ ხემწიფეს ხავდა ქალიშვილი, რომელსაც გულია ეთქვა. ისთე უყვარდა აი გოგონა მამას, რომ მისი სიყვითლისთვის ყოლიფერს დათმობდა. გეიარა პაწა ხანმა და გულიას დედა მუჟუტა. ხემწიფემ მალე გუჟინა დედინაცვალი გულიას. გულიეს მამა ომში წევიდა. დედინაცვალმა გულიეს მოკლა მეინდომა: ძანიალი ენჯვარებოდა აი გოგო.

ერ დღეს დაჟდა დედინაცვალი და წერილი დაწერა, ვითომ გულიეს მამას მიეწეროს. წერილი ვეზირებს უბრძანებდა: წეიყვანეთ გულიე ტყეში, მოსჭარით ხელები. დასთხარეთ თვალეზი, ხელები მიწაში დამარხეთ. წერილი ვეზირებს წუჟითხა დედინაცვალმა.

ვეზირებმა გულიე წეიყვანეს ტყეში და ხელების დასამარხავი მიწის თხრა დეიწყეს. ხის წვეროდა ვიდაცამ გადმოსძახა: გულიას ხელი არ ახლოთ, მოთხრილ მიწაში ჯინკვი დამარხეთ და სახში წადით. გულიე ჩემს გულს დუტიეთო. ვეზირებმა ვეფერი ვერ დედინახეს, მარა ხის წვეროდან უფრო საშინელი ხმა ჩამოდიოდა. ერთმა ვეზირმა გაბედა და შიეკითხა, ვინ ხარო. გული ვარ ადამიანის — დედის, მამისო. შეშინდნენ ვეზირები. გულიე გუჟუშევს, მარა გააფთხილეს — სახენწიფოში არ გამოჩეთო.

ატირებული გულია კას ხანს დადიოდა ტყეში. მერე ერთი ბერი კაცის სახს მიადგა, დეიძახა. გამევიდა ბერი კაცი. აი ქალი პირველათ ეშპაკი ეგონა. ბეური ილოცა, მერე დარწმუნდა, რო ადამიანი იყო, შეიყვანა სახში. აი ბერი კაცი მისი პატრონი შეიქნა.

ერ დღეს მეფის შვილი წამოსულიყო სანადიროთ. ბერი კაცის სახლის პარმადზე აი ქალიშვილი დუუნახავს. გარაწყვიტა, აი ქალი შიერთო ცოლათ. მიორე დღეს კი წეიყვანა მეფის შვილმა.

გულიას მამა დაბრუნდა ომიდან. პირველათ გულია იკითხა. ცოლმა უთხრა — გაგიჟდა და ტყეში გუჟვითო. ხემწიფე წევიდა მამეშინათე შვილის საძებნელათ. როვარცხა იყო, ბერი კაცთან მივიდა. ბერი კაცმა ყოლიფერი უამბო. ხემწიფემ ჩეიქინა მისთან აი ბერი კაცი და წევიდა მეორე სახენწიფოში. როცა იქინე მივიდა, დე-

ინახა გულიე, ჩეეფხნა კისერში და კალამ გულზე მუუდენ. სახში
რო დაბრუნდა, ცოლი ნაჭერ-ნაჭერათ აქცია!

შეოქმედი, ბოროტაჟე ეფროსინე, მს წლისა

უზვილო ხენწიფე

ერთ ხენწიფეს შვილი არ ხავდა, ძალიან კი უნდოდა გასჩენო-
და. ერთ დღეს ამ ხემწიფესან გამეიარა ერთმა დედაბერმა. ხენწი-
ფეს უთხრა — შვილი გეყოლება, თუ კვერცხის სახელს არ ახსენე-
ფო. ხენწიფემ დუუჟერა დედაბერს, შვილიც მალე შეიძინა. დაათქვეს
ჯიმუშიერი.

ეაჟი კარქა იზდებოდა. ერთ დღეს ჯიმუშიერი წვევიდა ბულთის
სათამაშოთ. ამხანაკებთან ჩხუბი მუუდა. ამხანაკებმა დუუძახა: ნუ
ჯვაროფ, თვარა კვერცხივით გასკტებო. ჯიმუშიერმა არ იცოდა, რა
იყო კვერცხი. ძან კი უნდოდა გიეგო აი შობლებიდან. ბეური ეხვე-
წა დედ-მამას, მარა არ იქნა, არ უთხრეს.

ადგა ჯიმუშიერმა და წვევიდა საცხა. ერთ მიდორში დვისენა.
გეინგდა და რაცხამ გაანათა, აი, კიდო გაანათა. პაწა ხნის მერე გამე-
იარა მოხუცმა ქალმა. ჯიმუშიერი შეიხვეწა — ბებია, მითხარი, რაია
აი, რუმ ანათებსო.

— ბებია, აი? ერთი მზეთუნახავი ქალია. აძლევს ყმაწვილებს
ასახსნელს, ვინც ვერ ხსნის, თავს ჭრის და სარზე კიდებს. იი თავე-
ბია, რუ ანათებსო. ჯიმუშიერმა წვევიდა იმ ქალთან. ქალმა ამასაც
უთხრა — სახსნელი, რო ვერ ამოხსნა, თავს მოჭკრიო. კაიო — დი-
ეთანხმა ჯიმუშიერი.

— აბა მითხარი, რა არის გულის ვარდი და გულის დარდი?

ჯიმუშიერი უხმოთ გამობრუნდა. აი გამოცანა ერთი კვირის ვა-
დაში უნდა იეხსნა. ბეური იფიქრა. ვეზირებიც დეიხმარია და პასუ-
ხიც გაამზადა. წვევიდა ქალთან. ქალი სიხარულით შეხთა, აბა, თუ
ამოხსენიო.

— გულის ვარდი? დეიწყო ჯიმუშიერმა, გულის საყვარელია. გუ-
ლის დარდი? ამოუხსნელი გამოცანა, რომელსაც სიკტილიც შეიძ-
ლება მოყვეს. ქალმა ჩაფიქთა. ნათქვამი მეეწონა. რალა ეთქმოდა —
გაყვა ცოლათ. ორთავეს დედმამას ძან გუუხარდენ აი ამბავი.

ბახვი, ცეცხლაჟე ბესარიონ, მს წლისა

ზედმა უწყალობა

ერთი ღარიბი დედა-შვილი იყო. აი ქალი გათხოვდა, შვილი ქე ღარიბა მარტუა. ამ შვილს ხონდა მარტო შვილდისარი და ყამდა ერთი ფინია ძაღლი.

ერთხელ აი ძაღლი შევიდა სახში. დეინახა ბიჭმა, რო ფინიას ულაშებზე ვოქრო აქ ჩამოკიდებული. რამდენჯელ მივიდოდა ფინია სახში, ყოლთვის ასე ქონდა ვოქრო ჩამოკიდულნი.

დენტერესა აი კაცი. თუ სა შოულობდა ფინიე ვოქროს. გაყვა ძაღს. მივიდა ერთ ტყეში. ნახა რო დგანა დიდი ყვითელი წყალი. ჩევიდა შით, ამეილო ოქრო და წვეიდა ხენწიფესან მოსამსახურეთ. ამ ხენწიფეს ხავდა ოთხი შვილები. ეგენი სუყველა ციცაები იყვენ. ხემწიფეს უნდოდა ეგენი გიეთხუა. ერთ დღეს შეკრიფა თელი ხალხი და ვოთხივე გამეიყვანა სენაზე. ხელჩი მიცეს ვოთხი ვაშლი. გადიეგდენ უნდა ერთი, ვინც დეიქერდა, იმას უნდა წახოლოდა. გარა-აგდო სამი ვაშლი. მიოთხემ ვაშლი გაროუგდო ქუხნის მოსამსახურე ბიქს. ასე იყო, თუ ისე, აი ქალები გაათხუა ხემწიფემ.

მეორე დღეს ავთ გახთა ხემწიფის ცოლი და ინატრა ერთი თუნგი უკტავების წყარო. შიაჟინეს ცხენებზე სამივე სიძენები და წევიდენ. ბოლოს უტროსმა ქალიშვილმა თქუა: გამუჟყვანეთ ჩემ ქმარს ერთი სამფეხა ცხენი და იგიც გააყოლე ამ სიძენებს. აი კაცი სამფეხა ცხენით წვეიდა წინ, მივიდა ტყეში და ერთი თუნგი წყალი ამეილო, გამოტრუალდა და ქე შეხთა სხვა სიძენებს გზაში. სიძენებმა ამ კაცს დუჟძახა — მომყიდე აი ერთი წყალიო. კაიო, მარა შენი შუათანა თითი წეიქარიო. ასეა ცქნეს და გახარებული ბრუნდებოდენ უკან. მიორე დღეს აი სამფეხა ცხენიანი სიძეც ქე მევიდა.

ამ ხემწიფეს ომი გამოუტახადა მიორე სახემწიფომ. ხემწიფემ შეაგრუა ჯარი და წვეიდა სამი სიძენებით ომში. შინ უნტროსი სიძე დატია, მარა ჰაწა ხნის მერე აი სიძეც წვეიდა ვომში თავის სამფეხა ცხენით. გევიდა ერთ ტრიალ მიდორზე და რაში ახსენა, იმ წუთში განთა რაში თავისი ვოქროს ტანსაცმელიანა. შეეცა და გუჟდგა გზას ხენწიფის მისამველებლათ. შიერია ჯარში. ყველას მოსხაპა თავი, მარა იმას ხელი მიპტრენ.

როცა ხემწიფე დაბრუნდა სახში, მეიწვია სიძენები და უთხრა: — აბა მიჩვენეთ, ვინ რა გააკეთეთო. უფროსებმა თქვა — ჩვენ უკტავების წყარო ქვონდა და ყველაყა გადავაჩინეთო. უნტროსი წაზოდგა: არ გახსოვს, მეფეო, მტრები რო გავწყვიტე, მე რო ხელი მომპტრეს და შენ შემიხვიე. აი პლატუკი ხომ შენია? აი სახენწიფო

მარტო მე ვარავარჩინეო. მეფე ყოლიფერში დარწმუნდა და მეფობა უნცროს სიძეს დუღლოცა, სხვა სიძენები მოსამსახურებათ დოუქინა.

შემოქმედი, ჩიტაიშვილი იესე, 78 წლისა

პკუიანი ქალი

იყო ერთი ახალგაზრდა მეფე. ძაან გულით უნდოდა ცოლის შერთვა, მარა იმნაირ ქალს ეძებდა, რომელიც ყოლიფერში მოუგებდა, ყველაზე უფრო ჰკუიანი უნდა ყოფილიყო.

ერთ დღეს დოუძახა ვეზირებს და ყველაყას უთხრა, რო ამნა-რი და ამნაირი ქალი მეეძებნათ მისთვის. ვეზირები წვეიდენ ქვე-ნის ყველა კუნჭულში.

ერთ ვეზირს შეხთა მოხუცებული კაცი, რომელსაც ვეზირმა თხუა, ღამე გამათევიე შენ სახლჩიო. იმი სახლამდი კიდო შორე გზა იყო. გზაზე შეხთენ — ხალხი მიასვენებდა კტარს. ვეზირმა კითხა ბე-ბერს — აი კტარია, თუ ცოცხალიო. ბებერმა გუნჯვარდა — შენ ვერ ხედამ კტარია, თუ ცოცხალი?!

პაწე ხნის მერე ვეზირმა პურის ყანა დეინახა და ბებერს კითხა: აგი ყანა შეგმულია, თუ შუუჰმელიო. ბერი კაცი აქანაიც განჯვარდა — შენ აბდალი ხარ, ვინცხა ხარო. პაწა სიარულის შემდეგ ერთ დიდ გორს მიადგენ. ვეზირმა უთხრა: ან მომიკიდე, ან მოგიკიდეფო. ბე-ბერი ვეზირს ეეჩხუბა. ამ ჩხუბში ეგი გორიც ეიარენ. მერე მოხუ-ცებულმა უთხრა: — შენ აბდალი ხარ, ღამეს ვერ გაგათიეფო. ვეზი-რი ჩუმაი მაინც წახვა.

ბებერი სახში მივიდა. იმას ერთი გასათხუარი ციცა ხავდა. ამ ცი-ცაის მუუყვა, ბებერი ყოლიფერს, რაც გზავრობაში შეხთა.

— გზაში შემხთა ერთი აბდალი კაცი, რომელმაც მითხრა — ღამე გამათევიეო. მეც უთხარი — ღამეს კი გაგათიეფ-მეთქინ. მივ-დივართ ერთათ. გვეხედე და კტარს მუასვენებენ. აგი კაცი მეკი-თხება: აი კტარია, თუ ცოცხალიო. მე ამაზე ძალიან გუნჯვარდი — ავალჩი არ იხედები-მეთქინ?

— იგი აბდალი კიარა ჰკვიანი ყოფილა. იმ კაცს იმისანა კაი სა-ხელი აქ, რო მიდღემჩი არ მოკტება.

— მაგაში კი მომიგე, მარა აი მორე რაფერი აბდლური მკითხა. პურის ყანას შეხედა და მიჩივა — აი პური შეგმულია, თუ შუუჰმე-ლიო. მე უთხარი — შე სულელო, ყანა ოუდებელია და შენ რაფრა მე-კითხები-მეთქინ. შვილმა უთხრა: აგიც ჰკუიანური უკითხავსო:

ი ყანის პატრონს, აი ყანა მართლა წინდაწინ შექმნილი აქ, იმდონი აქ ნასესხებიო. ბებერი ჩააფიქრა შვილის პასუხმა.

— აი კილო რა მითხრა. მივადექი გორას, ან მომიკიდე ან მოგიკიდევო. ე ამაზე წვეგჩხუბე და მაგრათ მივლანძღე გორაზე ამოსლამდინ. ქალმა უპასუხა: აგიც, მამა, ჭკუიანური უთქმია: თქვენ ჩხუბში გზაც დელია. იგივე მოკიდებათ და ამოყვანათ ითლება მაგიო.

ვეზირი ყოლიფერს ისმენდა. მეეწონა ქალის პასუხები. ქალის სილამაზეც დუჟუდა ჭკვაში. წვევიდა და ყველაფერი უამბო მეფეს. მეფემ აი ქალი ქი მეიყვანა ცოლათ.

გომი, მახარაძე ნესტორ, 77 წლისა

ქალმა აჯობა

საცოლე ყამდა ერთ კაცს. ამ კაცს ვომში წასლა უწვედა. დეიბარა საცოლე და დუჟუბარა: ცოლათ შეგირთამ, თუ ამ პირობას შემისრულევ. რო დავბრუნდები, უნდა დამახრედო შვილი, რომელიც მე მგზავსება. გიტეფ ჭაკ ცხენს, დამახრედე კვიცი, რომელიც ამ ცხენს ემგზავსება. გიტეფ დაკეტილ იაშვიკს, რომელშიც ოცდაცხრამეტი მანეთია. რო მოვალ იაშვიკში უნდა დამხტეს 40 მანეთა. ყუთის გასაღები მე თან მიმაქ. თუ შენ ყველა აი პირობა შესრულე, მაშენ ჩემი ცოლი გახტებიო.

აი კაცმა ადგა და წვევიდა ვომში. ქალი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. ბეური ფიქრის შემდეგ, ქალმა გამეეწყო კაცი' ტანსაცმელში და წვევიდა ჯარში, საცხა ი კაცი იყო.

ქალმა კარტის თამაში იცოდა კარქა. ყველა ჯარისკაცი გაატყავე ფულიდან. ასეთი მოთამაშის სახელი მისი საქმროს ყურამდინაც მივიდა და მეითხოვა ამ ჯარისკაცთან თამაში. ქალმა ვარის თქმა დააპირა, მარა ბოლოს მაინც დათანხმდა. დეიწყეს თამაში. აი კაცი გაცალა ფულიდამ ქალმა, კაცურეფ რუა გამოწყობილი. მერე აგი კაცი ხანჯალზე ეთამაშა. ქალმა მოუგო ხანჯალი, იაშვიკის გასაღები იმაზე იყო მიმბული. წვევიდა ღამე, გაალო ყუთი და ერთი მანეთი ჩადო შიგ. მორე დღეს ამ ქალმა ხანჯალი წააგო და უკან დუჟუბრუნა. აი ერთი პირობა უკვე შესრულებული შეიქნა. ახლა ცხენზე ეთამაშა. მოუგო ულაყი, წვეიყვანა და დატეებულ ჭაკთან მუათავსა. მიორე დღეს ისევლე გაბრუნდა და ცხენი იმ კაცს მუაგებიო.

ახლა ამ ჯარისკაცმა (ქალმა) ასეთი პირობა დოუდვა: ვითამაშოთ ლანაზ ქალზენ. თუ მომიგე, მოგიყვანო. კაცი დეეთანხმა. განგეფე

წაგო ჯარისკაცმა (ქალმა) ლამაზი ქალი. გამობრუნდა უკან, გადიც-
და ქალის ტანსაცმელი, კარგათ გამეფეწყო და წვევიდა იმ კაცთან. მეორე
დღეს აი ქალი ისთველე უკან გამობრუნდა და დოუწყო ცთა სამ-
ქროს. საცოლეს იმ კაცის მგზავსი შვილი დიებადა, ცხენს ქაკის
მგზავსი კვიცი ეყოლა. იაშიკში 40 მანეთი იღვა.

როცა აი კაცი ჩამევიდა. ძაან გუუკვირდა აი ამბავი, რალა გზაი
იყო! შეირთო ავი ქალი.

ბახვი, სალუქვაძე ლავრენტი, 78 წლ-სა

ჯარხანს

ერთი დედაბერი იყო. ყავდა (ხავდა) ერთი ბაღიში. სახელათ ქე-
ჩონა ეთქია. დილობით ქეჩონას წყალი უნდა მეეტანა. ბეზია კვერს
გამოუტეობდა.

ერთ დღეს ქეჩონამ არ მეეტანა წყალი. ბეზიამც კვერი არ
გამოუტეხო. მოუდენ ჩხუბი. ბეზიამ დაწყველა, „ჯარხანასან მისული-
ყავიო“. ქეჩონამ გუუდგა გზას. მივიდა სადაც ჯარხანა იყო, ჯარხანას
დედამ რო დეინახა, მიადახა ბიჭს: რეიზა მოდი აქავო. რუმ გნ-
ხოს ჯარხანამ, ხო შექვამს. ამასობაში ბებერმა შენიშნა, ჯარხანაი მო-
დის. შეეცოდა ბაღანა, წყიყვანა და დამალა. მევიდა ჯარხანაი, ვერულ
ტახზე ჯდია. ნანადირებიც ბეური მეიტანა. ჩამოხტა, დეისვენა ცო-
ტა, მერე დედას უთხრა: აქ აღამიანის სულია და მაჩვენევო. დე-
დამ ჯერე ივარა, მარა, როცა ძალა დაატანა, აფიცა — თუ მას შექვამ,
ჯერე მე შემქვამე და მერე იიო.

— მაჩვენე, თუ მემეწონა, არ შევექამ.

დედამ მოუყვანა აი ბიჭი. ჯარხანას ცოტა კი მიეწონა და კითხა:
რა შეგიძლია, ბიჭო, შენო?

— რასაც მიბრძანეფ, ყოლიფერს გავაკეთეფ. ჯარხანამ მუუყვა-
ნა რაში და უთხრა — ამ რაშზე შეყდები?

— კი, ბატონო, უთხრა ბიჭმა.

— ზეცას რომ გისროლოს, მაშვინ?

— ქვეშ მივექტევი.

— მიწას დაგანარცხავს, მაშვინ?..

— ზეით მევექტევი.

— განზე გისროლის მარჯვნით, მაშვინ?..

— მარცხნით მივექტევი.

— მარცხნით რო გისროლოს, მაშვინ?..

— მარჯვნით მივტრუალდები.

ჯარხანამ ქეჩონა შიაჯდინა რაშზე. ქეჩონამ ყოველივე პირნათლათ შიასრულა. როცა ჩამოხტა აი ბიჭი, ჯარხანამ უთხრა — შენ ამ რაშ მუღარე და მეტს აფერს დაგავალეფო. ბძანების თანახმათ უვლის ქეჩონა ამ რაშს და ქეა ისე.

ერთ დღეს რაშმა უთხრა ქეჩონას: მე და შენ გარევიკარქოთ შორეულ ქვეყანაშიო. არა! — ივარა ქეჩონამ: ჯარხანაი იმფერი მხეცია, რო ორივეს შექვემას, რავარც დროს გვიშონისო. ბოლოს მაინც შეაქდა ქეჩონა რაშს ზრუგზე და გაფრინდა. რაში მიდის, რავარც გაფრენილი ჩიტი. მიდის და მიფრინავს. გევიდა ვორი დღეი. რაშმა უთხრა ქეჩონას: მეიხედე უკან, არ მოგვდევდეს ი მხეციო. ქეჩონამ გახედა, ჯარხანაი დეინახა. მოდისო — იყვირა.

— აბა, მარცხენა ყურში ერთი საბარცხალი მაქს, ამეილე და გარაავდე. ბიჭი ასე მეიქცა. იგინის უკან გაჩთა ისეთი ქურცხი ტყეი, რომ შით ჩიტი კურკახტელს ვერ გეიტანდა, რო იტყვიან.

მიდის რაში, რაც შეიძლება მაგრათ. მერე კილო მეიხედა უკან ბიჭმა. დეინახა, მოდის ჯარხანა.

— აბა, ბიჭო! პირჩი ერთი გატეხილი მარგატელი მაქს. ამეილე და გარაავდე: ბიჭი ასეც მეიქცა. გარაავდო თუ არა, უკან დაშვავდა დედამიწა ისე, რომ იქინეი გამორებეს როვა იფიქრებდა რამე სულდგმული. მიფრინავს რაში. მეიხედა ბიჭმა და დეინახა, ჯარხანა უის ვერულ ტახზე და მეიყვირის — ორივეს ახლავე შექქამთო. რაშმა უთხრა ქეჩონას: მარჯვენა ყურში პაწა ბოთლი მაქს და შით რაც არის უკან გარაახხიო. ბიჭმა ამეილო ბოთლი და გარაახხა. დადვა წავი, ბნელი უზარმაზარი ზღვა. გაჩერდა რაში.

— რალას მივდივართ. მე მეტი საშვალეა აღარ მაქს, თვერ გამევიდა, ხო კაი და... დაჟდენ და უყურებენ. რო მუაწია შვა ზღვაში, ორთავე ჩეიძირა. პაწა დეისვენეს და მერე ისთეველ წევიდენ. მიადგენ ერთი ხემწიფის სასახლეს. რაშმა უთხრა ბიჭს: შენ იყავი ამ სასახლეშიო. თუ დაგჭირდე, აი ბალანს რო გაძლევე, ცეხლი წოუკიდე და მე იქ გავჩთებო. აი ბიჭი შევიდა სასახლეში. რო დეინახეს, ვინაობა კითხეს. მერე მაგნებს უთხრა: თუ რამეს დამსაქმებთ, ვიმსახურედო.

ქეჩონა არის სასახლეში. გევიდა ხანი. ამ ხემწიფეს ხოლია სამი ქალიშვილი გასათხოვი. მეიწვია მისი საბრძანებელი დიდი და პეტერე, გამეიყვანა სამივე ქალები და თითო ვაშლი მიცა ხელჩი და უთხრა. ამეირჩიეთ, — ვისაც ესრით, იგი იქნება თქვენი ქმარიო. ყველამ მონახა, დარჩა უცროსი ციცა. აქეთ იხედა, იქით და ვაშლი ქე-

ჩონას ესროლა. სხვა ქალები ქე წეიყვანეს. ქეჩონა და უცროსი ქალი ამ დიდარ სასახლეში დარჩა.

ასკანა, სიამაშვილი ილია, 80 წლისა

გულკეთილი ღოგილი

მეცხვარე კვირიკე ძაან დიდარი კაცი იყო. ბეური ცხვარი ხავდა, ბეური ქონება ქონდა. კვირიკეს ყამდა ძალუან ლამაზი ბიჭი. აი ბიჭი იმისანა ვაშკაცი იყო, რო უქეთესი არსა მეიძებნებოდა. ეგნატე ეთქვა ამ ბიჭს.

ერ ღლეს მამა-შვილმა გარაწყვიტეს თავისი ცხვარი კას საძუარზე წეიყვანენ. მუამზადა ყოლიფერი. გამეეწყო კარქა და გუუდგენ გზას. მიადგენ ერთ ტრიალ მიდორს. შუა ადგილზე იდგა ქვიტკირის შენობა. ეტყობოდა კაცი ცხოვრობდა აქანეი. თურმე ამ სახში ცხოვრობს მღდელი თავისი ცოლ-შვილით. ამ ღდელს ყამდა ერთი ბიჭი და ერთი ციცა. აი ცა ისე ლამაზი იყო, რომე უკეთეს თვალი გერ სახვიდა. ამ ცას ლაღე ეთქვა სახელათ.

ეგნატემ დეიძახა — მაინძელოვო. გამევიდა ღდლის ცოლი ნენე პარმალზე. იმას უკან გამოხუა ლაღე, რომელიც ნამეტარი მიეწონა ეგნატეს. ციცასაც კი მიეწონა აი კაცი. ეგნატე მამასან რო დაბრუნდა, უთხრა: ერთი ციცაი ვნახე, იი უნდა შევიროთო, თვარა ყველას დავხოცავო. ამან ძაან შიაშინა კვირიკე. მეტი გზა არ იყო, დეთანხმა. მერე ადგენ და გუუდგენ გზას.

პაწა ხნის მერე ეიხედენ ზეთკენ და ერთი მოსახლე დეინახენ. ეგნატე წევიდა ამ შენობისაკენ. დეიძახა და გარეთ შეუნიღრი ციცა გამევიდა, მარა ეტყობოდა, ლაღესანა მაინც არ იყო, ბეური ხანა ილაპარაკეს. მერე ეგნატემ უთხრა: ჩემი შენ იქნებოო. გავოცებულმა შურამ სტუმარი სახში შეიყვანა. შურას ორი ძმაი ხავდა. აგინი ასლა სამუშიერში იყვენ წასული. პაწა ხნის მერე ძმანებიც მევიდენ. დაედენ ვახშიზა, მარა ეგნატე აფერს არ ჭამდა და არ სმედა. აი დეინახა ძმანებმა და ეგნატეს კითხეს, რატო საქმელს არ ჭამო. — მე ერთი ციცა ნავხე, თუ იგი ცოლათ არ შევიროთე, ჭამა კი არა, სიცოცხლეც რაღათ მინდა, — უთხრა ეგნატემ. აი კაცი შიეცოდა შურას. ადგა და წევიდა ლაღესთან. ნავხოთ რო იქინეიც ვახშამზე არიან, მარა აი ლაღე აფერს არ ჭამს. შურა შიეკითხა ლაღეს, რატო საქმელს არ ჭამო. — ღლეს აქანე ერთი კაცი იყო, თუ იი ჩემი ქმარი არ დარჩა, ვახშამი კიარა, თავს მევიკლავ — უპასუხა ლაღემ. ამან შურა ძაან გაახარა დი პირობა მიცა, რო ამ საქმეს იგი გააკეთებდა.

შვალამემდინ ილაპარაკენ. უცფათ ეგნატემ კარზე დააკაკუნა. ლაღეს ძან გუნხარდა იმისი მოსლა. ასე რომ მიეწყო მაგნების საქმე. ეგნატე მერე დიემშვიდობა ყველას და გასწია. ღდეღმა რე გეიგო აი ამბავი, ლაღე რტყმევეით კალამ მოკლა. სულ ზრუგზე ტყავი ააძრო, მარა ლაღე მაინც არ იშლიდა. ვნახოთ, რე ღდეღმა ლაღეს ნიშნობა მუაწყო მორე ღღეს ვინცხაზე. აგი ამბავი შურამ გეიგო. ეწყინა და თან გარაწყვიტა, ეცნობებია ეგნატეზა, მარა დიდი გზა იყო ეგნატეს სახლამინ. ჩეიცვა ვაჟის ტასსაცმელი, შეიარაღდა და წევიდა. ცხენით მიდიოდა. ცხენმა გზაი იცოდა. აი, კიღემაც მივიღენ ეგნატესთან. ეგნატემ აი ამბავი მანდამაინც აფრათ ჩააგდო. ქორწილი რე იქნება, მაშინ მოვალე, უთხრა შურას. ვნახოთ, ვისი იქნება ქალიო, დუჟმატა მერე.

ქორწილის ღღეა დანიშნული. ეგნატე გევიდა იმ გზაზე, საღაც სიძეს უნდა ჩამიერო. საწყალი ეგნატე ქია შავში გამოწყობილი და ერთ მოხოულჩი გაჩერებული. გეიხედა და მოღის ვაჟი. ეგნატემ დუჟწყო ვაჟს ლაპარაკი. ჯერე აფერი არ უთხრა. წახვა ქორწილჩი. ეზოში რე ჩევიღენ, ყოლიფერი გამუაშკარდა, მარა ი ვაჟს რაღა ექნა. სახში მარტო ერთი მოხუცი დუჟუხთათ. როცა მოხუცს შეიკითხენ, სხვა სტუმრები რატომ არ არიანო, მოხუცმა უპასუხა: გეიგენ ვორი სიძე მოღისო და ყველაყა გეიქცა. იგინს ეგონენ, თქვენ ჩხუბს იზამღით, ყველაყას გაწყვეტღით.

ეგნატემ და ვაჟმა ფრთქამეთს გარახეღენ. ძან ცუღ გუნებაზე იყვენ, ეტყობღენ. შეიქნა ჩხუბი; ეგნატემ დაძღია, ვაჟმა აკოცა და უთხრა: აი ქალი შენ გყავღეს, შენ ხარ იმისი ღრისიო. ვაჟმა წასღისხან კიღო აკოცა და გაშორღა. აი საქმე თურმე შურას მიეწყო ჩუმათ. აგი მერე გეიგო ეგნატემ. შურას დიდი მაღღობა გაღღუხნაღა. სიკტიღამღი ჩემი გულკეთილი ღობიღი იქნებღო.

ერთ საღამოს ეგნატე იმ უცხო ვაჟს ეწვია. კარქა შეხთენ ერთქამეთს. ეგნატემ ამ ვაჟს შურა შეთავაზა ცოღათ. დიეთანხმა ვაჟი. ორივე სიძენებმა ერთათ იქორწიღეს. სიკტიღამღინ ერთქამეთს არ იმიწყებღენ. ტკბიღათ და ბეღნიერთ ცხოვრობღენ.

მახარაძე, სიამაშვიღი ღავრენტი, 75 წღისა

მეფის შვიღები

ერთ მეფეს სამი ვაჟი და სამი ციცა ხავღა. როცა აი მეფე მოხუცთა, დეიბარა თავისი შვიღები და უთხრა: შვიღებო, მე ღმა მოხუცებული ვარ. ჩემთვის მუახლოებუღია სიკტიღის ღღეი. რო-

ცა მე მოვკტე და დამარხოთ, პირველ ღამეს მიყალაუროს უნფროს-
მა შვილმა. ჩემ სამარხზე მუა შავი კაცი შავი ცხენით, იმას მიეცით
უნფროსი დაი. იგი იქნება შავი ხემწიფე.

მორე ღამეს მიყალაუროს საშვალმა შვილმა. ჩემთან მუა წი-
თელი კაცი წითელი ტანსაცმლით, წითელი ცხენით. იმას მიეცით
საშვალი დაი. აი იქნება წითელი ხემწიფე.

მესამე ღამეს მიყალაუროს უნცროსმა შვილმა. იმ ღამეს მუა
თეთრი კაცი თეთრ ტანისამოსში გამოწყობილი, თეთრი ცხენით. იმას
მიეცით უმცროსი დაი, აი იქნება თეთრი ხენწიფე. ესთე ქენით, შვი-
ლებო, დანებს ამნაირათ გაათხუებთო — თუ თქვენ იქნებით ერთათ
და ერთქმანეთს არ მოშორდებით, იცოდეთ, ტერი ვეფერს დაგაკ-
ლებს. თუ დეიბნევით, ტერი სულ ადვილათ დაგიმორჩილებს. აი
ანდერძი ასთე დეიმახსოვრეთო. სტორეთაც სამი ღღის შემდექ აი
კაცი მოკტა. შვილებმა მამის დარიგებაზე გკიარეს. მამა დამარხეს.

პირველ ღამეს უყალაურა უმფროსმა შვილმა. ამ პირველ ღამეს
მეღიდა ი შავი კაცი. ამ კაცს მისცენ უმფროსი შვილი — დაი. მორე
ღამეს საშვალმა უყალაურა. მევიდა წითელი კაცი. ამას საშვალი
დაი მისცენ.

მესამე ღამეს ყალაურობდა უნცროსი შვილი. მართლაც მევიდა
თეთრი კაცი, რომელსაც უნცროსი დაი ჩააბარეს. ასთე სამუე დანე-
ზი დაათხუეს ძმანებმა.

აი ძმანები ერთ წელწადს ქე ცხოვრობდენ ერთათ. მერე გარი-
გება მეითხუეს, მარა აიც უნდა ვიცოდეთ, რო მამამ შვილებს დუ-
ტია სამი ქონება, — მიწა, წყალი და ფული. ქონება უფროსმა ძმამ
გახო. მიწა დადვა ერთ წილათ, წყალი — მიორეთ და ფული კი მე-
სამეთ. ფარღის ამოღება პირველათ აკუთნეს უნცროს ძმას. ამან
ფული ამეიღო, საშვალმა კი წყალი, უმფროს მიწა დარჩა. ამას შემ-
დეგ ცხოვრობდენ მისდა.

უნცროს ძმას ფული დიელია. მეტი აფერი არ აქვს. მართო სამი
ბეჭედი აქვს, რომელზეც სახელი და გვარი აწერია. მეტის მქონე
არასფღის არ არის. აი კაცმა ადგა და ერთ ღღეს მივიდა უმფროს
ძმასთან. ძმამა ვორ ღღეს ბატივი ცა. მესამე ღღეს კი უთხრა, წადი,
მე ვერ გარჩენ. რეიზა მანდანანინც ფული ეირჩიე; რა გიჭირდა, მიწა
ამეგედო ან წყალი. აგნები ხუარ დაგელეგოდაო. ახლს საცხა გინდა,
იქინე წადიო.

ადგა უნცროსი ძმაი და ახლა საშვალ ძმასთან მივიდა. ამანაც ერ-
თი ღამე გაათეგია. მეორე ღღეს კი უთხრა, სადაც გინდა იქით წა-
დიო. ადგა აი საწყალი ძმა და ერთ ღღიდ მიდორზე გევიდა, ღაქდა
და დეისვენა. გეინდა და შვაგულ მიდორში ამოხტა ქალი მიწიდან

და ცეკობს. ამ ბიჭმა დაფიქრა, აი ქალი უნდა დევიჭირო და ცოლათ შევირთოო. მივიდა ბიჭმაც და დეიწყო ცეკვა. ბოლხანს მოკიდა ხელი და დეიჭირა, როვარც სახეზე შეხედა, იმ წამსვე ქალი გეექცა და იქავე მიწაში ჩავარდა. ბიჭი დაღონდა, გულდგა ისთავ გზას. მიდის და ფიქრავს, თუ როვა დეიჭიროს აი ქალი. საღამოს პირას გევიდა ერთი სოფლის საცივთან და დეისვენა. გეიხედა, რო ციცა მივიდა წყლის წასადებათ. ბიჭმა კითხა, ცა, ვისი ხარ, სა ცხოვროფო? მე შავი ხემწიფის ნაბარევი ვარო. ბიჭს გუუხარდა და უთხრა.

— მე გაგატან ბეჭედს; აი ბეჭედი ჩააგდე თუნგში. როცა დედოფალს პირს დააბანიეფ, ძან გარმოწიე თუნგი. ბეჭედი ხელზე დუუარდება და ი მისთება ყოლიფერსო. მეტს ნუფერს ეტყვიო.

ცეცა ისე მეიქცა, როვარც იმ ბიჭმა დაარიგა. დედოფალი გეკვირდა და ციცას უთხრა: აი ბეჭედი ვინცხამ გამოგატანა, საღაა ი კაციო.

— საცივთან ჟდანა, ბატონო. — მუუგო ციცამ. დედოფალმა გუგზანა ვეზირები. მუაყვანია ი ბიჭი. დედოფალს ძან გუხარდა ძმის ნახვა, მარა ნამეტანი იყო მოწყენილი. დედოფალმა კითხა: რაზე ხარ მოწყენილიო. ბიჭი აფერს უჩიოდა პასუხს. როცა ეახშმათ დაედენ, ბიჭმა ვახშიმი არ ქამა. ქე იყო მოწყენილი. არც ლაპარაკობდა. მგრე ყოლიფერი უთხრა დას. თავი უნდა მევიკლა, თუ ი ქალი ვერ დევიჭირე და ცოლათ არ შევირთეო. დამა ტირილი დეიწყო და ძმას უთხრა, — შენ რაფრა გინდა ი ქალი დეიჭირო. იმ ქალს დეეს ცხრა წელიწადია ელენქმელექის ხემწიფე ცხრაი ფეხიანი რაჟით და ვერ დუჭირავსო. მემეცი ორმოცდაათი კაცი და დევიჭირავო. — ასი იყოს, — უთხრა დამა სიხარულით.

აი ბიჭი დილას ორმოცდაათი კაცით წევიდა იმ მინდრისაკენ. როცა მიდორში შევიდენ, ამოხტა ი ქალი მიწიდან და დეიწყო ცეკვა. ბიჭმა უთხრა მხლებლებს, — შემოვქალტოთ და მე დავიჭერო. კაცებმა შემოქალტეს, ბიჭი მივიდა და დეიჭირა. რავარც კი პირზე შეხედა, იმ წამსვე გეექცა და მიწაში ჩავარდა. აი ხალხი დაღონებული დაბრუნდენ უკან. ბიჭი კი სხვა გზაზედ წევიდა. სამი დღეი რო იარა, მივიდა ერთ საცივთან და დეისვენა. მოვიდა ერთი ციცა. ბიჭმა ამა-საც კითხა, — ვისი ხარ, სა ცხოვროფო. მე წითელი ხემწიფის დანა-ბარევი ვარო, იქინეი მიმაქ წყალიო. ბიჭმა აქანეც ასთე მეიქცა, მარა აი ქალი მაინც ვერ დეიჭირა. დაჭირვით კი დეიჭირა, მარა როვარც პირზედ შეხედა, იმუნუჩი გეექცა. ახლა ბიჭი მესამე გზაზე წევიდა. საცივთან დეისვენა. აქანეც მოდის ციცა წყლიზა. იმასაც ისთე უთხრა, რავარც პირველ ორს. აი ციცა თეთრი ხემწიფისა გამე-

ვიდა. სახში შეიყვანა მოწყენილი ბიჭი. დას ძაან გუხარდა ძმის ნახვა. ყოლიფერი გეიგო დამა და ძმა დაარიგა: მიდი შენ სიძესთან. იმას ჩიტი ყამს. უთხარი მახუქე-თქვა, თუ გახუქა, მერე დეიჭირავ იმ ქალს. აი ბიჭი იმინუჩი მივიდა სიძესთან და უთხრა: სიძევ, მახუქე, შენ რო ჩიტი ქყავსო.

— ფეშქეში, — უთხრა სიძემ, — ჩემ ჩიტს ასი კაცი ჭირდება საქმლის დაყრახე, ორმოცდაათი კაცი წყლის დაღვევაზე და ვორასი კაცი გარე გამოყვანაზეო. გააცნო ხემწიფემ ჩიტის ამბავი. ჭი მევიხმარ ამ ჩიტსო, — უთხრა ბიჭმა. სიძემ უბძანა, ჩიტი გამეყვანათ კარში. ბიჭი მივიდა ჩიტთან. ჩიტმა უთხრა: ზრუგზე უნდა შეგაყდევო. ხაერში გისრიო, — უთხრა ჩიტმა. ქვეშ მეგექცევი — უპასუხა ბიჭმა. ჩიტს გუჯვირდა ბიჭის სიტყვები და უთხრა: აწი შენი ვარ, ნუ გეშინიაო. ჩიტმა ყოლიფერი ანმბავი გეიგო. ბიჭი შეყდა ჩიტზე და გასწიეს იქით, სადაც ქალი იყო მიდორში. ჩიტმა უთხრა ბიჭს: მე რო გავალ მიდორში, მე იმ ქალს დევიჭირავ, ზურგზენ შევიჯენ, მარა თვალეშში არ ჩახედოვო. მივიდენ თვარა იმ ადგილზე, ქალი იმინუჩი ამოხტა და ცეკვა დეიწყო. კარქა რო მეიღალა ცეკვით, ჩიტმა ქალი დეიჭირა და ზრუგზე შეისხვა. ბიჭმა ველარ მეითმინა და თვალჩი ჩახედა. ქალი მაშინათე მიწაში ჩაძრა. მეორე დღეს ისთავლე წევიდენ, მარა ყოლიფერი ისთე გამეორდა. როვარც იქნა, მესამე დღეს დეიჭირეს აი ქალი და, როცა ღელეში გეიყვანეს, ჩიტმა უთხრა: ახლა შენიაო. ბიჭმა სახეში ჩახედა. მიწის ქალიც მეხეხია. დეიწყეს ერთათ ცხოვრება, მარა ვაი იმფერ ცხოვრებას. აი ქალის დაჭირვის ამბავი გუგია ელექმელექის ხემწიფეს. წამევიდა ქალის წასართმევათ ცხრა ფეხიანი რაჟით. ბიჭი და ჩიტი სანადიროთ იყვენ. სახში მართო ქალი იყო. აი ქალი დეიჭირა და წეიყვანა თავისი რაჟით. ბიჭი და ჩიტი რო დაბრუნდენ, ქალი აღარ დახთა. მიხთა ჩიტი, რაში იყო-საქმე. გამეიკიდა რაჟს. რაჟი ზღვაში შევიდა. გევიდენ გაღმა. აგინიც გევიდა. ჩიტმა უთხრა ბიჭს. მე ახლა მოვკტები, მარა როვარც გასტავლო, ისთე მეიქეცი და ყოლიფერს გააკეთეფო. მე რო მოვკტე, დამარხე აქ და თავზე პალო დამასევე, შენ წაი. წყალი რუმ შექხთეს, მერე შეყევი იმ ქალას. სულ ზეით ნახავ, რო დედაბერი ჟდანა დიდ ქვაზე, რომელსაც ძუძუები აქ ასოცი ფუთი. მიეპარე უკანამიდან და პლატუკი თვალეშში ფერთხე და უთხარი, შენ დედა და მე შვილითქვა. ყველაფერს მოგიწყობსო, მარა, თუ დაგინახა მიწლამდინ, იცოდე, ვადაქყლაპამსო.

ჩიტმა მოკტა და ბიჭმა დამარხა, როგორც დოუბარა. მერე წევიდა ბიჭი და დედაბერს უკანიდან პლატუკი ფერთხა თვალეშში

— იმ სულელ, წაწყვენილიმა ჩიტმა გასტავლა მაგი? უთხრა დედაბერმა. ახლა წაი იმ ჭალაში ზეით. იქინეი ერთი ცხენი არის გაჩერებული. იგი დღეში ცხრა კვიცს შობს. შემოსეული ხავს ცხრა მგელი. თითო კვიცი თითო გელისა, ლურჯი კვიცი რო დეიბადოს, დასტაცე ხელი და წამეიყვანე. შენ გამეგეკიდება იმგელი, რომელცხენის ლუჯმა, მარა რამენაირათ შეიშორე.

აი ბიჭი ასეც შეიქცა და კვიცო ქე მიეყვანა. დედაბერმა კვიცი ძუძუზე მიისვა. ცალი ძუძუ რო გამოწუტნა კვიცმა, თითქმის ცხენზე დიდი გახდა. მეორე ძუძუ რო გამოწუტნა, რომელი ჩიტი და რომელი რაჟი იქნებოდა, იმხელა შეიქნა ლურჯა. თითქმის ორივეზე მეტი ძალაც ქონდა.

ლურჯამ უთხრა: შენ რა გინდაო. ზურგზე ნინდა შეგაყდიო, უთხრა ბიჭმა. ხაერში გისრით — უბასუხა ლურჯამ. მაშეინ ქვეშ მეგეკევიო — უთხრა ბიჭმა. შიაჟდა ლურჯას ზრუგზე და წევიდენ ქალის მოსანახავათ. მივიდენ ელექმელექის სახემწიფოში. ლურჯამ მაღალ კოშკში დეინახა ქალი. ხემწიფე სანადიროთ იყო წასული. ლურჯამ და ამ ბიჭმა წამეიყვანეს ქალი. დიედენა მაგნებს ელექმელექის ხემწიფე, მარა მისი კვალი ვერ გეიგო. ქე დარჩა აი ქალი ამ ბიჭს და ცხოვრობდენ ტკბილათ.

შემოქმედი, დარახველიძე ილარიონ, 76 წლისა

სიზმარი

მოჯამაგირეთ ვიყავი ქადვიშვილისას ვიზურგეთი. იი მაწყვესიებდა ჯამბეჩებს. მე ვიცოდი თებზაობა და მეინტერესებოდა აგი. თებს ვიჭირვიდი და უზიდვიდი ხაზეიკას. რუმ ხელი არ შემშლოდა, კამბეჩები დავსარქე და ისთე დადიოდა. ვნახოთ, რუმ აი კამბეჩები ჩაწოლილა წყალში და ერთი ქე დამხჩვალა. გევიქცი და წევედი აქედან. ვერც შინ მივალ და ვერც იქინე. წევედი და მივედი ერი კაციას. დღდექი მოჯამაგირეთ. ქალი ტირილიწი წევიდა. ქათმები მე დამიტია. არ დეკარქოს, თვარა ვაი შენი ბრალიო. გევიხედე და წამევიდა ქორი, დიეცა წიწილას, წეიყინა. წეიყვანა მიორე. რუმ ყველა არ წიღო ქორს. აი ქუჭულები მივაბი მოჭუას, იმას მივაბი ფხხზე. ვიფიქრე, უმფრო დევისვენეფ-მეთქი. ამ ქათმების იმედი მაქ: აფერი წეიდებს. უცფათა წამევიდა ერთი დიდი ქორი და აი მოჭუა და ქუჭულები ქე წეიღო ერთათ. ბიჭო, რა შობი ახლა?! გევიქეცი, იცოცხლე წევედი... გავშორდი ვოჯახს სამი ვერსით და დაღამდა კიდევაც.

წივეწიე ერთ კაცს, მუუკუდღურებია ზრუგში ბებია ქალი და მიხავს შინ. გამარჯობა, ბიძია; გავიმარჯოს, ბიძია! ბიძია, ღამე გამათევინებოქი? წამოიო, მითხრა. წაახევი. პაწა რომ გევიარეთ. შემეხიდე, ზიძიაო, მითხრა. მევიკიდე აი დედაბერი. ი წინ მიდის, მე უკან მივხობი. მიდის აი ყაძახი და არ იხედება უკან. მერე აღარც შემეხიდა. ვუძახი, რამდენია გზა, არ მითხრა. ახლოს ვართო და მიდის. აგერ ერთი ჯიკვი დეკინახე. ბებიას უთხარი — ჩამოჯექი ამ ჯიკვზე-მეთქინ. ჩამოყდა. მე შუშვი ხელი. აი დედაბერი წვეიდა და ჩაჯარდა. თურმე აი ყოფილა ჭაი, დეიწყო ჭაში ტყუპუნი, ყლიბა გაყარია შითე. მუსვი ხელი, მართლა ჭაია. გევიქეცი. წინ გუარე ამ კაცს. გამარჯობა, ბიძია; გავიმარჯოს! ბაღანა თუ შექხთა, დედაბერი რუ მოხვდლო? კი-მეთქინ. ეგერა ჯიკვზე დასვენებული-მეთქინ. გევიქეცი და წვეიდი. იმან რა ქნა, არ ვიცი. ვირბინე და წავეწიე სამ კაც. შეიარაღებული არიენ. გამარჯობა, გავიმარჯოს, სადაური ხარო? მე უთხარი ღამის გათევა მინდა-მეთქინ. წამოიო, წაახევი, ვორი ქე ჩამოქეშორდა. აი კაცი მიდის და მიდის. ევიდა ერთ ეკლესიაზე და გაშალა სუფრა. გმოვძეხი ძალიანი. მეფერება აი კაცი. მე რასაც გეტყვი, აგი უნდა გააეთეოვო, მითხრა. კა-თქვა, უპასუხე მე. რაია აგიო? ეკლესია არის-მეთქინ. რაია შითეო? ფულია-მეთქინ. ჩაძვერი აბაო. ავდექი და ჩაძვერი. წვიტი ქე ვიყავი. ვაძლიე ფულეხი. გავცალე ეკლესია. ამ ხანს გავარდა თოფი. თურმე ყალაური დიეცა თავზე. შეიქნა ზარების რეკა. ქურდია ეკლესიაშიო. მე ავანთე სანთელი. დამიპირეს სტრაქებმა — რაი გინდა აქანეო. უთხარი ყოლიფერი. ამწიეს და ჩამაბარეს ღდეღს. ღდეღმა შინ დამაწყევა ბოქკაში. ბოქკას ერთი ნახრეტი ქონდა, იქიდან მაძღემდა ქადს. ხან ვიჯედი, ხან მიწოლილი ვიყავი. ვნახოთ, რომე ამ ბოქკასთან შემეგჩეცია ერთი ძალი. რო მომჩებოდა, უყრიდი ფიხხას. ერთ ღდეს კუღში მოვიკიდე ხელი, მოვიწიე. კივა და კივა. იწიწა, იწიწა და აგორდა აი ბოქკა და ქე წვეიდა ამ თავფერღში. მე ხან ვეჯახუნებო, ხან მაფრაწუნებოებს თავს. ბოქკა მოხვდა ერ წიფელს და გასკრა აი ბოქკა. გამოეშპი და ზევიქეცი. ჩივედი ზღვის პირას. გევიშპე ტანი და ჩავარდი ზღვაში. იტურავ წყალჩი და ვარ. ვნახოთ, მუა ერთი დიდი თებზი, ყოლიფერს ყლაპავს. მუაწია ჩემთან. ამილო და გარამყლაპა. რა ვქნა-მეთქინ. მივირე. მევირე ხელი და ჯაყვა არ მაქ ჯიბეში?! გუსვი და გუსვი ამ თებზს. გამწარდა თებზი და მევიდა ნაპირზე. გავკარი თებზი და გამევიქეცი. დამაღამდა ერთ ტყეში. არის ბეური გელები. ვიფიქრე, შემქამს გელები-მეთქინ. აგერ ბუკები ნავზე, ერთი ბუკი ცარიელია. ჩავეძვერი შითე. წამოსულარიენ თაფლის ქურდები. ექებენ ყველაზე

ძიმე ბუკს. მევიდა ერთმა და დეიყვირა — აგერა ბევრი თავლიო შემბოკეს და წამიღეს. ერთ ადგილზე წყალია გასავალი. ძან ფთხილათ გამიტანეს ხილზე. მიმიტანეს შინ. იმას შინ სტუმრები დახთა. ამიღენ და ბელელჩი დამტიენ. გავკარი აი ბაწარი და ამევედი ზეით ბიჭო! რა გინდა, რუ არ არი აქანეი. ვკამე და ვკამე. ქალს დაჭირვებია რაცხა. შამევიდა ბელელჩი ქალი. იკოვლა ქალმა. აუბა ხა, მომდევენ და მომდევენ. აქეშელებული მუარდი შინ. წამოკვარი ფესი სკამს და ქი გარმუარდი ლოგინიდან. ა მაშვინ კი გამემელვიძა.

ასკანა, სიამაშვილი ივანე, ნწ წლისა

საიჭიოს მიმავალი

ცალი ხარი ხავდა ერთ კაცს. ფულს მუყარა თავი და მორეს საყიდლათ წევიდა. ცოლს ღუბარა. — სახში ყოლიფერი დამახერედე გაკეთებულო. ქალმა დეიწყო ბურდლის წეწა შეიწია ქალების ნადი. აი ხალხი ნადს რო შეიწევს, რაცხას კლავს. მეც უნდა დავკლავო. ეილო და ქე დაკლა ი ცალი ხარი.

კაცმა მორე ხარი იყიდა და ქე მევიდა ღამე სახში. ქალს საკმელი მოთხოვა. ქალმა უთხრა. — ნუ ამყენეფ, შედი შკაფში და კამყო. რაია გაკეთებულო, — იკითხა კაცმა. ყოლიფერი ქია: გინდა სოუზი, გინდა მშრალი. წუხელი ნადი მყავდა. ბურდლა დავწეწე და ხარი დავკალიო. კაცი გედირია, შეწუხთა. ქალი რაფრა მოკვლო. რადე ეკმებოდა?! ადგა და წევიდა. იქნება ჩემსავეთ სულელი ქალი სხვასაც თუ ხავსო.

მიდის აი კაცი. გეიხედა, რო ქალი ტირის ქმარს: „რა უყო შენ დატიებულ ფულს და ყოლიფერ სხვასო“. გეიგონა აი ამ კაცმა. მივიდა და ქალს ურჩია: მე საიჭიოს მივდივარ. ხუარ გამატან რამეს შენ ქმართანაო. დატრიალდა ქალი, ყოლიფერი დუჭუჭკნა, მოუყრა თავი დიდ ფოტაში (ფუთა) და წაატანა.

სალამოზე ამ ქალის მახლი მევიდა. ქალი მხიარულათ რო ნახა. კითხა: რატო ხარ ასეო. ჩემა ქმარმა რაც დატია. ყოლიფერი წავატანე საიჭიოს მიმავალსო. — უთხრა ქალმა, მახს აფერი უთქვამს რძალიზა. შეედა ცხენზე და წევიდა იმ გზით. დეინახა, რო აი კაცი მიდის შორ მანძილზე. იმანაც შეხედა, რო ცხენიანი კაცი მიზდეგს. ახლოს წისქვილი იყო. შევარდა შითე. მეწისქვილე ერთი ქაჩალი კაცი იყო. არიქა, უშველე, ქაჩალს ქლავენ, გეიტლიცე მიწავო. ამელიო წისქვილის პოლი და აი მეწისქვილე ქე ჩასვა ქვეშ. თვითან კი არხენათ დაჟდა. ამ დროს მუარდა აი კაცი. ცხენი გარდამ დატია. შამუ-

არდა წისკვილს. ამ კაცს დიეკითხა: რეიქნა ი კაცი, აქანეი რო შამევიდაო. იმან პოლი ეილო და ჩაძრა ქვეშო. ასწოა პოლი და დენინა-ხა მეწისქვილე ქვეშ. ჩახტა მანც. იქინე ღუწყო ცემა. ამასობაში აი კაცი გამევიდა ფოტით (ფუთით) კარჩი. შეედა იმ კაცის ცხენზე და მუსვა. მაზმა ამეიყვანა ვალახული მეწისქვილე ზეით. უნდოდა უკან წამეეყვანა, მარა სალა იყო ცხენი?! მაზლი ფეხით დაბრუნდა სახში. რთალმა კითხა: ცხენი რუყავიო? აი ცხენი ჩემ ძმას ნამეტარი უყვარ-და და იიც გუგზანეო.

დიდი ქონებით და ცხენით დაბრუნდა ი კაცი სახში. ქალს უთხრა: აფერიო, მემეხმარა ღმერთი: სხვასაც ყოლია შენფერი აბდალა ცო-ლიო.

ბახვი, ბესარიონ ცეცხლაძე, 68 წლისა

გლეხი და მოსამართლე

ერთი ღარიბი კაცის შვილი წვივიდა სასტავლებელში. მარა რა ქნას, უფულოა. გეიარა რამოდენიმე გზაი, მოშივდა. მიადგა ერთი სოფლის ღუქანა და ვაჟარს უთხრა: საკმელი მაქამე, ფული არ მაქ, მარა, თვარ მოვკტი, ქე გარავიხთიო. ვაჟარმა მუტანა ერთი გირვანქა პური, ხუთი კაკალი კვერცხი და ნახევარი ბოთლი ღვინო. როცა შე-ქამა, კითხა: რა ღირაო? თვალათ ერთი აბაზიო, უთხრა ვაჟარმა. მერე ვაჟარმა იგი ერთი აბაზი დევთერჩი ჩეიწერა. აგი ბიჭი წვივიდა თავის გზაზე — სასტავლებელჩი. აგი კაცი შუდგა ამ აბაზის მუშა-ობას და იმდონი ამუშავა ბიჭის წამოსლამდი, რომე ქე შეიქნა სამოც-დაათი მანეთი. გულჩი ფიქრავდა: ამ ფულს ჩუტან და ჩემ ვალს გა-რევიხთიო. მართლა მუტანა აგი ფული ვაჟარს, მარა ვაჟარმა რუმ ჩახედა დევთარჩი იმ ბიჭს უთხრა: შენ რუმ კვერცხი შეგიქამია, მისი ნამრავლი მემეცი. პურის და ღვინის ფას მე შენ არ გახთიეფ.—მა-ინც რამდენს იმრავლებდა იგი შენი კვერცხებო, — ხკითხა ბიჭმა. ვაჟარი მუყვა: ხუთი კვერცხი ხუთ ჭუჭულს გამოკეკა და ხუთი დედალი იქნებოდა. ხუთი დედალი ამტენ კვერცხს დადებდაო, ამტონ ჭუჭულს გამოკეკაო. — ასე რუმ იანგარიშენ, სამ წელიწადში შვი-დასი მანეთი მუწია.

—ამტენი ფული მე არ მაქ. თუ გინდა, სამოცდაათი მანეთი ეილე, თვარადა წვივიდეთ სულჩი, იგი რასაც გარამიწყევტს, იმას გარავიხ-თიო. კარჩიო, — უთხრა ვაჟარმა.

ახლა აი ბიჭი მიდის გზაში დაფიქრებული, ვეჭილი უნდა, მარა ვინ მოძიოს, არ იცის. დენინახა, რუმ ერთი კაცი ყანას ხნავს.

იმიზა გამარჯობა არ უთქვია ამ კაცს. მაშინ გლახმა დუძახა. — კაცო, შენ გამარჯობა რატომ არ მითხარი? უკაცრავათ, მარა რაცხა დაფიქრებული ვიყავი და იმიზა არ გითხარიო.

— რეიზა იყავი დაფიქრებული? აგი კაცი მუყვა ასე და ასე იყო ჩემი საქმეო. ახლა რავარც ხედავ, ხუთი კაკალი კვერცხის ნაშეირს მთხოვს და რა ვქნა, არ ვიციო. უბედურება იგია, რუმ ამ საქმიზა ვეჭილი ვერ ვიშონე და სტორეთ ამიზა ვიყავი დაფიქრებული.

— მე გაგიწევ ვეჭილობას, — უჩივის აი გლახი. ძან გუყვირდა ამ ნასტავლ კაცს—გლახმა როვა უნდა მაჯობოსო. მორე დღეს აგი გლახი ქე მივიდა დაკოტავებული და წელჩი ჯოხგარქობილი სუღჩი.

— მალე ქენი, მეჩქარება. სამუშაოთ უნდა წევიდე. მე იმ ნასტავლი კაცის ვეჭილი ვარ და იმისი საქმე გაარჩიე, — უთხრა ამ გლახმა. სუღმა გაკვირებით შეიკითხა, — რა ვეჭილობა იცი, ან რაი გაჩქარებსო. — როვა რაი მაჩქარებს?! ყანაჩი მოხარშული სიმინდი მაქ დათესილი, ყვავები შემიჭამსო. სუღმა დარაჯებს დუძახა: ეგი ვინცხაა გადარეულა, გარეთ გააგდეთო. მერე სუღი მუტრიალდა და გლახს უთხრა: მოხარჩული კეკალი რაფრა ამუავო? — ჰო. ბატონო, თუ მოხარჩული კეკალი ვერ ამუა, მაშინ მოხარჩული კვერცხი ქუჭულებს რაფერ გამოკეკსო. ახლა ქე მიხთა სუღია, რაშიც იყო საქმე და აი კაცი ქე გაამართლა.

ბახვი, ცეცხლამე ბესარიონ, 68 წლისა

მეჭყვილია

ერთ ხემწიფეს ერთი კაი ქალიშვილი ყამდა. ხემწიფენ ბანება გაცა, — ვინც კაი სიმცრუეს იტყვის, იმას მივცემ ჩემ ქალსო. ვეზირები დაინტერესთენ. ამათ უნდენ, რომ ეგი კაი ქალი არევენ არ წეიყვანოს აქიდან. დაჟდა მეფე თავისი ვეზირებით. მოდის ხალხი, ამბობენ ამბავს. მინისტრები ჩივა, ეგი არ არის სიმცრუე, ეგი მართალიაო. მევიდა ერთი მოხერხებული კაცი და დეიწყო ამბავი:

— მე ოკეანეს ერთი ზღვის პირჩი მქონდა ყანა. ამ ყანაში ყოლიფერი დათესილი მქონდა. ერთხელ ჩევედი ყანაჩი, მინდოდა, ხაპი მემეკრიფა, მარა ჩემ ყანაში ქია ხაპი ამოსული, მარა ხაპი აწანეი არ მოუბამს. გავყევი, გავყევი და ბევრი რო ვიარე, რას შევხედე! იგერ ამერიკაში დიესხა ხაპები. იმტელი რუმ ვიარე, ქე მომ-

მივდა: მინდა ხაზი შეიწკა. მარა მარლი არ მაქ. აი ვეტყუე აგერ გორს და ბოტრი მარლი ვიშონე. ევიდევი ყოლიფერი ფხარზე, დააღუქა ზღვაზე გაწოლილი ხაპის ლერს და ვიარე და ვიარე, ქე შევედი აქანო — დააღუქა თავისი ამბავი. რა ექნა მეფეს? ვერ ვიხილა. უნ ვეი ამბავი მართალიაო. მეფემ აი კაცი მიორე დღისთვის დეიბარა: გეიხედენ და მორე დღეს აი კაცი მართლა ქე მოდის, რაო ას ცარიელ ბოქკას მოავორებს. ყველა ბოქკები ჩამუაგორა ეზოში. მეიწმინდა ვოფლი და გამიეცხადა ხემწიფეს. ევი რათ გეწკაო — კოთხენ ამ კაცს. — როვა რათ მინდა, ჩემო ხემწიფეო. შენ მამას მამახენის ასი ბოქკა ვოქრო ემართაო. ხემწიფეს რაღა ექნა?! თუ ეთქვა — მართალიაო. მაშენ ასი ბოქკა ოქრო უნდა მიეცა. ამიტომ ეილო და ქე გაატანა თავისი ქალიშვილი ამ კაცს.

მამუშარმბი

ერთმა კაცმა ერთ კაცს თავი მოაწონა და უთხრა: მე იმისანა ქორწილში ვიყავი, ოთხი ფუთი ზაფრანა დეიხარჯაო. მაგი მართალი იქნებაო. — მე ქუთეიში მქონდა კარქი კიტრი. ჩევედი ბოსტანში. ვეძიე. ვეძიე და ვერ ვნახე. თურმე აი კიტრი წასულა და ტელიღში მოუსხანს კიტრებო.

— შაი რაფრა იქნებოდაო? — უთხრა პირველმა.

— დუველი შენ ზაფრანას, თვარა ჩემი კიტრი მოსკოვში ამოყოფს თავსო.

გეგელი

ერთ დიდარ კაცს ხავდა ძან ხარჯველი შვილი. მამას უნდოდა ნ სტავლი შვილი ყოლოდა. რაც შეეძლო, ასტავლიდა. დანბოლოს შეკლმა უთხრა. — აქანეი რაც ვისტავლე. არ მყოფინს. ახლა საზრდარგარეთ მინდა წასლა. ფული უნდა მიმონოვო. ბოტრი ირბინა მამამისმა. მარა ფული ვერ იშონა. მეტე შევიდა ერთ ვაქართან და ფული თხუა. ვაქარმა უთხრა, — ფულს მოქცემ, მარა, რო ვადაზე არ მომიტანო, სადაც მინდა ერთ გირვანქა ხორცს იქ აოქქრო. დეეთანხმა საწყალმა მამამ. ევი პირობა შევილმაც ქე გეგო, მარა მაინც წევიდა გრანცაში. იქნე რომ ჩევიდა. ერთ სასადილოში სადღიზა შევიდა. გეიარა პაწა ხანმა და მის გვერდით ენცხა ლამაზი ქალი დაედა. პაწე ხნის მერე აი ბოქი იმ ქალს დუმეგობრდა.

გვეიდა ხანი და ქე შოუყვარდენ ერთქამეთი. აგერ უქე ჳვარცი დეიწრონ, მარა ბიჳს ვაახსენდა, რომ ნახესხი ფულის ვადა გვეიდა. საცოლოს უთხრა: სახში რუმ არ წვეიდე, არაფრიზა არ იქნეზაო. რაღას იზადა საწყალი ქალი. წეიძრო ბექედი და გამუაჭანა ნიშნათ. ფულიც ბეური ჩუდვა ჳიბემო.

მევიდა აი ბიჳი სახში. მამა და შვილი მივიდენ ვაჳართან და უთხრეს: რამდონიც გინდა. წეილე ფული. ნუ გეიჩილეფო.

ვაჳარი თავის პიროზას მეითხოვდა. პაწა გარაშორდა ვადა, თუ ბეერი, პიროზა. პიროზაა.

იმ ქალმა ჩეიცვა კაცის ტანისამოსი და წვეიდა იმ ბიჳის ქალაქში. დაჳდა და გასტინიცაში ვაზეთა კითხვა დეიწყო. გასტინიცის პატრონმა უთხრა ამ ქალა: ჩვენ ქალაქში ძან ცუდი ამბავი ხთება: კაცმა ვაჳარდან ფული ისესხა და ვადაზე რომ ვაროცილდა, ახლა ხორცის ამოჭრას უპირებსო. ამ ქალმა (ახლა კაცი) ტანისამოსი რო აცვია) მონახა იკაცი და გეიგო თელი ამბავი და იმ კაცის ბიჳს მუბრუნდა.

— რუმ მოგიგო მაი საქმე. რას მომცემ?

— რაც გინდა, იმას, უპასუხა ბაჳმა.

— მაი ბექედი მემეცი, უთხრა ქალმა (ფორმით კაცმა). აი ბიჳი ბეური ეხვეწა: ბექედა ნუ მთხოვ. სხვაა რაც გინდა. ეს იყოსო, მარა ქალი მანდამინც ბექედს ითხოვდა. მეტი გზაი აღარ იყო: ბიჳი შეპირდა ბექედს. წვეიდენ ახლა სასამართლოში. ამ კაცმა (ქალმა) უთხრა ვაჳარს: მე თანახმა ვარ. იმ კაცს ამოჭერი ხორცი. გინვარქაზე არც მეტი იყოს და არც ნაკლები. ახლა კი დეიბნა ვაჳარი. აღარ იცოდა. რაღა ექნა. საქმე წაგებული შეიქნა ვაჳარიზა.

წეილო ვექილმა კაცმა (ქალმა) ი ბექედი და ქე წვეიდა. ახლა ეგი ჩავარდა უხერხულობაში, აღარ უნდოდა წასვლა, ბოურმა მოუძახა, — წადი იგიც ადამიანია, დაგთმობსო. ბიჳი მართლა წვეიდა იმ ქალს სტორეთ გასტინიცაში შეხთა. ძალიან გეეხარდენ ვორივეს. ბიჳი მოუყვა. რავარც იყო მისი საქმე. ქალმა უთხრა: აი შენი ბექედი არ უნდა მიგეცა იმიზაო და ამ დროს ქი დაანახა ქალმა ბექედი. ახლა კი მიხთა ეგი ბიჳი ყოლიფერს, რუმ ყველაყა ამ ქალმა მიიმოქმედა. დეიწერა ჳვარი და ქე ცხოვრობდენ მეგობრულათ.

ასკანი. სიამაშვილი ივლიანე, შნ წლისა

სამსბრთლიანობაჳმ ბაიმაზჳვა

ერთ დამეს კაცის მკლელობა მოხთა. აი მკლელობა აგერ ვინცხა მართალ კაცს დააბარეს. საწყალ კაცს ათი წლის პატიმრობა

უწევდა. სუდიას ასე ხონდა გადაწყვეტილი. ამ კაციზა არც კი უკითხიათ, როის მოხთა მკლელობა. ამ კაცმა ითხუა სახში გამო-ბა. წვევიდა. საწყალმა იტრუალა ამ ქალაქში, იმ ქალაქში, მარა ვე-ქილემბა საქმეს არ მოკიდეს ხელი. მერე ასტავლეს ამ და ამ ქა-ლაქში არის კაი ვექილიო. მივიდა იმ ქალაქში. ვექილმა დეიტუა ზაბუთუები — გარავშინჯავ და ხელე მოდიო. მეორე დღეს მივიდა აი კაცი ვექილთან, მარა ვექილმა ვერაფერი იმედი უთხრა.

— რას მიჩივი, კაცო, როვა არ შეგიძლია ამის გარჩევა; ტირი-ლით შეეხვეწა საწყალი კაცი.

— კარქი. ხელს მოვკიდევ საქმეს. მარა უნდა მომიტანო მკლე-ლობის წლის კალენდარი. აგი კაცი ასეც მეიქცა და თან მოწმეები მუყვანა. ვექილმა მოწმეებს ჩიეკითხა: აგი ამბავი რუმ მოხთა, მთვა-რიანი ღამე იყო, თუ ბნელიო. ვექილმა კალენდარით ქე იცოდა, რომ მაშინ ბნელი ღამე იყო, მარა ახლა მოწმეებს იმიზა ეკითხებოდა, რომ იგინი ჩვენებას აძლევდენ სუდს, რო ორ ქცევაზე დევისანხეთ აი კაცი მიბოდაო. მოწმეებმა თქვეს, რო ძაან ბნელი ღამე იყოო.

— მერე, თქვე კაი კაცებო, ძაან ბნელში ორ ქცევაზე რაფრე იცანით კაციო. ახლა მოწმეებს აფერი ქონდენ სათქმელი.

ვექილმა ყოლიფერი დაწერა და წორუდგინა სუდიას. სუდიას ჯერე გუკვირდა, მარა მერე იმანაც დაკითხვა აწარმოა. ვნახოთ, რუმ მოწმეებმა აქაც ისთე უპასუხეს, როვარც ვექილთან. ახლა კი მიხ-თა სუდია მის შეცთომას და აი კაცი სულ გაათავისუფლა.

ბახვი, ერქომაიშვილი გიორგი, 70 წლისა

ხარბი მეფე

ერთ კაცს ლამაზი ცოლი ყამდა. უუჩთა ცოლი ქმარს — გინდა არ გინდა, ჩვენი მეფე და ვეზირები დაპაიჯეო. ისე დეიმორჩილა ქალმა აი კაცი, რო მართლა გარაწყვიტეს დაპაიჯება. როცა ხემწი-ფე და ვეზირები მევიდენ ამ კაცისას, კალამ გააგეა სტუმრები ამ ქალის სილამაზემ. ვეზირები შუჩთენ ხემწიფეს — შენ რა ხენწიფე იქნები, თუ აი ქალი არ წაართვი ამასო. ხემწიფესაც მოუნდა გუ-ნებაში და აი კაცი მეიხმო: მე წუხელის ერთი სიხმარი ვნახე, თუ იგი ვერ ამიხსენი, ამ ქვეყანაზე შენი სახსენებელი აღარ იქნებო.

— თქვიო, — უთხრა ხემწიფეს მასინძელმა.

— სა იქნება ქვეყნის შუა ადგილი, რამდონი ვარსკვლავია ცა-ზე და ღმერთი რას აკეთებსო. გედერიია საწყალი კაცი, მარა სიკ-ტილი მწარია და რაცხა ქე უნდა მეექებნა. იარა, იარა და გზაში შეხედა, რო ერთი ჩაჩანი შემედარა ვირზე და მოჩანჩალობს. ჩაჩან-

მა მოწყენილი კაცი რუმ დეინახა. კითხა: რაშა შენი საქმე. რაზე ხარ მოწყენილიო. აი კაცი ახლა მოუყვა ჩაჩანს თავისი მდგომარეობა. მერე მაგიზა რა გაწუხებს, მე დაგიხსნო,—უთხრა იმან.

მივიდენ ხემწიფესან. აი ვირი ქი იეყვანა კიბეზე. შენ ვინ ხარო, რა გინდაო, შეიკითხა ხემწიფე, — როვა რა მინდა, მე გავზომე მთელი ქვეყანა და სტორეთ შენი სახლია შუაი ადგილი. ცაზე ვარსკვლავები დიმიტლია და ძირს ჩემი ვირის ბალანო. თვარ გჯერა, ბატონი ბრძანდებით, გაპეითვალეთ. მერე ვეიგებთ სადაა ქვეყნის შუა და რამდონი ვარსკვლავია ცაზეო.

—კაი, აგი თუ გინდა, ასე იყოს, მარა აგიც მითხარი — ღმერთი რას აკეთებს ცაზეო — გამიელაპარაკა ხემწიფე.

—მაგას მაშვინ გეტყვი, თუ ჩვენ ერთქამეთს ტანისამოს გუცვლით. დიეთანხმა ხენწიფე. ჩაჩანმა ჩეიცვა ხემწიფის ტანისამოსი. ხემწიფემ — ჩაჩნის. ადგა აი ჩაჩანი და მეფის ტახტზე დაუდა. ხენწიფეს გული გუსკდა და კილო უჩივის — ახლა მაინც მითხარი ღმერთი რას აკეთებს ცაზეო.

—ღმერთი ცაზე იმას აკეთებს, რუმ შენისანა ხემწიფეს ვირზე შეიყენს და ჩემისანა ჩაჩანს ხემწიფის ტახტზე დაასკუპებსო. თქვა თუ არა აი, ჩაჩანმა ბძანება გაცა—მოქარით ხემწიფეს თავიო. მერე ადგა აი ჩაჩანი და იმ კაციდან. ვინცხა იმან დეიხსნა, ერთი წყვილი ქალამანი მიიღო. ამეიღვა ღლიაში და გუყვა თავისი ვირით გზას. საწყალი კაცი ჩაჩანმა გადაარჩინა სიკტალს.

ბახვი, ცეცხლაძე გიორგი ბესარიონის ძე, 45 წლისა

ქურდები

ერთ სოფელჩი ცხოვრობდა დიდი ქურდი. ეგი ქურდი ერთ დღეს ქალაქისაკენ წვედა. მიდის და შეხთა ერთი კაცი. მიეწონენ ერთქამეთი. დიდმა ქურდმა შეიკითხა, თქვენ ვინ ხართო? მე პაწა ქურდი ვარ, უპასუხა მეორემ.—აბა, მე დიდი ქურდი ვარ. —უთხრა პირველმა.

დაძმობილდენ აგინი. ჩვენი მუშაობა გავაცნოთ ერთქამეთსო, რომელი უკეთესოთ მეიპარავსო.

—აგერ ალვისხეზე ტრედი ჟდანა და ღუღუნობს. მე ავალ იქინეი, იმას ბოლოს მუაგლიჯავ, ჩამულა ძირს, ტრედი იქინე იქნება, ვეფერს გეიგებს.

—აბა, ვნახოთ, უთხრა პაწა ქურდმა. დიდი ქურდი შუა ხეზე არ იქნებოდა, რომ პაწამ მიეპარა და პერანგის ამხანაგი მოპარა. მერე

ჩამევიდა ძირს და დუწყო ყურება დიდ ქურდს. დიდმა ქურდმა ტრედს ბოლო დაავლიჯა და ამაყათ ჩამეიტანა ძირს.

— აი, ჩემო ძმობილო, რისთვის მეძახიან დიდ ქურდს. ტრედს ბოლო მოვგლიჯე და იმას აფერი შეტყვია, ქი ჟდანა ისევლე იქინეი.

— მართლაც დიდი ქურდი ყოფილხარო. უპასუხა და უბიდან მისი პერანგის ამხანაგი ამეილო.

— შენ ტრედს ბოლო დაავლიჯე. მარა ნახე, პერანგის ამხანაგი თუ გაცვიაო. დიდმა დეიხედა. ყოლიფერი ისთე ეცვა, როგორც ხესე ასლამდი. რუმ გეიგო რაშიც იყო საქმე, პაწას უთხრა— მე კი— არა შენ ყოფილხარ დიდი ქურდიო.

მერე მეილაპარაკეს — ამალამ ხემწიფის ხაზინა გავტეხოთო. წევიდენ. ხაზინა გატეხენ. დიდმა უთხრა პაწას — შედი და შენ გასეიტანე ფულებიო. გამეიტანა პაწამ ჟულეები. მეიკიდეს ზრუგში და წვიღენ. მაგნები ხემწიფემ თავის მემკვიდრეთ გეიხადა.

ოტყდენ სხვა ხემწიფეები: ქურდი როვა გეიხადა ხემწიფეთო. როცა ეგი ამბავი პაწა ქურდმა გეიგო, წევიდა და იმ ცინია ხემწიფეს გამიქცხადა წმინდა გიორგის სახით და მუახსენა: შენ და შენი დედოფალი სამოთხეში უნდა წაგიყვანოთ. მარა ყოლიფერი უნდა გეიხადოთ და ისთე ჩაწვეთ ამ კუბოში. ერთ ადგილზე დაგასვენეფ. თქვენ უცფათ ამოშპით და იცეკვეთო.

აგი ამბავი ძალიანი გეეხარდენ. პაწამ ყველა პირობა შიასრულა. აი ხენწიფე და დედოფალი ქე მიყვანა თავისი ხემწიფის სასახლეში. იქინეი მიცა სიგნალი, ამოხტენ ხენწიფე და დედოფალი ზეით და ცეკვა დეიწყეს. პირველათ ძან გუკვირდენ, რო ასე კარქა იყო მოწყობილი სამოთხე. მერე რო გეიგენ რაში იყო საქმე, სირცხვილით დეიწვენ.

— აბა, კილო დამცინეფო. უთხრა ამ ხენწიფეს პაწა ქურდმა.

გომი, გიორგი მახარაძე, 78 წლისა

ბაბუა

თურმე მამა რო მოხუცთებოდა. მუშაობა აღარ შეიძლებოდა, ზოგი შვილები ტყეში დაავდებდენ მოხუცს.

ერთი მოხუცი კაცი წეიყვანა შვილებმა და უადგილო ადგილას დატიეს. ერთ ბადიშს უყვარდა აი ბაბუა. მიზნია უკან, აბა სა დატიებენო. მერე ყოლთვის დადიოდა ბაბუასთან და საქმელს უწიკვდა. ბადიშმა პაწე ქოხიც კი გუკეთა იქინეი.

გევიდა ოცდახუთი წელიწადი (თურმე მაშინ 300 წელიწადს
ძლებდა კაცი). ერთხელ აი ბაბუამ კითხა ბაღიშს — როვა სართ
საქმიო. ბაღიშმა უთხრა — გლახათო: ბატონმა შამოგვითვალა ერთი
იძისანა ღორი ვაამოგვხანე, რო იგი არც თეთრი, არც წითელი,
არც შავი და არც რომელიმე ფერის არ იყოსო. აგი თვარ გიქნია,
შენ ბარაზე აფერს დავტიეფო.

— ოო, თქვე გლახებო! მაგის პასუხი ვერ მუახერხეთ? მე გას-
ტაველი, მარა იმან თქვაო, არ უთხრა იგნებს. ეირჩიეთ ერთი პატიო-
სანი კაცი და გუგზავნეთ ბატონს, თან დააბარეთ: თქვენ რო დამა-
ვალეთ, ანათ არის, მარა იძისანა დღეს გამოგვზავნი. არც ორშაბა-
თი, არც სამშაბათი, არც ოთხშაბათი და არც კვირისა არც ერთი
დღე არ იყოს-თქვა. ბაღიში შინ რო მივიდა, მამამის ურჩია ყოლი-
ფერი ანე. ყველას გუხარდენ. ბატონს გუგზანენ კაცი. გეიკვრა და
გავზანილ კაცს უთხრა: — ამფერი დღე რაფრა იქნებაო?! — აბა იმ-
ღერი ღორი, თქვენ რუმ შამოთვალეთ, რაფერ გვეყოლებაო. უთხრა
გავზაენილმა კაცმა. ბატონი მიხთა, რო საქმე წაგებული იყო. ღორის
მოყვანა აპატია ამ ოჯახს. ახლა შინოურები ამ ბოვშს ჩააცივდენ, —
ვინ გასტავლა აგი ხერხიო? — ბაბუამო — უთხრა ბაღიშმა.

აგინმა შეწუხთენ და ბაბუა ქე მეიყვანეს შინ.

გომი, ივანე მანარაძე, 120 წლისა

შანისმაილი

იყო ერთი ხემწიფის შვილი, სახელათ ისმაილი ეთქვა. ისმა-
ილს ერთი დიდი კაცის ქალიშვილი შუყვარდა. ქალსაც ძალიან
უყვარდა იგი, მარა მამას არ უნდოდა ისმაილიზა მიეცა ქალი.
ამიზა აღდა აი კაცი და თელი ოჯახით სხვა სახემწიფოში გეიპარა.
ისმაილმა მალე შეიტყო ამ ქალის გაპარების შესახებ. ბეური ფიქ-
რის შემდეგ შეიარაღდა. შეჟდა ცხენზე და წვეიდა საცოლეს მოსა-
ნახავათ. აი ისმაილი ძალიანი ღონიერი კაცი იყო. იარა, იარა და ერთ
კოშკს მიადგა. შამოუარა, მარა კარი ვერსა ნახა. შიანძრია ერთი კე-
დარი და შევიდა. შით ნახა რო მზეთუნახავი ზის და ტირის. ისმაილ-
მა კითხა — რა გატირებსო. ქალმა უთხრა: როვა რა მატირებს: ჩე-
მი სამი ძმა აღმოსავლეთის ხენწიფეზე საჩხუბრათ არის წასული.
ვიცი, ძალიან გაკვირებაში იქნებიენო. მე მევეხმარებიო და დატია
აი ქალი და წვეიდა ცხენით. იმ დროს მივიდა, რომ სამ ძმას რაც ჯა-
რი ხავდა, გაწყვეტია და ის არის, აგინი უნდა დეიჭირონ. გეერია ის-
მაილი ამ ჯარში და სულ ყველაყაი გასწყიტა. ასე, რომ აგი სამი ძმე-

ბი გარაარჩინა. ამ მძანებმა ისმაილი წეიყვანეს სახში. მივიდენ შინ. ნახეს, რომ კოშკის კედელი გამონგრეულია. დას კითხენ — ეს ვინ გამუანგრიოა. დამა უთხრა — ვინც ეს დაანგრიოა, იგი თქვენთან წამევიდა დასახმარებლათო. მძანებმა ისმაილს უთხრეს: რადგან ამფერი სიკეთე გვიქენ, ჩვენ დას მოქცემთ ცოლათო — ვერ წეიყვან. მე საცოლეს ვეძენ. როცა ვნახავ, გამევიარ მაშინო. ძმებმა ასტაველეა გზაი.—ამ გზით რომ წახვალ, ორტოტი გზაი შეგხთება, მარა მარცხნით არ წახვიდე: საშიშიათო. წევიდა ისმაილი. ორტოტიცა გზასან რომ მივიდა, მაინდამინც მარცხნით წევიდა, რაც მომივა, მომივაო. იარა, იარა და მიადგა ერთ დიდ სასახლეს. ერთი კაცი სადილს აკეთებეს ეზოში. ჩამოხტა ისმაილი და გაკეთებული სადილის ქამა დეიწყო. გამევიდა ერთი დიდი არაბი და ჩხუბი დუწყო ისმაილს. შამოკრა თუ არა არაბს, პირსაბურველი მიეშალა. ისმაილმა ახლა მზეთუნახავი დეინახა. უცეფ გულზე მოუდა და ცხენიდან გარმუარდა. მივიდა აი ქალი. ეიყვანა და სახში შეიყვანა. ქალმა ცოლობა შესთხოვა. არა, მე საცოლეს საძებრათ მივდივარო. ქალმა წაყოლა ისურა. წევიდენ ერთათ საძებნელათ ისმაილის საცოლეზა. დამე გაათიეს ერთი ბებერო დედაკაცისას. აქანე გეიგეს, რომ ისმაილის საცოლე ავათ ყოფილა. ცხოვრობს ამ სოფელჩი. გამუაწყვეს აი დედაბერი კარქა. ისმაილმა იმ ქალის მიცემული ბეჭედი წაატანა, დააბარა, ყოლიფერი დაწვრილებით გამოეკითხა იმისდა. აი ბეჭედი ქი უნდა ეჩვენებია. დედაბერი წევიდა. მივიდა ქალიშვილთან. მარტო დეიტია აი ქალიშვილი და ბეჭედი უჩვენა. სა იშონე აი ბეჭედიო, უთხრა ქალიშვილმა. დედაბერმა ყოლიფერი უთხრა. ქალს ძალიანი გუუხარდა და დედაბერს უთხრა: ხვალ მე ბალში მევიდნომეფ გასეირნებას და იქიდან წამეყვანოსო. დედაბერი დაბრუნდა. ისმაილს ქალის დანაბარები გარაცა. მორე დღეს ისმაილი და იი არაბი უცთიდა ქალს ბალში. ისმაილმა აი ქალი შეისვა, არაბმა — დედაბერი და გეიქენ. დედაბერი თავის სახში დატიენ დასაჩუქრებული. აი ქალი ქე წეიყვანეს. იარენ... და დეილაღენ, დეისვენეს. ისმაილს და მის საცოლეს ქე ჩიეძინათ. აი არაბი კი უყურებდა—არევენ მეგვეპაროსო. მართლაც ბევრი ჭარი მევიდა. არაბმა დუწყო ჩხუბი. ყველაყი გაწყვიტა. წამეიყვანეს აგი ქალი იმ სამი ძმისას. იგინებმა ბეური გზითები მიცა. წევიდა ისმაილი. ერთი დღის სავალზე რუმ მივიდა თავის სახთან, მამას აცნობა—მზეთუნახავი მომყავსო. მამამ პირველათ ვითამ მიილო ისმაილი, მარა მალე ბძანება გაცა და ისმაილს თვალეგი მოთხარეს და უდაბურ ტყეში გაგზანეს. ისმაილს სამი ფინია ხავდა, აგინი ქე წახვა. კაცებმა ისმაილი შეიყვანეს ტყეში და და-

ტიეს ერთი ხის ძირში. ისმაილი ტირის და ჭია ისეთე. ამ დროს ხეზე შემოუდა სამი ჩიტი. ერთმა თქვა: იმან რუმ ჩემი ენა იცოდეს, მე რო ფთა გარამივარდება, ამეისვაა თვალჩი და მორჩებაო. ისმაილმა აგი გეიგონა და ფინიას უთხრა: მაქ ჩიტის ფთა ჩამეიჭრება და მომიტანეო. ფინიამ მუუტანა ფთა. ისმაილმა ამეისვა და მორჩა. შინისკენ რომ წამევიდა, მწყესი შეხთა. ჩეიცვა იმისი ტანისამოსი და ისთე წევიდა მეფესთან. მეფეს უთხრა: შენ ტერ არაბ დევიჭირავ და მოგიყვანო. მეფემ ამიზა ნახეყარი სახენწიფო შეპირდა. ისმაილმა მუუყვანა არაბი. დეიწყო მაგნებს შორის ჩხუბი. არაბმა მოკლა მეფე. გამეფთა ისმაილი. სახელათ შახ ისმაილი დეითქვა.

გომი, მახარაძე ივანე 120 წლისა

შვილის ღარიბება

მდიდარ ვაჭარს ერთი ვაჟი ხავდა. აი ბიჭი სულ ქეიფში ატარებდა დროს. სტავლა სულ მიატოვა. მამა გულგატყლეცილი იყო. კი უნდოდაკი ნასტავლი შვილი ყოლოდა. ყოველი დღეი არივებდა შვილს — ჩამოცილებოდა უსაქმურებს და მოქეიფეებს, მარა შვილი უჩიოდა — მე ჩემი ამხანაგები მირჩევიან თელ ქონებასო. — იცოდე, შვილო. ქონება რუმ დაგელევა, მაგნები არ გაგიკარებენ, ტირილით უჩიოდა მამა.

მამა მოხუცთა, ექიმებმაც გადასწყვიტეს მისი მალე ხანში სიკტილი. მამამ შვილს დუუძახა და უთხრა — შენ ჩემ სიცოცხლეში აფერი დაგიჭერებია, მარა ქთხოვ, სიკტილის შემდეგ ერთი მაინც შემისრულო. ჩემი სიკტილის შემდეგ ქონება დეგელევა, ამხნაკები აღარ გეგეკარებენ. შენ სიკტილს გარაწყვეტ, მარა თავს ლევერველით ნუ შეიკლავ. ჩადი პადვალჩი, ჩამუაბი ბაწარი და იმაზე ჩამეიხჩე.

შვილს რა ენაღვლებოდა, შეგისრულებო, დაპირდა. მამის სიკტილის შემდეგ შვილმა თლა ყოლიფერი შექამა. ამხანაკებმაც იწყეს ჩამოშორება.

ერთ დღეს აი ბიჭის ამხანაკები ქეიფობენ, მარა ამას კალარ უძახიან. ამ ბიჭმა გეიგო, რასაც იგი მისი ამხანაკები აკეთებდენ. რო წასულიყო ქეიფში, აფერი ქონდა, ისე მაგნები არ მიიღებდენ. მივიდა და ერთი ბეჭი თხუა ყასაბს ნისიათ. ყასაბმაც მიცა. გუყარა ბეჭში ჯოხი და წევიდა ამხანაკებთან. გზაზე ვოცნებამ გეიტაცა... ჩემ ამხანაკებს გუკვირდებიან, მე რო ბეჭი მიშონიაო. მივიდა ამხანა-

კებთან. მაგნებმა აი ბიჭი ახლა მასხრათ ეივდენ. ძაღლებს ნოპარე ბე-
ჭით და კიდო რა ვიცი, რა არ უთხრეს. ბიჭი გაკუჭტა. გაახსენდა მა-
მის სიტყვები. ადგა და პირდაპირ პადვალჩი წვევიდა. ჩამოკიდა ბა-
წარი (ჩამოსაკიდებელი წინწინ იყო მამის გაკეთებული), გაყო თავი
შით, გამუშალა სკამი, მარა კაკმა ვერ გუძლო, ჩამოტყდა ქერი,
აუარებელი ოქრუები ჩამოცვინდა. აი ბიჭი გაცვიფრდა. მერე მიხთა,
რომ მამას აგი განგევ ქონდა გაკეთებული. მორე დღიდან აი ბიჭი
ღლათ გაჰეიკვალა. სახში ერთი ნათესავი დატია. თვითან კი ქალაქ-
ში წვევდა სასტავლებლათ. ერთ წუთს არ კარქავდა. ბევრ ღამეებს
სულ წიგნების კითხვაში ატარებდა. უკან ექიმი დაბრუნდა, ცოლი შე-
ირთო და ტკბილათ ცხოვრობდა. კტარი მშობელიც შვილისთვის
ზრუნავს, ასე იტყვიან, ბიძია!

ბახვი, გუნთიაშვილი თებრო, 75 წლისა

ანგელოზი ნათლია

იყო ერთი ცოლ-ქმარი. დიდი ხანი გვეიდა, მარა შვილი არ ეყო-
ლენ. არ იცოდენ. რა ექნენ. ბოლოს როვარც იქნა, ეყოლენ ერთი
შვილი. დაფიქთენ, ვის მოვანათლიოთო. ქალმა თქვა: თავარანგე-
ლოზსო, კაცმა ქრისტე დეიჯინა.

— ესო ქრისტე არ ვარგა. სულ ავამტყოფებში იარება. მუანათ-
ლიენ თავარანგელოზს. მაშინ მურდუ—ნათლიობა იცოდენ. ნათლის
სახუქრები უნდა მიეტანა ნათლულისთვის. თავარ ანგელოზმა უთ-
ხრა: მე თქვენ ვეფერს ვერ გაჩუქედ. ერ წყალობას კი მოქცემ:
ამტყოფებთან რომ მიხვალ, მოკტება თუ მორჩება, შეიტყოფო:

— რანეირათ, იკითხა კაცმა.

— მე თუ დამინახო ავანტყოფთან. იცოდე. მოკტება, თუ
არა და, არა. გავლო რამდენიმე დრომ. ი ბალანეი დიდი გეიზარდა.
ერთხელ ამ კაცს უგუნებოთ ეძინა, გამეეღვიდა და ქე შეხედა ანგე-
ლოზს. ახლა თვითან მიხთა, რომ უნდა მოკტეს. ამინა უთხრა თა-
ვარანგელოზს — ერთი სათხუარი მაქ. გთხოვ ამისრულოვო.

— თქვი, — უთხრა ანგელოზმა.

— ისე არ მომკლა, ერთი „მამაო ჩვენო“ მათქმეი.

— კარქი, დეიწყე. დეიწყო ამ კაცმა, თქვა „მამაო ჩვენო“ და მე-
რე აფერი არ თქვა, გაჩერდა, — თქვი, კაცოვო, უჩივა აი ანგელოზი.
კაცი აფერს ჩივა. რა ქნას ახლა ანგელოზმა? თვარ თქვა ბოლომდინ,
პარობაა. ვერ მოკლამს. ანგელოზი ადგა და წვევიდა.

პაწე ხნის მერე ამ კაცს ერთი ბალანა შეხთა გზაში ტირილით. რა

გატირებსო, — კითხა ამ კაცმა. — რა და მასტავლებელთან „მამაო ჩვენო“ შემეშალა და გამლახაო.

— მავისანა ადვილი რაია, მე გასტავლიო და დეიწყო, რუმ გაათავა. აი ბაღანა ანგელოზათ გარეიქცა. ახლა ამ კაცმა მიხთა. რომ უნდა მომკტარიყო. კიდემაც მოკტა აი კაცი.

ბახვი, გუნთიაშვილი თებრო, 75 წლისა

ქოსატყვილა

იყო ერთი ქოსატყვილა. ქოსატყვილას ამბები გვიგო ხემწიფემ. დეიბარა და უთხრა: როგორ ბედავ შენ ხალხის მოტყუებას? ამიზა დაგიჭირავ და დაქხრიტავო. — აბა, შენ თუ მართლა შეგიძლია მოტყულება, მე მომატყუევო.

— ახლა რაფრა მოგატყუო, ხელსაწყო შინ დამრჩა. თუ გამატან 4 უღელ ხარ-კამეხს. ქე ნევიტან იმ ხელსაწყოს — უთხრა ქოსატყვილამ. ხენწიფემ გაატანა 4 უღელი ხარ-კამეხი და გუშვა. სახში რო მივიდა ქოსატყვილა, ხარები დაკლა და ხალხს აქამა. ურმები დააპო და დაწვა. ხემწიფის კაცები დაბრუნდენ და ყოლიფერი მუახსენეს. ხემწიფემ გაგზანა კაცები იმის დასაქერათ. მივიდენ ქოსატყვილასას. მარა იქინეი ახლა ერთი მალაზონი დუხთათ. თურმე აი ქოსამ ჩეიკვა ქალის ტანისამოსი. კითხეს: შენი ქმარი სა წვეიდაო. არ ვიცო. უთხრა მალაზონმა. წეიყვანეს აი მალაზონი და დუყენეს მზეთუნახავს მოსამსახურეთ. რავარი მოსამსახურე იქნებოდა ქოსა, კი მიხთებით.

ბახვი, გუნთიაშვილი თებრო, 75 წლისა

შმართსამართი

იყო ერთი მოხუცი უსტია. რომელსაც ერთი ვაჟიშვილი ხავდა. ერთ დღეს მამა-შვილს მეფისაგან მეუუიდა წერილი, რომ ეეგენ მეფეს სასახლე. ავინიც გახთენ თანახმა და მალე მზათ იყვენ წასასლელათ. რომ ოჯახი მართო არ დარჩენილიყო. წასლის წინ მამამ შვილს ცოლი შერთო მეფე, რომლის სასახლე უნდა ეეშენებინ, იყო მორე სახენწიფოს და არა ამის. რომელ მეფის სამფლობელოშიც ცხოვრობდენ ავინი.

ქორწილის მერე გვიდა რამოდენიმე ხანი. დანიშნული დროისათვის მამა და შვილი თავისი იარაღებით გუდგენ გზას. მიადგენ ერთ უზარმაზარ ფთას, რომლის ასლა ძნელი იყო. ორთავე ხედავს ამ

მდგომარეობას და ორივე გაჩუმებული უბზერენ ამ ფთას. მერე მამამ უთხრა შვილს: ან მე მომიკიდე, ან შენ მოგიკიდეფო. შვილმა ვარი უთხრა. მამა გაკუქდა და შინისაკენ დაბრუნდა. შვილს მარტო წასლა არ შეიძლო. ისიც უკან დიედენა. მამამ პატარძალს უბძანა, წასულიყო მის მამასთან. დიდი დრო არ გასულა, ხელახლა მეიყვანა პატარძალი სანაცვლოთ. ახლა ხელახლა გაემგზავრა მამა-შვილი მეფის სასახლის ასაშენებლათ. ფთასთან რუმ მივიდენ, მამამ შვილს ხელახლა გუმეორა ან მომიკიდე ზრუგში, ან მე მოგიკიდეფო. შვილმა ახლაც ვარი უთხრა. მამა ისევ შინისკენ დაბრუნდა. შვილი თან გამიეკიდა. შინ რუმ მივიდა მამა, რძალი გუშვა თავისას. შვილმა ვეღარ გეიგო. რაში იყო საქმე. ისევ მეიყვანეს მესამე რძალი და ისევლე გუდგენ, მთასთან რუმ მივიდენ, მამამ თავისი გეიმეორა. შვილმა აღარ დააცალა და მამა უცეფ მეიკიდა ზრუგში. თურმე ამ მესამე ცოლმა ყოლიფერი გეიგო, თუ რეიზა უშობდენ რძლებს. ცოლმა ერთ დღეს კითხა ქმარს: თქვენ რო წახვალთ და ისევლე ბრუნდებით, რა არის ამის მიზეზიო?

— რა ვიცი. მამაჩემი, ფთასთან რუმ მივალთ, მეუბნება: ან შენ ამიყვანე ამ ფთაზე, ან მე აგიყვანო. მერე როვარც ვარს ვეტიყვო, უკანვე ბრუნდება და რძალს სახში არ აყენებს.

რძალმა იფიქრა — მოდი და ვკითხო ჩემ სიმავერს (მამამთილს) ისეთი იგავ-არაკები, რაც მე არ ვიციო. იმან კაი ამბები ასტავლა.

აი ქალი ახლა ქმარს უჩივია: მამამ რუმ ქკითხოს: შენ ამიყვან, თუ მე აგიყვანოვო, შენ მუსვი ხელი და ახლავე აგიყვან-თქვა, თან აი იგავ-არაკი მუყევი, მე რუმ გასტავლე.

გემგზავრა მამა-შვილი მესამეჯერ. ფთასთან შვილმა ყოლიფერი ისთე გააკეთა, როვარც ცოლმა დუბარა, მარა ახლა შვილი რო მოკიდებაზე დათანხმთა, მამა აღარ მეეკიდა. შვილი ამბის მოყოლას განაგძობს. მამას აგი ძალიანი გუხარდა. მიხთა, რომ ამის მოქმედი რძალი იყო. ახლა მამა რძლის ძალიანი კმაცოფილი დარჩა, რომ შვილმა მამის პასუხი უყოყმანათ შიასრულა. მხიარულათ გუდგენ გზას. მივიდენ თუ არა მეფისას. დეიწყენ სასახლის აგება. დიდიც არ დაგვიანებინან, რამოდენიმე ხნის შემდეგ სასახლეც მზათ იყო.

სასახლის დასათვალიერებლად მოდიან ვეზირები. მარა ვაი ამ აშენებას. რუმ მიორე სახენწიფოში ამისანა სასახლე არ ააშენონ, მეფემ ბძანება გაცა.—მამა-შვილს თავი მოჭართო. აგი ამბავი შვილმა გეიგონა და მამას უთხრა. მამამ საჩქაროთ ეილო იარალი და ერთი უზარმაზარი შენობის აგება დეიწყო, მარა მის აშენებას

საშველი არ დაადგა. მეფემ შეიკითხა: — რატომ ვერ აშენეფ, რა ვიშლის ხელსო. უსტამ უთხრა: — ერთი იარაღი დამჩა სახში და უმისოთ ამის აშენება არ შეიძლებაო. ამ იარაღის მოსატანათ უნდა წყვიდო. მეფემ არ გუშვა აი კაცი. სამაგიეროთ გუშვა ერთი საწეფო შვილი. უსტა უბარებს ამ მეფის შვილს, მეიტანოს სახლიდან „უმართ-სამართი“. აგი გაგზანილი კაცები რძალს ეუბნებიან შენმა სიმავრმა უმართსამართი გამომიგზანო. რძალმა სტუმრები შეიყვანა ვოთახში, დააყინა და ახლავე მევიტანო—უთხრა. გამევიდა გარეთ. კარები ისეთ დეიკეტა, რომე მისი გაღება აღარ იქნებოდა. სტუმრებმა გაშობა მოხზოვენ ქალს. — სანამდი ჩემი სიმავრი და ქმარი არ მოვა, მანამდი თქვენ ვერ გამოხვალთ ვოთახიდანო. ქალმა აგი ამბავი ხემწიფეს აცნობა. ხემწიფემ დაჭვირთა მამა-შვილი ვოქროით და გუშვა. შინ რუმ მივიდენ, აი დამწყროულელები ქი გაათავისუფლენ. ამ ქალმა გარაარჩინა მამა-შვილი.

შემოქმედი, გვარჯალაძე მარიამ, 70 წლისა

მონადირე

ერთი გზობა მონადირე წევიდა სანადიროთ. უცფათა კურდღელი გამოუხტა, ესროლა და ქი მოკლა. მონადირეს საუხმე არ ქონდა ნაქამი. დაანთო დიდი ცეხლი. გახადა კურდღელი, წამუაცვა შამფურზედ და შეწვა. როცხა შეიწვა, კურდღელი წაშვა შამფურზე, მოკურცხლა და წამოსკუპტა გორაზე. მონადირემ კალამ შეიშალა ქკუიდან, დუწყო ყურება. კურდღელმა დუძახა — რეიზა გაშტერდიო, მაგის ვარესი თვარ გინახავს, წადი, ნახე მახარებელა მონადირე და იგი გეტყვისო. მონადირემ წევიდა მახარებელასან. კაი გაყოლა იარა. დეინახა, რომ ერთ კაცს ჩელტში შუბამს ცხენი და არბენიებს ტყვილა. მონადირემ დუძახა ი კაცს — მახარებელა მონადირე სეით დგანაო. მე ვარ მახარობელაო. მონადირე გიეცნო მახარობელას. პაწე წეისაუხმენ და მახარებელამ დეიწყო: ძველათ ქალ-ბალანას ნადირობით ვარჩენდი. ერთი გზობა სანადიროდან მივედი შინ და ჩემი ქალი ვნახე ვინცხა ყაზახთან იწვა. მე კუქი მომივიდა. დუწყე ქალს ჩხუბი. ერთი გზობა კიდო მივესარ იმფერ საქმეს, მარა რავარც დამინახა, ქალმა მესროლა ნიგუზალი და მომაძახა — რეიზა არ მცილდებიო. აი ძალლი ნიგუზალი მომხთა და გადვიქეცი ძალლათ. მოვკურცხლე. გამემეკიდა მეზობლის ძალლები. მე ძალლი ვიყავი ფორმით, თვარა ქკუა კაცის მქონდა. ეველი სახტარზე. წირვა გამოსული იყო. ხუტესი ჯორზე იყდა და მი-

ვდოდა. მე დუწყე ფერება. უქანებლი კუდს და ვსლაქავდი. მანაც დამიწრებუნა და გევეკიდე. შევატყვე. ხუცესი მივა იმ ბარაზე. სადაც ცხვრის ჯოგია. ვიცი. იგინს ღირღვანი გომბაქები ყავს. მე ამევეფარე ჯორს და ისთე მივყობოლა. მარა დამინახეს გომბაქებმა და გეპეიქცენ ჩემსკენ. დამეტეკა ძაღლები და სანამდი მეჯოგები მივდოლდენ. ერთი ძაღლი გამოვყლონქე. სხვა ქე მომაშორა მეჯოგებმა. დოუწყეს ხუცეს გინება. ხუცესმა უფიცა ქრისტე—ჩემი არ არის ში ძაღლიო. წამომყვა მისითო. კაი. აჰა ჩვენ დავვიტიევო. მიმოყვანეს კარავში და წამომიგდეს ხორცი—ქამე მურიპო. მე მიწახე ნაგდებაი ხორცი არ ვქამე. გუკვირდა მეჯოგებს და დამიწყენ მზერა. მერე ჯამზე მომართვეს და ვქამე. ძალიან შეუყვარდი მეჯოგებს. სამი ძმანები იყვენ და ყველაყაია ცალ-ცალკე პატივს მცემდა. ცხვრებს მე მივდენიდი საბალახოზე: სალამოს მივდენიდი კარავზედ და უარდი.

კალანდა სალამოს მეილაპარაკა ძმებმა. წვიდეთ შინ. კალანდა გევიტენოთ. მურიე ქე მუარს ცხვრებსო. დამიმოწმეს ყორისღელი და წვიდენ. მე კუდს უქანებლი. მერე დავწვევი ცხვრებთან და უარდი. შვალამეზე მევიდა სამი გელი. დივეტეკე. ორი გამოვყლონქე, ერთი გეიქცა. დილას გავდენე ცხვრები და დავმალე. მე დავწვევი გორაზე—დაუყურე, რომ მუა ძმები, რას იზამენ. გელეები ეტარო რო დახდება და ცხვრები არ იქნება. მევიდენ. დეიწყეს ყვირილი: ჩემო ცხვარო, ჩემო ოჯახოვო. მურიე არ გახსენებენ. მერე უნტროსმა ძმამა იყვირა: ცხვარი. ცხვარია. მარა ჩენი მურიე რეიქნა. იგი თუ მოკლა გელმა, ხომკი უევიდუპეთო. მაშვინ მე მომადგა კურცხალი თვალზედ და დევიყეფე აუ. აუ მეთქინ. მოკურცხელეს ჩემსკენ და ცხვარი რომ დეინახეს, გაღარიენ. დამიწყეს ღრება და მერე ნამეტარი პატივს მცემდენ.

ერთ დღეს მევიდა ორი კაცი და უჩივა მეჯოგებს: ხემწიფემ პახაა, შენი ძაღლი მურიე უნდა გაგვატანოთო. ძალიანი შეწუხთენ მეჯოგები, მარას რას იზამდენ. ჩამკონეს და მომბებს ბაწარი და მიმოყვანეს ხემწიფესან. დამბანეს ტანი, მაქამეს კარგათ და დამბენ ხემწიფის ქალიშვილის ოთახში. ლოგინის ფეხზე. მეორე კედრით დანვა ხემწიფის ციცა. შვალამეზედ შამევიდა შით მალლიდან რაცხა შავიანი და დუწყო ციცას ცემა. იანე დაბუსლა. რომ უბედურათ და გეიპარა. მე მინდოდა, მივხმარებოდი. მარა დამბული ვეყავი და ვერ გავწყვტე. მორე დღეს შამოვლდენ და კითხეს ციცას. რაფერ იყო საქმეო, მარა ენას ძვილა ლაპარაკობდა, ვარესათ გამლახავო. მურიე დამბული რომ არ ყოფილიყო, იქნება ქე ექნა

რამე. ბეურბი იფაცურაო. მეორე ღამეს ამიშვეს და ისე დამტიეს და ქი დაწვევი იქინე, სადაც წინაღამით ვიწვევი. შვალამეზე ჩამოძრა კილომ რაცხა იყო და დუშუწო ციცას ცემა. მე მივეპარე უკანინიდან და მოუჭირე კისერში ფეხები, რომ გუჭირდა, მითხრა: გამიშვი და გიშველიო, მეც ქი გუშვი და გაქრა. მერე არ მოსულა და ციცაც მორჩა. მე დიდ პატივს მცემდენ. მომაბეს ოქროს ჯაჭვი და ყველგან მივყავდი ხემწიფის ციცას, სადაც წვევიდოდა. ისე შეუყვარდი ამ ციცას, რომ მასანაც მიწვენდა. გვეიდა ხანი და აი ციცა თხუა მეორე ხემწიფემ; მეც წამიყვანა ამ ციცამ. მეორე ხემწიფესან ძანიალი მომწყინდა და გადავწყვიტე შინ გაპარვა, მარა ძანიალი მეშინოდა გზაში. წივედი მაინც. დღე ვიმალებოდი ტყეში, ცამე მივრბოდი. მივედი შინ. ჩემი ქალი თავისი საყვარლით ქე დამხთა. მიცნა ქალმა,—კილო მევიდა აი ძაღლიო და მესროლა ჯოხი, მომხდა ჯოხი და გადვიქეცი წყერათ. ახლა რა ვქნა? ვიფიქრე — ძაღლი რომ ვიყავი, შეძლება მქონდა. ახლა ღონე არ მაქ და აუერი. სა წვევიდე-მეთქინ. ჩავფრინდი სათიბეში, ვქამდი თიბის კაკალს. მოსულა თიბის მცელავი. რო ცელავს, მე ქე ევეკვიატე თიბაში. დამიჭირა, გუხარდა და თქვა: ქარ ვიშოვნე ზარმელიო. ხელათ გუნაჰავ თავსო. მერე თქვა, ნენას ცოცხლათ მუყვანო. შემიკოტა ფეხი და ჩამსვა ჩანთაში. მე გადაწყვეტილი მქონდა დღეიმეთქინ. ნენეს უთხრა: აი წყერი დევიჭირე, ხვალის ზარმელი გამიკეთე. ნენემ გალიაში შემსვა და კარი დამიკეტა. თელ ღამეს ვფიქრავდი: ამელამ კი გადავრჩი, მარა დილას გამინაჰავენ თავსმეთქინ. დილას დევიჩანხე, რომ ბიჭის დედამ დაკლა პაწე ქუჭული. მე კუჭი მიწუხდა. ახლა მეც წამაკლავენ-მეთქი. ბიჭი რომ წვევიდა სამუშიერზე, მე გამომიყვანეს გალიიდან. მალაზონმა მითხრა: რო გითხარა. გიშველიო, ხო ჩამივარდი ხელჩი ახლაო. ვადამისვა რაცხა სობელი თვლაზე და გადვიქეცი ისთოვლე კაცათ. ამ მალაზონმა მომცა ორი ჯოხი ხელში და მითხრა: შენ ქალს საყვარელი კილო ყავსო. წვილე აი ჯოხები. ერთი მუარტყი ქალს, ერთი კაცს და მერე რაც გინდა იგი უქენიო. მივედი სახში. ერთი ვესროლე კაცს, გადიქცა ცხენათ: ვესროლე ქალს, იგიც ცხენათ გადიქცა. აგინია რო ვარბენიფე ტყულა. ერთი ცოლია ჩემი და მეორე მისი საყვარელი. ცოცხლითა უნდა ვაწვალო. ჩვენ ახლა რომ ვლაპარაკობთ, ყველას ყურობს მაგინი.

ასე იყო, ძამიავე, მაგი ამბავი.

იგინი იყო ქირში და ჩვენ ვიყავით ლხინში.

ბერიკაცი

მიდის, მიდის, მიჩიროკობს
ერი მუჟა ბერიკაცი,
ცხრა მუჟა წვერიანი.
გზაში შეხთა ტურა.
სვით მიხვალ, ერი მუჟა ბერიკაცი,
ცხრა მუჟა წვერიანი?

მეფის ყანა დავიდევი ჩემდა სამკობელადო,
მეფის ჭარმა შემიჭამა მისდა გასაძლომელადო.
მე მივალ მეფის დასამხობელათო.

შენ მეფეს რაფერ დაამხოფ? — უთხრა ტურამ.

შეიხუხა ტურა წვერში და წვევიდა. იარა, იარა და გზაში შეხთა მგელი.

— სვით მიხვალ, ერი მუჟა ბერიკაცი,

ცხრა მუჟა წვერიანი? ვითხა მგელმა.

— მეფის ყანა დევიდევი ჩემდა სამკობელადო,
მეფის ჭარმა შემიჭამა მისდა გასაძლომელადო
და მე მივალ მეფის დასამხობელადო.

შენ მეფეს რაფერ დაამხოფ? — უთხრა მგელმა.

შეიხუხა წვერში მგელი და წვევიდა. იარა, იარა და შეხთა რიონი. რაფერ გევიდეს რიონში?! ამეიძრო ერი ღერი წვერი, დააშრო რიონი. შეიხუხა წვერში და წვევიდა. როცხა მივიდა მეფესთან. გამოცვინდენ ვეზირები და შიავდეს საკარიაში: ქათმები თვალს ამოტყენდნო. მიხუხა ტურა და თელი ქათმები შეჭამა. ქათმები შეჭამა რაცხამ. ქათმები. დეიწყეს ყვირილი ვეზირებმა და საკარიასკენ გეიქცენ. გამუაგდეს ცემით აი ბერიკაცი და საცხენიაში შიავდეს — ცხენები წინლებით დაზილავენო. ბერიკაცმა გუშვა მგელი და თელი ცხენები დაჭამა. ცხენები დაჭამა რაცხამ, ცხენები, ყვიროდენ ვეზირები და საცხენისკენ გარბოდენ. გამუათრიეს აი ბერიკაცი და საფუტრიაში შიავდეს: ფუტში დეიხჩობაო. ბერიკაცმა გუშვა რიონი და ყველაყა დაახჩო. ბერიკაცი ბერია, მარა ჭკუა და ძალა დიდი აქ.

მანარამე, აკაკი ბაჭელიძე

გოჭუნეი და ტურა

გოჭუნეი გევიდა ატამზედ და ატამს გემრიელად შეეჭყოლა. ტურას გოჭის დანახუაზე თავზარი დეიცა. შიარბინა ატამთან და გოჭუნეის შესძახა: ჩემო გოჭუნეია, ჩამომიგდე ერი კეკელი ატამს

მი! გოჭუნია მ ჩამუაგლო ატამი, მარა ტალახში ჩავარდა. ჩემი გოჭუნე, კილომ ჩამომიგდე! ერი კეკალი კილო ჩამოუგლო, მარა კილომ ჩავარდა ტალახში. ჩემი გოჭუნე, ჩამეიწიე და ისე მომე! ჩამეიწია გოჭუნია, მარა მოკიდა ტურამ ზრუგზე პირი, ჩამუათრია ძირში და გააფრენია სახლისაკენ. მუუყვანა დედამის და უხთრა: აი გოჭუნე შეწვი და ფიყუა და მაგარა კერიაძე დამიდევო. გოჭუნია იცოდა, სიკტილს არ აცდებოდა და რამე უნდა ელონა. როცხა კლავდა გოჭუნის, გოჭუნია უთხრა: ტარი ჩემკენ, პირი შენკენ და ქე დაკლა ტურა, შეწუა. ფიყვა და მაგარა კერიაზე 'დუ-უდგა. თვითონ მალა ჯაჭვზე გეკადა. მეკადა ტურამ და დეიწყო კამა. გოჭუნია მალლიდან შესძახა: დედაპისის ფიყვა—მაგარას კამს. ტურას კუკი მუუვიდა და გაცხელდა. ჩემი გოჭუნე, რაითი აი მაგაზეო? — სკამი სკამზე შევდგი და ივედი ზეთ. დაადგა სკამები ტურამ. მარა სკამები წეიქცა და ტურა დეიმტრა. გოჭუნია, მართალი მოთხარი, რაით ადი ზეთ? — აღუღებული წყლიანი ჩანახა შევდგი აღუღებულ წყლიან ჩანახაზე და ისე ევედიო. ტურამ გააფეთა ასე, მარა კი ჩავარდა დულარეში და ამეიხარჩა.

მახარაძე. აკაკი ბაჭელიძე

სამი ძმანი

იყო ერთი კაცი. ხავდა სამი შვილები. აგინში უნცროსი ძმანი ყველაზე გლახა იყო. როცხა კტებოდა მამა, შვილებს დოუბარა: მე, შვილებო, ბეური ტერი მყავს, დამიცევით, მიწიდან არააკაცმა არ ამომთხაროსო. პაწე ხნის მერე აი კაცი მოკტა და დაასაფლავეს. ძმების უთხრობელა ყველაზე გლახა ძმანი წევიდა საყალაურით. დიდხანს იცადა. მერე გამოჩთა წითელი კაცი. დუუწყო საფლავს თხრა. გლახამ შამოკრა ხმალი და კამახი პირალმა გადაატრიალა. სახში რო შევიდა, ძმებმა კითხეს — სა იყავიო. — მამაჩემის დასაცავად ვიყავი. — უთხრა გლახამ. შენ გვარცხვენო და წააქციეს და ბეური სცემეს. მორე დღეს კილომ წევიდა აი გლახა. უყარაულა დიდხანს. აი გამოჩთა თეთრი კაცი თეთრი ცხენით. დუუწყო თხრაი. გლახამ დაარტყა ხმალი კისერში და თავი წააგდებია. ცხენი წეიყვანა და ტყეში დამალა. რომ მივიდა სახში, ძმებმა კილომ სცემეს. არ დეიჭერა მაინც და მესამე დღესაც წევიდა. დეიწყო ყალაურობა. ახლა მევიდა შავი კაცი შავი ცხენით. მიწის თხრას რუ შუუდგა, გლახამ ამასაც წააგდებია თავი. ცხენი წეიყვანა და ტყეში დამალა. ძმებმა უკანასკნელათ კილო გააფთხილეს — აწი არ წახვიდევო.

მეორე დღეს ძმები მეფესთან მივიდოდენ — ყველა მაგარი ბიჭი იქინეი იქნებოდენ. მაღლა დაკიდებულია ბეჭედი და ვინც იქინე ცხენს მიახტუნებს და ბეჭედს ჩამეიღებს, ქალს იმას აძლევენო. ვეიგო აი გლახა ძმამ. შეხვეწა ძმებს, წამიყვანეთო. ძმებმა ვარი უთხრეს. ვალახეს და ისე დატიეს.

შიახტუნეს ცხენები, მარა ბეჭედს ვერაკაცმა ვერ შესტვა. აი გლახა წვევიდა. გამეიყვანა ცხენი. შეუდა და გააკენა. მივიდა ხემწიფესთან. აი ბიჭები ახტუნებენ ცხენს, მარა ბეჭედს ვერ იღებენ. ერთი ჩვენი გლახაც გაქანდა, შეხტა და ბეჭედი ხელში მეიქცია. პარობის თანახმად ამ გლახას დარჩა ქალი. აი ბიჭი მართლა გლახა კარ იყო, ძმებმა დააგლახენ.

მახარაძე, აკაკი ბაჯელიძე

ოქროს ქვიჯა

იყო და არა იყო, ხთის უკეთესი რა იქნებოდა. იყო ერთი გლეხიკაცი. იმას ყავდა ისეთი ქალიშვილი, რომ მასზე ჭკვიანი არავინ იყო, მარა ლუკმაპური არ ქონდენ. ერთხელ აი კაცი მივიდა ბატონთან და უთხრა, ცოტა მიწა მიეცა. დასთანხმთა ბატონი და მისცა მიწა, რომელშიც ერი დიდი მუხა იდგა.

ერ დილას ორივენი მიწას ბარვიდენ. მუხის ძირას უცეფ ოქროს ქვიჯა ამოყვა ბარს. დეიჯინა მამამ — ბატონს უნდა წუთლოვო, შვილი ვარს უჩივოდა: ამას რომ მუტან. ბატონი მის თავსაცავს მოქთხოვსო, მარა ამ კაცმა მისი გეიტანა და ფილა ბატონს მუტანა. ბატონმა თავი მოსთხოვა, მარა სა იყო. ჩასვეს ციხეში აი კაცი, მანამ არ იტყოდა, ფილის თავსაც მევიტანო.

ციხეში მისდა ჩივა აი კაცი: ჩემო ჭკვიანო შვილო, შენ ქე მითხარი და მე არ დაგიჯერე. აი გეიგონეს ყალაურებმა და ქე მუახსენეს ბატონს. ბატონმა მეიწვია აი კაცი და გამოჰკითხა მისი შვილის ამბავი. მერე უთხრა: თუ ასე ჭკვიანია შენი შვილი, ჩემთან მევიდეს, მარა ისე, რომ არც ცხენზე იჯდეს და არც ძირს იყვეს, არც ტანს ეცვას და არც გაძრობილი ქონდესო. ჩემთან რომ მევიდეს, არც სახში შემოვიდეს და არც გარეთ იყოსო.

მივიდა კაცი შვილთან და უთხრა ბატონის დანაბარები შვილს. იმანაც დუჯერა. გეიხადა ტანზე ჩეიცვა ბადე, ცხენის კული ტანზე მეიბა. ბატონთან რომ მივიდა, ცალი ფეხი პოლზე დაადგა, ცალი ფეხი მიწაზე, ბატონს ყოლიფერი გუკვირდა. ქალიშვილიც მეიწონა, ცოლათ შეირთო და დეიწყო იმასთან ცხოვრება.

ერთ დღეს გზაზე მიდიოდა ვიღაც კაცი და ცხენი მიყავდა. კვიცი მორე კაცმა წაართვა, რომელსაც ძროხა მიყავდა. ცხენის პატრონმა უჩივლა ბატონთან, მარა კვიცი ბატონმა ძროხის პატრონს მიაკუთვნა. ცხენიანი კაცი მივიდა ბატონის ცოლთან და უთხრა: რა-ყა მევიქცეო. ქალმა უთხრა: ხვალ ჩემი ქმარი სანადიროთ მიდისო, შენ ხმელეთზე ბადით თებზაობა დეიწყეო. ასეც მეიქცა აი კაცი. გამეიარა ბატონმა და უთხრა: კაცო, ვის გუგონია ხმელეთზე თებზობაო.

— ეს არ გამიგონია, მარა ის თუ გავიგონია, ცხენმა კვიცი მეიგოს და ძროხას აჩუქოსო. ბატონმა უთხრა: ვინ გასტავლა ესო. — შენმა ცოლმაო, — უპასუხა გლეხმა. ბატონმა აი გლეხი იქვე მოკლა. ცოლს უთხრა: ხვლიდან შენთვის უნდა წახვიდეო: რაღა გააბედიე ენცხა კაცს შენთან შემოსლა. რაც გინდა, ერთი წეილეო.

— კი, მარა ერთი ლხინი გადიხადე ჩემი წასლის საღამოსო. დუჯერა ბატონმა. ქალმა ბატონს ღვინოში დასაძინებელი წემალი ჩუყარა. ბატონს ჩიეძინა სტოლზე. ქალმა ეყუანა. თავის ქოხში დააწვინა. დილას რომ გამიედვინდა ბატონს, კალამ შეიშალა ჭკვავზე: სა ვწევარო ქალმა უთხრა: ყველაფერზე უკეთესი შენ იყავი ჩემთვის და შენ წამოგიყუანეო. ბატონმა უთხრა: რადგან შენ ასე ჭკვიანი ხარ, ბატონი შენ იყავი და მე ყმაო.

ერკეთი, წუხნი უჭმაჭურიძე

ცოლ-ქმარი

იყო ერთი ცოლ-ქმარი. ცოლი სულ თავს ავათ იხთენდა ტყვილათ ქმართან. ერთ დღეს ქმარი წვევიდა მარჩიელთან. უნდოდა, გიგო მისი ცოლის საქმე. მარჩიელმა უთხრა: შენი ცოლი იტყუებს, იგი კუდიანი არისო. ღამე დუდარაჯე და ყველაფერს გეიგეფო. მივიდა ქმარი სახში. ცოლს უთხრა: საგძალი გამიმზადეო, ხვალე ყანაში მივალო ვორი დლითო. ქალს გუხარდა გუნებაში და კუთვით დეიწყო საქმლის კეთება. ქმარმა ეილო მერე საგძალი და წვევიდა; უკან სამძახელში ჩაწვა.

დაღამდა, ქალმა გამიეწყო, ფეხში ნაცარი ამეისვა და წვევრთა გააყენა საჩხინავში. გაფრინდა, სადაც კუდიანები თავს იყრიდენ. გეიმართა ბეური თამაშობა. ამ კაცის ცოლს უნდა შეიწირა როკაპი კუდიანიზა სამძახელი. გამოფრინდა აი დედაკაცი, მეიკიდა სამძახელი და სირბილით გეიქცა კუდიანებთან. როკაპ კუდიანებს კბილებზე დიდი ქვა ხეთქა და როკაპმა გადიხარხარა. სამძახელში რო კა-

ცი იწვა, კლამ გაგიყდა. დამთავრდა კუდიანების თავშეყრილობა. ზედაკაცი გამოფრინდა სახში, დეიწყო კუთვა, რო დეინახა ქმარი, ქმარმა ყორიფელი იცოდა. დედაკაცი გამუაბა ცხენი ძუაში და მუ-
აბუნია თელი ეხო.

ერკეთი, ნანა გიორგაძე

ამბავი მართი ქალიშვილისა

ცხოვრობდა ერთი კაცი. მევიდა ის დროი, რომ თელი ვოჯახით ერუსალ-მში წასლაა საჭირო (ძაან საინტერესო კია!). ერთი ქალ-
ვათი ყავს ამ კაცს. აი კაცი ფიქრავს: აი ვოგო რომ წვეიყვანო ამ-
შიმორე გზაზე, ვინცხა ან ნებით ან ძალით წამართმევსო. ამ კაც-
თან აგერ ხოჯაა როგორწილათ მოყვარესავითაა (ე პირძაღლი!). და-
ტია აი ვოგო იმასას. ეიკუქვენ და წვეიდენ აგენმა. სტამბოლჩი
იქნებდეს... ხოჯამ ამ ვოგოს ქიარ მოთხუა. განჯვარდა ვოგო, მარა
არ მოსცილდა ხოჯამ. რაცხა თვარ მოუხერხე, არ მომშორდებო,
იფიქრა ქალმა. კარქიო, დიეთანხმა ვითამ, მარა მე კაცთან ისე არ
დაეწობიო, ტანი თვარ დაეაბანიეო. დეეთანხმა გახარებული ხოჯა.
გეიძრო და დეიწყო ტანის ბანა. გეისანა კარქათ. ეილო ამ ქალმა,
დაარტყა თავში თუნგი და გეიქცა გარეთ. ხოჯამ რავარც იქნა, მე
იშორა საბონი და დიეჩემა. მაამის წერილი მისწერა: იი დღეი რეი-
ზა არ დეიქცა, შენი ბალანე რომ დევიტეი, ესევა ქვეყანაო. წეი-
კითხა წერილი მაამისმა, გედერიოა კაცი. ქი მოკტა ერთი სიკტალი.
დეიჯერეა ხოჯას ამბავი. გამოგზანა სახში ი ვოგოის ძმაი და დუბა-
რა: მოკალი და სისხლიანი საცვლები წამომიღეო. წამევიდა ბიჭი.
მუახლოვდა სახს. ცხენი მოყვარისას დატია, მერე სახთან მივიდა
და მოკაკუნა. ვოგომ არ გაცა ხმაი. კილო დააკაკუნა. ვოგო გა-
ჯავდა სახში და დიექადნა იქიდან. მორე დღეს ბიჭი ჩევიდა ცხენით
ეხოშ. გეეხარდა დას. ამ ბიჭმა ქე მიხთა, რო დაი მართალია, მა-
რა მაამის რაფრა დააჯეროს. ვეიტყვილა დაი ტყეში და მოტყუე-
ბით დატია იქინე. მერე ამეილო იმის საცვლები და დასვარა ცხვრის
სისხში და წამევიდა. მუტანა აი მაამის. დავლუბულვარო. რავავო
იკითხა. წამევიდა მამა და თელი ოჯახი იქიდან. შევიდენ სახში,
ხოჯა მიესალმა, ვითამ აფერი.

აი ვოგო რომ გეიქცა. მერე იარება ტყეში. ერსალიკე ნახა სა-
ცივი. საცივის პირზე წინე ფეხებია დადგმული. აქანე ვინცხა ცხე-
ნიანი კაცი ყოფილაო. იი მოვა აქანე კილოვო. ევიდა საცივის თავ-
ზე ხეზე და ჩავდა ბოლებში და უტთის. გეიხედა, რომ მოჯირი-

თობს ცხენიანი კაცი, თურმე სანადიროთ ყოფილა. მეფის შვილია. მიყვანა ცხენი, მარა წყალი არ დალია. გაიქაჩა ცხენმა. თურმე წყალში ი ქალის სურათია, ხეზე რომ არი. ეხება ამ კაცმა და დეინახა აი ქალი. ჩამოდი ძირსო, თვარა გაგათვევო. ჩამევიდა ქალი და შიშრორე გაჩერდა. შამუაბაჯე აბუანდში ფეხიო. მეიქრა აი ქალი სამყარო სარტყლით უქანიდან. მეიხურა ნაბადი. მივიდა შინ და დედამისთან შეიყვანა აი ქალი. აი შენ გებარებოდესო. მე ამის მეტი ქალი არ მინდაო. გვეიდა დროი და დეიწერა ამ ბიჭმა ვეარი. ერთხელ კითხეს: სოდური, ვინ ხარო, ვინ ქყავსო. ყოლიფერი მყავსო ამა და ამ სოფელშიო. შვილები ეყოლა ვორი. წვეიდეთ მამაშენთანო, უთხრა ქმარმა. გუხარდა გოგოს. მიემზადა. თავარსარდალი მიყავს და ცოტა ახრანა. რემელცხა დღეს უნდა გაღიაროს. მეფეს საქმე გუჩთა, სხვა სამეფოში ეძახიან. აი აქითაა ამგზავრებული. რა ქნას, თავარსარდალს უთხრა: გაყნვი თქვენ და მე ქე მეგეწვეითო. კარქიო — თავარსარდალმა უთხრა და წვეიდენ. განგეფ დეიღამა თავარსარდალმა, რაცხა აქ გუნებაში. საღამოს დაღაგორდენ. დედოფლის გვერძი თავარსარდალი დადგა, მამაძალლობა აქ გულში. მარა მანც აქანეა მისი ადგილი. ყველაყას რომ დეიძინა. შვეიდა აი თავარსარდალი დედოფალთან და მოთხუა. დედოფალი გუწყრა, თავარსარდალმა უთხრა: დამნებდი. თვარა აი ბაღანას დაგიკლავო. ეიღო და ქი დაკლა ერთი. თვარ ქენი, ასლა მეორეს დაგიკლავო. დუკლა აგიც. ასლა შენ მოქკლავ, თვარ დამნებდიო. კაიო — უთხრა ქალმა. გარეთ გავალ და ახლავე მუალო. გეიქცა აი ტიტველი ქალი ტყეში. ლუკუში დამეა. ტყე-ტყე იარება. გამთენიეს ხანი მუაწია. ძაღლის ყეფა გეიგონა. გუხარდა. მისვა და გატიალებული მიდორი დეინახა. დეინახა სახლი. თლა ტყიდან არ გვეიდა, არ გეისინათლა. სახში კაცი უდანა ცეხლი ჰირში. აი წესი ყოფილა. სხეებს გუდენიენ საქონელი. გაყოლიენ იგენს ძაღლები. გეიქცა აი ქალი და შევარდა სახში. მე დაი და შენ ძამიო. ამ კაცმა კლამ გადგირია. ხელუკულმა გუგდო ბლუზა-შარვალი. ქალმა ჩეიცივა და დაჟდა შეშინებულათ. ქალმა თელი ამბავი მუყუა წყემს. მე მამაშენის მეჯოგე ვარო. გუხარდა ქალს.

გვეიდა ერი კვირე, წერილი მევიდა ჯოგზე: სტუმრები მყავს — ამა და ამ დღეს, ამუარჩიე საქონლები და ვორი ბიჭი წამევიდესო. ამ დღეს ამ მეჯოგეს მეფეც ყავს, თავარსარდალიც და ხოჯა ხო იქინა.

როცა თავარსარდალი დაბრუნდა შინ, მეფეს უთხრა: ტყიდან

გამოყვანილმა შენმა ცოლმა დაკლა ღამე თავისი ბაღნები და გეიქ-
ცაო.

აგი გოგო ვაჟათაა ჩაცმული. სახეზე შედღურა და წეიყვანა
მუაწყევენ კაპანია. ჭამენ, სუნენ. ალაგდა სტოლი და დეიწყეს ზღა-
პარი. ამ მწყესმაც მეითხუა. მეც ვიტყვიო, მარა გარეთ გასლის
ნება არევის მიცეთო. კიო უთხრა მეფემ. დეიწყო თავიდან. ერთი
მოსახლე იყო, კაი მოსახლეო. ერუსალიმში წასლა მუუწია — მეი-
წადინაო მოსალოცავათო. გოგო ხოჯას დუტია. ხოჯამ მოთხუა გო-
გოს. მერე ხოჯამ ტყული წერილი მიწერა მის მამას და ქე დაა-
კარქია აი გოგო. მერე აი გოგო მეფემ შეირთო ცოლათ, ვორი ვა-
ეები ეყოლა. მერე მეფე და თავარსარდალი ი გოგოას მამასთან მი-
დიოდენ. მეფე საქმიზა დარჩა. თავარსარდალმა შეინდომა დედოფ-
ლის დამორჩილება. დუუკლა ბაღნები. აი ქალი შიშველე გეიქცა
ტყეში. ქალი ჩემთან მევიდა ტიტველე, ბლუზა-შარვალი ჩავაცვიო.
აი რომ მოყვა წყესმა, ხოჯამ და თავარსარდალმა გარეთ გასლა
მეითხუენ, მარა არ გუუშვენ. აგი ქალია შენი შვილიო და უჩვენა
დედ-მამას. ხოჯა და თავარსარდალი ქე მოკლეს. კი შეერთენ და ქე
ცხოვრობდენ ბედნიერათ.

ონქიქეთი, როინიშვილი მიხეილი 79 წლისა

ოპროსტოზიანი და-ძმა

ერთ მეფეს ერთი ვაჟიშვილი გამუზღია. მეტი არ ყავდა. რომ და-
მოწიფულდა აი ბიჭი, მამის თხოვა, გამიშვი ქვეყნების შემო-
სავლელათო. დაქორწინებული არაა ჯერე. აი ყმაწვილი სამზღვარგა-
რეთ არ გუშვეს. შიგნი სახენწიფოში იარეო. მიემზადა ამან და წევი-
და გარეშე გუბერნიებში. ერ სოფელჩი გეიარა და მოლაზე ჩამოხ-
ტა და წაწვა ნაბაღზე. იგერ სახლია. იმის ბაღკონში სამი ქალი-
შვილები გამევიდენ და დეინახეს აი ყმაწვილი. იი წევს ეგერ. და-
ძინებული არაა. ერთმა გოგომ თქუა: მე რომ მითხოვდეს მაი ყმა-
წვილი, ისეთი სარკე მაქ, რო ჩევიხედავ, გეიგეფ, ვინ რას აკეთებს
ქოყანაზეო. შაშვალმა თქუა: ისეთი ლაფენი მაქ (მაგიდის გადასა-

ფარებელი), რასაც ვინატრედ, მექნებო. მესამემ დეილაპარაკა — ვოქროსთმიანი შვილები მეყოლებო. აი ყველი გეიგონა ამ ბიჭმა. დაედა ცხენზე და წამევიდა სახში. მარა ჯერეთ გეიგო იმგენის ვინაობა. დეიწერა ყოლიფერი. უწინ, ყველეს უწინ დედ-მამასთან მივიდოდა, წასრული რო იქნებოდა სხვაგან, ახლა პირდაპირ თავის კაბინეტში შევიდა. ვინცხამ უთხრა დედ-მამას, ბიჭი ქე მევიდა, ხვაფერი საწყენი მუჯიდაო. იფიქრეს — იმგენთან რუარ შევიდა, იმიტომ. მივიდა დედა და მამა და კითხეს: ხვაფერი საწყენი შეხთერიაო. კარქა ვარო, მარაო ქალის თხოვა რომ მინდა, თუ იციო. აი ამ და ამ კაცის უნცროსი ქალიშვილი მინდაო. განჯვარდა მღფემ, მოატია და წამევიდა. მე ძანიალ კას ქკვაზე ვარო, თქვა ბიჭმა. აი გარეთ არ გამოდის. მიაქვენ საქმელი და სასმელი.

ერი კვირე რო ვადიარა, კილომ მიელაპარაკა აი დედ-მამამ. არ ქნა ბიჭმა. გამუართვა მერე მისაძართი და ი კაცს გუგზანა წერილით ვეზირი. მივიდა ვეზირი და უთხრა გლახს, უნცროს ქალიშვილს თხოულობს მეფეო. გლახი განჯვარდა, სასაცინოთ მიგდებთო? დაარწმუნა ვეზირმა. კი ბატონოვო — ერს კარა სამივეს გავატანო. წეიყვანენ აი უნცროსი გოგო, დანები ქე წაყვა. ამ დანებმა ქე იცის, დასურ ვოქროსთმიანი შვილი ეყოლება და ცოტა შური გუჩთენ აგნებს. სასახლეში ერი კუდიანი ვადიე იყო და იმას დუაფხანიკდენ: წაახდინონ რამეფერათ დაი. ქალი ფეხმძიმეა. დაწვა ქალი მოსარჩენათ.

ეფერებენ ძანიალი. რომ უნდა დაბადოს ბაღანე, შეიყვანეს ძაღლის ლეკვი, პირი აბლუჯული (აკრული) აქ: არ იცნავლოს. შიპარეს დედას აი ლეკვი. ვოქროსთმიანი ბიჭი ეილენ და წისქვილის ზეით გარაავდენ წყალჩი. ვადე და დები ვითამ შეწუხთა, რეიზა ეციბარეთ აი საქმეო. გეიგო მეფემ, მარა აფერი უთქვამს.

აი ბაღანე წისქვილის ღარში დეიჭირა მეწისქვილემ და ქე გარაავდენ დედაბერებმა. კილო ვორსულდება ქალი. მორჩა და ახლა კატის ცინტალი შიპარენ. ვოქროსთმიანი გოგო ისევე წყალჩი გარაავდენ. აგიც დეიჭირა მეწისქვილემ და ქი ზრდის. მეფემ რომ გეიგო, ცინტალი ეყოლაო, უკანა პწკალასან მიება ქალი და კაცი დუყენა: ვინც ამუა ამ პწკალაზე, ყველამ მიაფურთხოსო.

ვოქროსთმიანი დაი და ძმაი გეიზარდენ დიდები. აი მეწისქვი-
ლე დედაბრები ქე მოკტენ. ახლა მალაზონთან შიაფარენ თავი. სა-
მადლო საქმეს თუ დეინახვიდა ვინმე, ღმერთი დუმაღლებდა.

ერ დღეს ხალხის გრია მოწყობილი აქანია აი ვოქროსთმიანი
ბაღნები. სახლიდან ვეზირს დუნახია აი ბაღნები. მივიდა და ბიჰს
გამოკოთხა ყოლიფერი. აი გოგოც კი ნახა. ვეზირმა მუახსენა მე-
ფეს ვოქროსთმიანი და-ძმის შესახებ. ამ ამბავს ქე უყურა დებმა
და ვაღიამ. ახლა თუ არ მეიგონეს რამე, დელიუპებიან. გეიქცა აი
დედაბერი და ქი ნახა აი ბიჰი. გამოკოთხა ყოლიფერი. უთხრა ბაღ-
ნებმა, რადარც იყო. შეემოწმა იმ ხნეს. მივიდა დანებთან აი კუნ-
კრუხე (ეი, ბიჰო, რაფერი ამბავია მაქანე!). ბიჰს უთხრა დედა
ბერმა: შენ ქალი ხო გინდაო. აი ქალას იქით ამ კედაროზე ერთი
ქალია. იი უნდა ითხოვოო. აი ქალთან ყველაყაი ილუპება. წევიდა
ბიჰი. დაი ქე დატია მალაზონთან.

სახლია აგერ გზის პირზე და შევიდა ეზოში, წამოწვა მოღზე.
გამევიდა ქალი და დეიძახა — ვინ ხარო, რომ დაგდებულხარო. გა-
ჩუმდი. ქალო. თვარა ამ ქვებით წყალს შეგასხამო. მა ქვებს ვოთხი
დევი ძღლე ზიდულობს და შენ რაფერ ეილეფო. მივიდა ბიჰმა და
გარმოდგა ძირს. ახლა ქი მიიპატყა სახში ქალმა. მევლიანო დევე-
ზი პაწე ხანშიო. აქანე რომ განახონ, გლახათ წავა საქმეო, დეიმაღეო.
მე დასანაღაბეი აფერი არ მჭირსო. პაწე ხნის მერე მოდიენ დევები,
ზოგს წიფელე მუაქ, ზოგს ნანადირები. ადამიანის სული ეცა დევს.
ერნ ხარ შენო, უთხრა ბიჰს. სტუმარი ვარო. სტუმარი არ იარება ჩემ-
თანო. გამოვცადოთ ერთქაშეთიო. ეილო და აი ბიჰმა ქე დაარტყა
ძირს დევი. მერე დაძაბილდენ. მერე ბიჰმა უთხრა: ამ მხარეზე ქა-
ლიზა მივალო. შეწუხდა დევი. აი ქალი ყველას კლავსო. იქინე ვინც
მივიდა, ცოცხალი არ გამოჩენილა. დევმა თავის ძმაკაცთან მიასტაე-
ლა. იგი ვეტყვის ყოლიფერსო. მივიდა ი დევთან. დევი გამუარდა
დაკვინჭილებული, ეტეკოს უნდა. მიცა წერილი. შეიყვანა სახში.
აქანეა გასათხოვარი ქალიო, იმას ექედუო. იქინე რაც კაცი მივიდა,
სუნთელეთი დელიუპაო, სუნთელეთს ქვათ აქცევსო. მეცხრე ვოთახ-
ში წენა ი ქალი. მერვე ვოთახში პირსაბანათ რო გამუა, თმაში ჩა-
პიდე ხელი და არ გოუშვა, დედა თუ არ დეიფიცისო. წევიდა აი ბი-

ქი. შეიდა მერვე ვოთახში. ქი გუგო ამ ქალმა და გააქვა აი კაცი იქინე. მერე ფერდში გარააგორა სულ ქვევით, აქანე ბეურია ამისანა გაქვავებული: წაკატი რო შემოკრა ფუტი გუა (გაუვა).

დაი წუსს. ძმაი რუარ მევიდა. ჩეიცვა ბიჰის ტანისამოსი და წეკადა. ქლათ იმას გავს. სტორეთ იმ გზით წევიდა. შეხთა პირველ დევს. გუხარდა ძანიალი. არა, მე ქალი ვარო, დაკეინწიალდა ი დევი. მიასტავლა ძმათნაფიცთან. იმასთან რო მივიდა ქალი, იმასაც იი ბიჰი ეგონა. ცოცხალი დარჩენილაო. იმასაც უთხრა: მე ქალი ვარო, ი ბიჰის ძმაო. ძმას ვეძეთო. მიასტავლა ახლა ამ დევმა. შეიპარა მართალ მერვე ვოთახში და ქე დეიჭირა აი ქალი. დააფიცა დედა. მერე კითხა: რეიზა მოდიო. ქალმა უთხრა: ჩემი ძმაი გაგიქვავებიაო. წევიდა ამ ქალმა და სუყველე გაქვავებული გააცოცხლა. ი ბიჰმა სახოვა აი ქალი. სამივე შეყდენ ცხენებზე და გამუუარეს დევებს. იქორწილეს და წამევიდენ მოლაზონთან. მოლაზონი ქი მომკტარა. აქანე აფერი არაა. ამ გძნელმა ქალმა მუჟსვა მიწას ჯოხი და დიდი სასახლე წამეიქიმა. დეიწყენ ტკბილათ ცხოვრება. მეფეა მუახსენეს შენ მეზი: ბლათ ასეთი დიდი სასახლეაო. კი უნდა ესტუმროს, მარა ცხენია. ერ დღეს აგენმა მეიწვიენ თვითონ მეფე. მერე თვითონ მეფემაც მიიწვია აგენი. მუახაზირენ ყოლიფერი, სამი ბუკეტი წეილენ. ქალმა უთხრა და-ძმას: მეფე შემოქვხთება ჰიშკართან. შუა ეზომდი ქი მივყვეთ. მერე გუხვიოთ და უკანვე პწკალედან ევიდეთ. იქინე ქალი იქნება დამბული, იმას მივცეთ აი ბუკეტები, გეტყვიენ, მი-აფურთხეთო, მარა არაფლიზა არ ქნათო. (ო, აქანე მაგარი საქმეა!). ასეც მეიქენ. ამან მეფე ძან გააკუჟა. უიან კაპენიაში, მარა აგენი არ ქამენ, შენიშნეს ხალხმა, მეფემაც. რაი მიზეზია, რუ არ ქამთო. მე რასაც გეტყვიო, იი მამიტანეთო. მუუტანეს ხმელი ვაზის ღერო. დეიკავა ხელჩი და შეულოცა. გაცოცხთა ვაზი. გამეისხა ყურძენი. ეზოში რომ მამალია, იგი დაკალით, გაწმინდეთ და მომიტანეთო. მუუტანეს. შეულოცა ამ ქალმა. დეიყივლა მამალმა და გაფრინდა. მერე მეფეს უთხრა: აი ქალი რუა დამბული, რეიზა იგიო. ოუშვით და მეიყვანეთ აქანეო. შევიდა საწყალი ქალი. ახლა აქანია მეფეც. აი შენი ბიჰია და აი შენი ქალიშვილი. რო დეიბადა, წყალში გარაყარენ და მეწისქვილემ გაზარდანო. იი ცოლიდანებმა და გადიამ მოგიწყვეს

არ საქმეო. გამუაშქარდა ყოლიფერა. ცხენის კუღზე დაგლიჯეს
იგენი. თვითონ ქე დეიწყეს ტკპილი ცხოვრება.

ონჳიქეთი, შიხეილ როინიშვილი, 78 წლისა

ლექსიკონის განსაზღვრა

ა 1. ცნობობითობის გამომხატველი ან ასეთი ნაწილაკის შემადგენელი ელემენტი. „ციკლოთაის ნიკოიამ გამლახა“ (ლალ. II; ნ.ქ. ლომთ.).

ა 2. მიცემის, მიწოდების ზ-ის ნაშთი: „ა ფელი და მოისობას ნამთი წამეილე“ (ს.).

ა. 3. ჩვენებობითი ნაწილაკის ა-ის შემოკლებული სახე: „ა, აქანე იყო სალოცავი ქვაი“ (ჩოჩხ.).

აანცებულ-ი რაც სიანცით აიკლეს, აიხრეს, ააფორიაქეს, აანგრის. „ყოლიფერი აანცებული დამიხთა სახში“ (სურ.).

აართმევ-ს გამოართმევს. „ვინ ხარ მკ. ამართვი აი სანათი“. (ნაბელ.). წაართმევს. „შოთაის მამამ ვორასი მანეთი ამართვა; ვის მოვთხო ახლა მათ ფელი?“ (ქუმ.; ნ. კ. ქეგლ.).

აბარება რაიმე საქმის თავს ღება, მისი შესრულებისათვის პასუხისმგებლობა. მინდობა. „რეიზა ევიბარეთ აი საქმე. კი აფერი მოგვივა“ ერკ.; შღრ. ქეგლ.).

აბაშური თეთრი-ი თეთრი სიმინდის ჭიშია გურიაში (ლიხ.).

აბენცელება აბანცალება, ბარბაცი სიმთვრალის ან ავადმყოფობის გამო. „ბუერს რო დაღევს ყაზახი. აბენცელღება, აპა რას იზამს“. (მახ.). „თრალეზი გამევიდენ და აბენცელღენ“ (შემ.).

აბორგება მიწისა გამოფიტვა. „აბორგელა ჩვენი მიწები, უსასუქოთ ყანა არ მოდის“ (შემ.; შღრ. ქეგლ.).

აზოს კილი-ი პატარა ნიუარაა. მას აკვანზე შეაბამდნენ, ბავშვს თვალი არ სცემოდა, არ გათვალუღიყო. ავად არ გამხდარიყო (სურ.; ნ. გ. შარაშ.).

აბრა 1. სამაგიერო, წონით თანაზომიერი. 2. ოღნავ მცტი, ვიდრე საქირთა. „მეცი აბრა და ისთე დაჯარი მათ კაბა“ (შემ.; შღრ. ს. ელ.; ქეგლ.).

აბრუნება გადაბრუნება. „ქვაი ააბრუნა და ქვეშ კი იყო რაცხა“ (ქუმ.; შღრ. ქეგლ.).

აბრუნებულ-ი გადაბრუნებული. „ბუერი ახალი აბრუნებული ქვიები ვნახე გორაზე, ერთზე რაცხა იყო დაწერილი. აი ქვაი არაა ახლა სტორეთ“ (შემ.; შღრ. ქეგლ.).

აბლუჭული-ი აკრული, ახვეული. „მეიყვანეს ძაღლის ლევი. პირი აბლუჭული აქ“ (ერკ.).

აგარანია ცაცხლი-ი დიდი ცაცხლი. „აგარანია ცაცხლი დაანთეს, ქუთისიდან დენახვიდა კაცი“ (ს.; ნ. ქეგლ. გაგანია).

აგი ვანსახლერული ნაწევარი „იყო ერთი კაცი. აგი კაცი ყოლიფერი დღეი დალიოდა საცივზე“ (ქუმ.) ჩვენებითი ნაცვალსახელი ეს (ყვ. ნ. ქ. ლომთ.; ნ. ქეგლ.).

აგი ერთი ხანია კარგა ხანია. „აგი ერთი ხანია არ მინახავს, შარა ისთე კი ვიცნოვ“ (ჭურყ.).

აგორ-ი ნ. აგორება.

აგორება ფერლობი, ოღნავ შემადღებულ-ი ადვილი. „ქი აყენ აგორებაში დაბალი ევნახები“ (ს.; შღრ. ქეგლ.).

ადრედ ადრე. „ადრედ დილას უნდა

ენახა მარა დაძინებულარიან“ (ჩოჩხ.; 5. ს. ელ. აღრე).

ავი სურვიელ-ი ავი სული. გადატანით: ავი აღამიანი (ს; 6. ქ. ლომთ).

აზათ აღამიანის სახელი. „აზათ ამ წიგნი მომწერა“ (ბახ.).

აზავება შესრულება. „ორს რე შევიტან, ექვსი ათავდება მაშინ“ (კან.; 6. კ. გ. შარაშ.; ქეგლ; 6. ქ. ლომთ).

ათასპოტიკა გზა-ი დახლართული, სხვადასხვა მიმართულებით მიმავალი გზა. „სულ აყუვი ზეით, თვარი იქინე ათასპოტიკა გზაია და დეიბნევი აი უცხო კაცი“. „ცხოვრებაში ათასპოტიკა გზაია, თუ მიაკლიე, შერე აფერი გიჟირს“ (აც).

ათასპოტიკა-ი გზა-ი იგივეა, რაც ათასპოტიკა გზაი. ვადატ. მრავალგვარი კარგი შესაძლებლობა. „ათასპოტიკი გზაი გამუქთა. ყველაი კაი იყო მაგზადა. ვერ შეინმარა თვარა“ (ნატ).

ათქმა აღთქმა, დაპირება, პირობის დადება. „ავითქვა მ პირის დაბანს თმა დალაღასა წყობასა“ (შემ).

აი იგივეა, რაც აგი; ეს (ყვ.; 6. ს. ელ.).

აიანცება: ამაიანცა-- მოსვენება არ მომცა, ამაფორიაქა, ამიკლო. „სიბმრებმა ამაიანცა“ (ბახ.).

აიბ-ი ნაკლი. „აიბათ ვეეთლება სკოლიდან რო ბალანაი წვედეს“ (აც; 6. კ. გ. შარაშ.; ი. ქავთ. ა. ლ).

აიბიანი-ი ისაა, ვისაც ცუდი, საზოგადოებისათვის მიუღებელი ჩვევა აქვს. ავალმაყალის ამტეხი, ხელიგანი. „აიბიან კაცს ქორწილი როვა დავაბიჯებდით“ (ჩოხატ).

აიდა „ამ სიმიდს ერ ღამე ნადს ვიქთ და აიდა“ (ზოტი; უეპქელად გუარჩევთო).

აი ერთი ხანია 6. ავი ერთი ხანია.

აირარ... რარ... არარ ქათმის დახმობა (ერკ).

აი ხანი იყო ის-ის იყო. „აი ხანი იყო, ისრობოდა კაცი“ (..).

აკვანი-ი აკვანი. „ჩვენ ვართ აკვანი ცვით ლელეში“ (ხევი).

აკეშის ღამე ლელე და ადგილი ერკეთში.

აკიატება აკიატება, აკილება, მოულოდნელად გამოჩენა. „თიბაში ვარ საბობს მწყერი“. მევიდა მცელავი და რო ეცლავს, მე ევეკიატე თიბაში“ (ლიხ).

აკლოვ-ს აგნებს. „თრალია და თვის სახლის გზას ვერ აკლოვს“ (ერკ).

„ჩავრით ვერ ვაკლოვ ენასა“ — ჩავრით ველარ ვლაპარაკობო (შემ).

აკონვა თოკით ან მისთანათი რამეზე აკვრა, მიბმა. „გამიგონია, ბატონი ხეზე ააკონვიდა ყმას და ცემდაო“ (შემ; შდრ. ქეგლ).

ალი ..ალი სისასა მალისასა. შევილოცე თვალისასა“ (ნაბელ; შდრ. ქეგლ).

ალაგე ბოსტანში გადასასვლელი. საზოგადოდ ღობეზე გადასასვლელად მიჩნეული ადგილი. „ალაგეზე ფარჩხი ვარმოუგდიენ და ბოსტანში თხიები ჩასულა“ (გომი 6. ს. ელ.; 6. კ. ქეგლ; შდრ. ვ. ბერ).

ალაგის-ალაგას ალაგ-ლაგ. აქა-იქ. „ალაგის-ალაგას შვი მიწა ამოდის და უცფათაი იშლება“ (ქვაბ).

ალა-მარა „ალა-მარა, ლაღა-შარა, ელიბოღე ღზნეულს“ (ერკ).

ალაო ხევი, ბარაქა, ნაყოფი. „ზარმაცი კაცის მუშაობას ალაო არ აქ, მიტოა იგი ღარიბი“ (შემ; 6. კ. გ. შარაშ.; ქეგლ).

ალერდი-ი საქონლის ნედლი საკვები (ჩალა, სიოთ; ვაზის გამოჩალი ზელმეტი ყლორტები და სხვა ერთად). „ძროხას ალერდი დუეყარე და დავტი“ (შემ. 6. კ. საბა, ქეგლ; შდრ. ა. ლ).

ალზანა, ალაზანა ფართო და ყვითელმარცვლებიანი სიმინდის ჭიშაა გუროპში. „ალზანს ვთესდით. კაი მოსავალი იცოდა“. „წმინდა ალაზანას ვერც ქე იშონის ახლა კაცი“.

(შემ.; ორი კოლმეურნის საუბრიდან ერთი ალზანას ხმარობდა, მეორე — ალზანას. ნ. გ. შარამ. ალზანა).

ალიქმელე-ი ბლის ერთი სახეა ლიხაურში (ეგების სხვაგანაც, ჩვენ კი აქ ვხვდებით).

ალმირ-ი მიმინოებული პატარა ფრინველია (შემ.).

ალქ-ი წისქვილის ბორბლის ღერძის ზედა თავზე არსებული რკინა, რომელზედაც წამოემულია წისქვილის მბრუნავი (ზედა) ქვა (ლიხ.; ნ. ს. ვლ. ალქ).

ალყ-ი სომი საკრავისა (ლიხ.; ნ. ქეგლ ალყა).

ალხ-ი ნ. ალქი.

ალხზე დგომა ყალყზე დგომა. „მანც დგებოდა ალხზედა“ (ნემ.).
-ამ ლემის ნიშანი, რომლის ადგილზე უწყვეტლსა და მისგან ნაწარმოებ მწკრივებში გვაქვს -მი; ვაბმიდი, ვსმიდი. (ყვ.; ნ. ი. ვიგ.).

ამალ-ი (ამალა) ამყოლები, ერთნაირი ხასიათის ამხანაგები. „გერაში ჩამევედი, ვერსა ეიშოვე ამალი“ (ფირ.; ნ. კ. ქეგლ ამალა).

ამანქი დაახლოებით. „აი, ამანქი ნ ფუთი ვამუა“ (სიტყვა ლიხაურში გავიგონეთ. შეთვისებული ჩანს აქარულიდან — (3) ამა (5)-მაგრამ, ქიკი, მაგრამ კი?).

ამარმარებულ-ი კარგად ალესილი მჭრელი იარაღი. „ეილო ამარმარებულ-ი ნაჯახი და წვიდა ტყეში“ (სურ.).

ამარჩებულ-ს ასწორებს, მარჩევს, სწორს ხდის. „სკოლის ბაღნები გზას ამარჩებდენ და ჩვენ ეზოზე იარებოდენ“ (შემ. ბავშვები გზას ასწორებდენ — იმოკლებდენ).

ამატება სუფრისა სუფრის აღება, ალაგება (გომი).

ამავან-ი ტეველობა. „სამ ბოთს რო დალეე, იმას თავისი ამავანი უნდა“ (ასკ.; ნ. კ. გშარამ.).

ამგაის (ს) ამ წელიწადს, წლეულს (ზოგის გაგებით). „ყანიები კია; ამგაის დიდი მოსავალი გვექნება“ (ს). მომავალ წელიწადს. „წროულსაფერი მაქ და ამგაის კი ავაშენევ სახს, (ჩოჩხ. ნ. თ. კიკ.).

ამღონ-ი იგივეა, რაც ამღენი, ამ რაოდენობის (ყვ.).

ამღლე-ი მთელი დღე, დღიდან საღამომდე. „რავა ბაღნაი ამღლეი საღღეირება, ღმერთის მეტმა კაცმა არ იცის და ავით გახთება, აბა კი რავა დიემართება ვითამ“. ამღლეი სკოლაზიო, რო დაღამდება, შამუა სახში“ (ჭურყ.).

ამთელეთ-ი ამღენი, ამოდენითი. „ამთელეთი სომინდი არ მოვდიოდა წინწინ“ (ჰან.).

ამიზეზება ტირილით რისამე ამოჩემება, ჩვეულებრივ ბავშვებმა იციან „ამიზეზება“ (ფარცხ.; ნ. ქეგლ.).

ამინუთობით ახლა, ამ წუთში, ამჟერად. „ამინუთობით არ ვიცი, რაფრა იბარებენ ფსხალს“ (ს).

ამის სიმარჯვე ასე მარჯვე, ძლიერ მარჯვე. „ამის სიმარჯვეს ვეფერს ვერ ნახავ“ (ხევი. რძალზე ამობს მამამთილი).

ამოგება გადარჩენა, ფეხზე დაყენება „ყველი დაწყტენ და აი ვოჯახი მოყრენებმა ამეიგენ, თვარა ახლა აფერი იქნებოდა მაქანე“ (ასკ.; ნ. კ. ლომთ. შეღრ. ქეგლ.).

ამოდღურული შავი ლაქებით დასვრილი, გაშავებული, საზოგადოდ ქუქუიანი, დასვრილი. „ჩემ ბაღნობაში ისრიანი სახლები იყო ამოდღურული გურიამი“ (ასკ.).

ამოზ(რ)და გამოზრდა. „ჩემ დამ ამოზარდა აი ბიჭები“ (ქვაბ.).

ამოზ(რ)დილი-ი ვინც ან რაც გამოიზარდა, დიდი ვახდა. „ნენაის ამოზდილია თავედომარე, მარა რაია მერე, ვის ახსოვს ავი“ (ჭუმ.).

ამოლიზინებულ-ი რაც (ჩვეულებრივ

ნათესი მცენარეული) ერთბაშად ამოვიდა და სწრაფად გაიზარდა. „სანერგში წროუნდელი ნათესი ბეოლა ამოლიშხინებულა, ყველუყას ეყოფა ნერგი“ (ჩოხბ.).

ამოტიკნა ამოკეკა. „ქათმები თვალს ამოტიკნიანო“ (ლიხ.; ნ. გ. შარაშ. ამოტიკნა).

ამოფათრა ხელბით, სპეციალური იარაღის გარეშე, მიწის ამოთხრა (იმერ. ამოფოთრა). „ამოფათრა მიწაი და ნატერისთვალი ჩამარხა შითე“ (ნაბელ.: შდრ. ქეგლ ამოფათრავს).

ამოქნა წყლისა მუშაობა წყაროს წყლის აღმოსაჩენად. „ამ გორის ღლიაშით წყაროს წყალს ამოეჭნიო და დეიწყო მუშაობაი“ (ერკ.). მიწის ამოთხრა წყლის ჩასადგომად, პატარა წყლის ნაველი ადგილის გაწმენდა. „აი ადგილის ბოლოზე კი საცივი იყო. მარა ევაგმა ვადიარა. ბალანამ ამოქნა და კულორტივითა“ (ერკ.: შდრ. ქეგლ ამოქნა).

ამოქობილი-ი 1. ქვებით ამოშენებული. ამოყორვილი. „საყატარს კარი კი ქობილია წინწინ, მარა ახლა ამოქობილია. კარის ქვალი რაჟა არ ჩანს“ (ქვაბ.). იგივეა, რაც ამოქოლვილი. 2. ქვაბის მსგავსად ამოთხრილი. „პატარე ამოქობილი არის კილო. მარა შითე ვერ ჩახელ“ (ქვაბ.).

ამოღრუებულ-ი ტა ღრმა ტა. „ამოღრუებული ტაი იყო. სულ ჩევიმალე შითე“ (ხევი).

ამოშობა რისამე ერთბაშად ამოძრობა, ამოყარდნა. ამოხტობა. „ნიკოლოზაის თაგრობა მამასახლის უჩიოდა — კლუხებს სული ამოშაშკეო და ასთეც ქე გვიშობოდენ“ (ქვაბ.). „ამოშპა ფილარი ქურიდან და გეიქა“ (ასკ.).

ამოშუშებულ-ი ამოვსებელი, გატენილი. „ერთი გზობა შუეხებულე შით და ტევა არ იყო, ისთე იყო ამოშუშებული“ (ლალ. 88).

ამოხაფა ამოცლა. ამოხაპა. „მიდგა აი

კაცი და სულ ამოხაფა ვორი ქუერი ღვინო“ (ნიგ.).

ამპოურ-ი აპურტი, ხარის (საზოგადოდ გამწვევი პირუტყვის) კისრის ქვევით ტაბიკების შემაერთებელი (ბოლოების შესაერთავი) წვრილი თოკი ან დაგრეხილი ნორჩი ტოტი ხისა (მახ.; ქვემოიმერ. აყპურტი. ნ. ს. ულ.).

ამხალიე ამ ადგილას. „ამა და ამხალიე გამოლი“ (ონჭიქ.; ნ. ქდ. ამხალიე-ი).

ამხილამაზე ასე ლამაზი. „ეა, ამხილამაზე სახე რეიზა დეიმახინე — თმაი რეიზა გეინეჩე?“ (ნიგ.).

ამსოის ამის მსგავსი, ამგვარი, ამნაირი. „მე რო ვარ, ამსოის შეხედულობა ქონდა იმას“ (ჯემ.).

ამსხვანი ამსისხვანი, ასე მსხვილები. „მე დავთესე ღომი და ამსხვანი თავი გარმოკიდა“ (ქვაბ.).

ამშიშორე ამსიშორე, ასე შორს. „აი გოგო წეიყყანო ამშიშორე გზაზე. ვინცხა წამართმევს“ (ერკ.).

ამცბარი-ი შეშინებული; ძლიერი შიშით ან მოულოდნელი სიხარულით გოგნებული, აცხცახებული. „ამცბარი ელოდნა დევის გამოჩენას საწყალი ქალი“ (ლიხ.).

ამწატება ამეაგება. ვადატ. ხასიათის გაფუჭება. „მაგი თუ ამწატტა, ნე გიეკარები მერე“ (ქვაბ.).

ანა-ი „ანაითა, მანათა“... (შემ.; შელოცივლან).

ანაგებათ თუნდაც სულ ცოტა, ოღონდ კი, სრულიად: „ანაგებათ თუ მეიტანა, პაწს შენ მოქცემ“ (ჩოხბ.). „ანაგებათ რო ისტავლიდეს, რავეა მუაკლედ რამეს“ (წითომ.). „ანაგებათ ჩემი არ გეიგონა“ (მახ.; ნ. ს. ულ.: ნ. ა. ლლ. ანაგებ.).

ანაგებობე იგივეა რაც ანაგებათ. „თუ აქ ანაგებობბე, მაშინ კი გიშონის“ (შემ.).

ანგავანი-ი იგივეა რაც ამგავანი (ჩოხხ.).

ანგარა ეკალბარდიანი ნაბირი ყანისა (ს) ანი „ანი იძრა, მანი იძრა, კი იძრა“ (ლიხ.; შელოც.).

აბატუა დაბნეული, მოუხერხებელი. „მაგისანა აპატუაი ხალხის საქმეს რას გააკეთებს“ (განახლ.; ნ. კ. გ. შარაშ.).

არაფრობამდე არაფრამდე, არავითარ შემთხვევაში. „საძღვარზე ძროხას არაფრობამდე არ გავვაშობიბდენ“ (თავ.).

არ გავვართვა საშველი არ მოგვცა. არ მოგვისვენა. „არ გავვართვა საშველი — შენი გოგო წვეიყვანო უნდაო. ყოლიფერი დღეი იარებოდა ჩვენთან“ (ლიხ.).

არდისულა ერთბაშად. „არდისულა მოშკრა თელი ტყეი. ერთი ჩხირი არ დგანა ფეხზე“ (ქვაბ.).

არ ეყურება არ ცსმის, ყურადღებას არ აქცევს“ (ჭურყ.).

არვანა კავის ღერი (სწორი ნაწილი) — (ქვაბ.; ნ. კ. შ. ნიე.).

არაკაცს არაკაცს, არავის. „მაი არიკაცს უთქმია ჩემთვისა“ (ერკ.).

არითა ხბოს სახელად გავიგონეთ შემოქმედში.

არ იქნა ვერასგზით, ვერავითარ შემთხვევაში. „არ იქნა და აი კაცი ვერ შეეგუა მის ცოლს“ (ქდ.).

აროს ნ. არც აროს.

არქატ-ი უბარაქო. უხვაო (შემ.; შდრ. ქეგლ. აღქატი).

არღრისა ღირსი არაა. „ზოგი კაცი, ბიძია, ჭეიფის არღრისა“ (აც.).

არცაროს არც არასოდეს, არასოდეს. „არცაროს უთქვამენ მაგი ჩემდა“ (აც.).

არ წაკარვივარ არ წაკარებივარ, ახლოს არ მივსულვარ. „მე აბდალი მეგონა და ახლოს არ წაკარვივარ“ (ჭურყ.).

ასაქმებს-ს რასმეს ავალებს, აკეთებინებს (ს. ნ. ქ. ლომთ.).

ახე გავგონილი ვარ ასე გამიგონია, ასე მაქვს გავგონილი. „ასე გავგონი-

ლი ვარ, მეც გამოქვებული როა, შითე ბერი ცხოვრობდა. მერე წალმა წეილო ბერის ტრაპეზო“ (შენ.).

ასირეთ-ი საშობზე (ასე გავვიმარტეს ადგილზე). „რთი გავკლია: ახლა ცხოვრება ასირეთია, ვინც გვიგებს“ (ლიხ-მაე.).

ასისირ-ი „ასისირი მასისირი. მას სიეტ-ლი“ (შემ. სიტყვის მნიშვნელობა ეკობა!).

ასიცხული ძლიერი სიცხისაგან შეწუხებული „ყოლიფერი ასიცხულია“ — ყველაფერი სიცხისაგან შეწუხებულია (მახ.).

ასხიფინებულ-ი 1. აშიშინებელი. შეუფებს რომ ისერის აქეთ-იქეთ. „წამოუსვა ხელი ასხიფინებულ წვადიან შამფურს“ (ლიხ.). 2. ასხიფინებულ ითქმის მოშოვებული ან უკრებულ ღარჩენილი წიწილების ახმაურებაზეც (გავვიმარტა ერთმა მასწავლებელმა. ჯემ.).

ასხმა ჩაღისა აკონილი ჩაღის ზენიან დადგმა ან ხეზე ჩამოკიდება (ქვაბ.).

ატატობანა „ატატობანა მატატობარა“ (შემ.).

ატუკატი ადუკატი, ვექილი. „ატუკატი ი კი მხავდა, მარა აფერი მიშველა“ (მახ.).

აუბა ხა! ქურდებს მისდევენ და ყვირიან (ასე.).

აუგებს-ს არცხვენს, აწუხებს. „კი ბალანა მაგი, ჩვენ სულ არ გვაუგებს“ (ს. ნ. ქეგლ.).

აფარკლებული-ი წითელი ლაქებით აქრელებული, აწითლებული. „ცეხლი მიეკიდა პირზე: სულ აფარკლებული იყო საწყალი ბალანე“ (ნიგ.).

აფთხიალება აფრენა, „აფთხიალდა ჩიტი, მარა კატა შეუხტა და დიოქირა“ (შემ.).

აფრუნტე აფურთხე! „მაგნებს სირცხვილი არ აქ — თვალნი აფრუნტე, თუ გინდა“ (ლანჩხ.).

აქარჩხვა ისე წაქცევა, რო ფეხები მალ-

ლა იყოს აწეული. „წამიქცია სკამი და ამქარჩხა“ (ქვაბ., შელოცვ.: განმარტება მთქმელისა).

აქსიხ-ი გაღასახადის ამკრეფი მოხელე. წარმომადგენელი (ს.)

აღელუბა აღლევება, აღიდება. „აყურა პაწა მღინარეა, მარა კი იცის აღლევება“ (აყ.).

აღმო აღმა. „შენი ძროხა აღმო ფერდში მიდიოდა“ (ქვაბ.).

აყენება ვადატ. აყრა, ასახლება. „ამ თებში (მთებში) დგებოდენ (სახლდუბოდნენ), მარა ააყენეს და ქვეით დაასახლეს“ (ნაბ.: შდრ. ქეგლ.).

აყრილ-ი რაც აყარა, ატყდა (საქონელზე იტყვიან). ვადატ. მოურიდებელი, თავგასული (შემ., შდრ. ქეგლ.).

აშვანტლა უბოლო ხეზე ხელებისა და ფეხების ცოცხით ასვლა (მახ.).

აშვებულ-ი ნ. ტანში აშვებული.

აშოტა იგივეა, რაც აშვანტლა. „ნაყარქქიამ ერთ ხეზე აშოტა, ზეით რუ ერთი ბოლო ქონდა, იმაზე ჩამოყდა და ზეიდან გარმოხედა დევს“ (მამ.).

აჩაბაჩა უცნაური ვინმე, თავისი აზრით, ყველაფრის შემძლე. „მე რაი დამიდგება, ყოლიფერს ვიქ, აჩაბაჩაი ვარ, გვიგეთ!“ (ლიხ.).

აჩარიქება საკლავის (ჭათმის, გოქის, ცხვრის) ასობად აჭრა, აქნა. „ნენაი გოქს ააჩარჩქებს, მე მევიტან სტოლზე“ (სურ. ნ. გ. შარაშ. აჩარიქვა; ა. ლ. აჩარიქვა).

აჩარიყება იგივეა, რაც აჩარიქება (მამ.).

აჩირეკება მიწის ცუდად მოხენა. „კარქა დამითესე-მეთქი და მაგას ოუჩირეკებია — ნახური კაკალი ზეით ყრია“ (მამ.).

აჩირეკებულ-ი ცუდად მოხენული, მოთონხილი „აჩირეკებულ მიწაზე რაი შუა, ბალახიც არ იქნება“ (გამ.).

აჩხერვა რისამე (ფარჩხისა და მისთ.) უწესრიგოდ შეჯგუფება. „წეილო შემა წყალმა და აგერ-აგერ აჩხერვა და შეგუბდა წყალმა“ (აყ.).

აღურა პატარა მღნარეა აცანაში (ლანჩ. რ)

აცნეეს-ს აცნობებს. შეატყობინებს. „მე ჯოლიფერს კი ვაცნეე ვდი, მტი რაღაი უნდოდა“ (ქვაბ.).

აცოლინებს-ს გააგებინებს. შეატყობინებს. „კაცს არ აცოლინეს, რა მადანია აქანე“ (ზოტი. ნ. ქეგლ.).

აწე აწი, ამის შემდეგ „ჰკუთ იყავი აწე“ (ლიხ.).

აწევა მოსავლისა მოსავლის აღება. „ყველაი ასწიეთ ქართოფილი“? (ერკ.).

აწ-ი იგივეა, რაც აწე (მახ.) „თუ იკი: რაი მიწაო, აწი, ნეტაი“ (შემ.) ასლა. „აწი რას ჩივა, შევიპარეთ“ (ნაბ.) ნეტა: „ღმერთო, სა წევდა აწი“ (გორმალ. ნ. გ. შარაშ.).

აწინ იგივეა, რაც აწე, აწი, მომავალში. „აწიმ აფერს გაწყენს ჩემი ბაღანაი“ (მახ.).

აწინ იგივეა, რაც აწიმ, აწი (ნიგ.).

აწიწვა ყურისა ყურის აწევა, აქაჩეა. „გამლახეს, ათიწიწეს ყური და გამიშვეს“ (ჩოჩხ.).

აწოწილაკავებულ-ი ტანწვრილი და უშნო მაღალი (მახ.).

აწოწილიკებულ-ი იგავეა, რაც აწოწილაკებულ-ი. შეუფერებლად ძლიერ მაღალი. იტყვიან აღამიანზეც, მცენარეზეც (ჯუმ.).

აწყენ-ს ავებს, დააკლებს, „კაცი როსხეა სოფელში გეოქცევოდა, იმას მერე თაერობა ვეფერს აწყენდა“ (ონქიქ). „ქი ესროლეს, მარა ვეფერი აწყენეს“ (ნიობ.). „ჩიტი კი ჰამდა ჩხავერს, მარა რას აწყენდა: ბეური იყო ძაან“ (შემ.; შდრ. ქეგლ.).

აქლაკნილ-ი პირუტყვის ხშირანფებურიანი ატალახებელი ადგილი. „უბოში საყოლი (საქონელი) ჩადის და ყოლიფერი აქლაკნილია“ (ლიხ.).

აქუპკვა ალაგება. ერთი ადგილიდან სხვაგან ვადასვლის დროს ყველაფრის ჩაწყობა, ჩალაგება, წასასვლელად გამოხადება. „ჩვენ კი ივოქუქკეთ,

მარა სეით წვეიდეთ? (ერკ.) „აგინ-
მაე ეიკ უკკენ და წვეიდენ“
(ერკ.).

ახაბაკებულ-ი ბარგაქული. მილაგებულ-
ლი. ყველა ნივთი რომ თავის ად-
გილზეა მოთავსებული. „ყოლიფერი
კარქა მაქ ახაბაკებული:
სტუმრის მოსლა არ შემცხევა“
(სურ.). „თათრების რო გვეშინოდა,
სულ ახაბაკებული ვიყავით“
(გომი).

ახლნაირ-ი კაცები ახლანდელი კაცები.
„ას წელიწადს თუ გაძღობს ახალ-
ნაირი კაცები?“ (აქ.).

ახიკვა რისამე (ფიჩხის, სხვა ნარჩენ-
ბის) მიწიდან აკრეფა (ქვ. იმერ. ახიკ-
ვა; ლიხ.).

ახოხოლება რისამე უწესრიგოდ სიმაღ-

ლეზე დაყრა, გადატ. სახლის ან სხვა
ნაგებობათა ცუდად, ხოხოლასებუ-
რად აშენება. „უსტა არ იყო ჩენში,
ისე ახოხოლებდენ სახლებს“
(ს.).

ახტაჯა ქალბიკა, ზედმეტად თამამი ქა-
ლი, თავება (მახ., ნ. ქველ ახტაჯი,
ახტაჯანა, ახტაჯინა; ნ. გ.
შარაშ. ახტაჯა, ახტაჯი).

ახუხულება იგივეა. რაც ახოხოლება
(მახ. ნ. ქველ ახუხულაგეპა).

აჯა ენერგია, ძალა, ღონე. „მსურდა ხალ-
ხზე შემეწირა ჩემი ღონე. ჩემი აჯა“
(ჯუმ.: შდრ. ქველ).

აჟიდე „აჟიდე, ბიკებო, წვეიდეთ“
ლიხ.).

ბ

ბაბაგინ-ი ვაყე. სწორი. „ნაქლაქები
(ადგილია სოფ. ქვაბლაში) ბაბა-
გინი ადგილებია: ზოით კია პაწა
გორები“ (ქვაბ., ნ. გ. შარაშ.).

ბაბაინა მამის მსგავსი, მამისთანა. მა-
მისნაირი. „კარქა დუუვირდი: აი ბა-
ლანე ბაბაინა იქნება“ (მამ.).

ბაბაწმინდა ღელე და ადგილი ს. ბეოლი-
ეთში.

ბათომელა ვახის გიში იყო ლიხაურში.

ბაირამ-ი ბაირამს იტყოდენ მარხვის
ბოლოს (აქი). „მაჰმადიანთა დოესას-
წაული“ (ქველ).

ბალაგანა ქოხი, ფაცხა. „ვოდები სა
ქონდა, ხალხი ბალაგანაში
ცხოვრობდა“ (მახ.). გადატ. საზოგა-
დოდ ცუდი. უვარგისი (ნ. ქველ. ბალა-
განი).

ბალაგან-ი იგივეა, რაც ბალაგანა
(გომი).

ბალმაყვალა მაცვლის ერთი სახეა. მცო-
რეკლიანობა ახასიათებს. უმეტესად
ზეამართული ტოტები აქვს (მახ.).

ბანდი ცუდი, უვარგისი. „ყოლიფერი
ბანდი სიქმე მეზარება.“ „ბანდი

კაცი, ყოლიფერს რუ ეტანება და გე-
ფერს აცეთებს. აჯია“ (ს.; შდრ. ქველ).

ბანდალ-ი არ უქნია არ განძრეულა.
„სახლი მექცეოდა. ბოჯიყები შუუ-
ყენე და მერე ბანდალი არ უქ-
ნია“ (ჩოხხ.).

ბარა სანმეკვიდრეო. მიდამო, ქონება,
ვინმეს კუთვნილი. „აი ერთი ბიკია,
მეტი აფერია ჩემ ბარაზე“ (ჩოხხ.).
„(ოკცხალმა აფერმა გეიარა მის ბა-
რაზე“ (ს. ნ. ს. ვლ.: ყოველთვის —
ზე თანდებულთ იხმარება).

ბარაზე ნ. ბარა.

ბარამლაი ბარემ. „ჩემი აფერი ესმის.
მომკლას ბარამლაი და ის იქნე-
ბა“ (ასკ.). „ბარამლაი ყველამ გე-
იგოს შავის კაი კაცობა“ (ს.).

ბარამლაი იგივეა, რაც ბარამლაი
(ასკ.: ნ. გ. შარაშ. ბარემლა ნ. ა. ლ.).

ბარდმაყვალა მაცვლის ერთი სახეა, ბუჩ-
ქად იზრდება: ტოტები ერთმანეთშია
მიწაზე გადახლართული (შემ.).

ბარე ბევრად უფრო მეტ განუსაზღვრელ
რაოდენობაზე მიუთითებს., ვიდრე ის
რიცხვითი სახელი, რომელიც მოჰყვე-

ბა მას. „ბარეორის ღელა ატირ-
ლა ამ ომიდან“ (რამდენიმე ორის, ძა-
ლიან ბევრი ორის... ნ. კ. ქველ).
„ბარეორმა შეინდომა ჩემი მოს-
პობაი, მარა ვერ ქნეს“ (ჭურყ.).

**ბატონყმობის გათიშვა ბატონყმობის გა-
დვარდნა.** „ბატონყმობა რო
გეითი შა, ყმებს არ ეგონენ მარ-
თალი“ (ჩოხატ).

ბაღ-ი 1. ვაზით გაშენებული ნაკვეთი
საზოგადოდ. უმეტესად დაბლარ ვე-
ნახს უწოდებენ—ბაღის ვენა-
ხი — დაბლარი ვენახი. „ბაღის ვე-
ნახის ღვინოს ადვსაი რაჲა აჯობებს?!“
(ს. შდრ. ქველ).

2. ქსოვილის ზონარი, რომლითაც
წინდის ყელს აჩერებენ—ქვევით
რომ არ ჩაიწიოს (ყვ., ნ. ს. ჯღ.).

ბაღნობას ბავშვობისას, ბავშვი რომ იყო,
მამს. „ჩიტს ვკლიდი ბაღნობას“
(ს.; ნ. ა. ლლ. ბაღნობა).

ბაწარა-ი თოკი. დიდი ხნის ნახმარი ნა-
კერ-ნაკერ გადაბმული თოკი. „ბა-
წარაი ახსნა ვინცხამ ხარებს. ყა-
ნაი დუღუღიენ მა ოხრებს“ (ს. ნ. ს.
ჯღ. ბაწარი; შდრ. ნ. ქველ).

ბაგენ ძველებური თოფის უკანა ნაწილი,
რომელიც ხეში (კონდახში) არის
ჩახრახნილი (ყვ.).

ბეგო ბეგობი, ბორცვიანი, ოღნავ ამაღ-
ლებული ადგილი (ყვ.).

ბეგო ეწერი-ი საბალახო ადგილებია
სუფსაში. „ბეგო ეწერი დიდი
ქოყანა სუფსაში. მაგით ვინახავ სა-
ყოლს“ (ს.).

ბელისწერალ-ი ბელის მწერალი, რომე-
ლიც. გავრცელებული ცრუ რწმენის
მიხედვით, ყოველი ადამიანის, ბელს
წერს გაჩენიდან სიკვდილამდე რომ
უნდა გადახდეს (შრომა, ნ. კ. ქველ.
ბელის-მწერალი).

ბედოულით იმედით, აშარა. „ბაღანეს
ბედოულით რაჲერ იქნება ოჯა-
ხის დატიება?!“ (აც.).

ბევრსალიკა ბევრგან. „ყალაურები

ბევრსალიკა იყო გზაში“ (ჭუმ).
ბეთმეზ-ი გადმოდულებული წვენი ყურ-
ძნისა (ქვაბ. ნ. ბეცმეზი).

ბეიანი-ი 1. კაცი სიტყვის არგამტები, და-
პირების შემსრულებელი ადამიანი
(მამ.-ჭუმ.).

2. ერთგული. შეუსვენებელი მუშა.
„ბეიანი მუშაობაი ვიცოდი ახალგაზო-
ლობაში“ (აც.).

ბელა განსაცდელი, გასაპირი, უბედური
შემთხვევა. „გადაავდე აი ვოჭროს
ფთა, თვარა ბელას ვადეყრებო“
(ჭუმ; ნ. ს. ჯღ., ა. ლლ.).

ბელყაში-ი 1 მოსირბული ქამარი. **2.** ქა-
მარზე ჩამოკიდებული ვერცხლის ან
სხვა ლითონის ყუთი, რომელშიაც
ხურდა ფულს ინახავდნენ (მახ) ნ. ს.
ჯღ. ბელყაში: თ. კიკ. ბელყაში).

ბევეა ძლიერი ცემა. „აი აბღალი ჩეიგ-
ღებს პატა ბაღანას და ბეჟავს და
ბეჟავს. თვარ მუჟსარი, მოკლავს“
(ს. ნ. კ. ს. ჯღ., ქველ).

ბენცელ-ი ბანცალი, ბარბაცი. სიარულს,
დროს წონასწორობის დაკარგვა. „დაო-
რენ და აბენცელდენ ყაზახებ-
მა“ (ს.).

ბერეთ-ი ხვრელი, ბუნავი. „შეძრა ძაღ-
ლი ტურის ბერეთში“ (ასკ.).

ბერეჟყე-ი მოხარული ლობიოს გასაქნე-
ლი, ამოსალესი (მახ-შემ.).

ბერიყაყე-ი ძლიერ მოხუცებული ადამი-
ანი (ნიგ.).

ბერძეგანი-ი ბეზირგანი შეძლებული, მდი-
დარი. „ბერძეგანი ძმანები თე-
ლი სოფლის პატრონი იყვენ“ (ნიგ.,
ნ. თ. კიკ. ა. ლლ.).

ბესლა ისლის მსგავსი ბალახია. იგივეა,
რაც ბერესელაი (ს. ნ. გ. შარაპ.
ბერესელაი).

ბელელ-ი ხუთასი ფურცელი ყვარი, ერ-
თი საპალნე (ნაბელ., ნ. კ. ს. ჯღ.,
ქველ).

ბზაკვა-ი მზაკვარი, ცბიერი, გაუტანელი
ისაა, ვინც სხვას ვნებს (მამ.).

ბზნა წყენა, შეურაცხყოფა. „მაი მეზობ-

ლიდან ერთი ბზნაი არ მახსოვს და მე როვა წვეენხუბები“ (აც.).

ბიღინა-ი სულელი, ქუუნაკული. „ერთი ძმაი ქუუნანი იყო ყველყას უყვირდა, რომე მორე ბიღინაი ძმაი უფრო კარკა ცხოვრობდა“ (ნაბელ., ნ. გ. შარაშ.).

ბირჯინა ვადასახერხი ხის დასამარებელი, გამრავლების ნიშნის მსგავსად შეკრული დაახლოებით ერთი მეტრის სიმაღლის ხეები (მახ.).

ბიჩინჩალა ძალიან პატარა, მჩატე (წონისა). ვადატ. იტყვიან ადამიანზეც (მამ., ნ. ქდ. ი. ვიგ. ბიჩინჩალე).

ბიკი-ი ვაგი. ვაგიშვილი. „რა ქენი. ჩემო რალო. ბიკს ცოლი ვერ აფიქრებო?“ (ჯემ. ნ. ქ. ლომო., ნ. კ. ქეგლ.).

ბიკინქალა პატარა ბიკი. ვადატ. სუსტი. უძალო კაცი (შემ. იგივეა. რაც ბიჩინჩალა).

ბიჯგ-ი ხე, რომელიც რაიმეს აქვს შეყენებული ვასამარებლად (მამ., ნ. გ. შარაშ., ა. ლ., ქეგლ.).

ბლადუნ-ი ნელა, უძალოდ. წინ ვაუხედავად სიარული. „მოვხუცთი: ახლა მართო ეზოში ბლადუნ-ი შემიძლია, მეტი აფერი“ (გომი). „მოხუცი კაცი ვარ. აქანე ევბლადუნები და ქი ვარ“ (შემ., ნ. ი. ქავო.).

ბლასტი-ი ტანდაბალი, ჩაფსკენილი; უფრო ხშირად ადამიანზე იტყვიან. „ბუღარე ბლასტი კაცი იყო. ძაან მოხერხებული და ღონიერი“ (ხევი).

ბლაყე ფიზიკურად უზომოდ დიდი, მაგრამ დუნე და აუჩქარებელი, მოუხერხებელი. საზოგადოდ ცუდი, უვარგისი (შემ., ნ. გ. შარაშ. ბლაყე).

ბნელთვარიანი-ი ისეთი ღამეა, როცა მთვარე კი არის, მაგრამ მოღრუბლულობის გამო სიბნელეა. „ბნელთვარიანი ღამია, ვედევჩეხე დელაში“ (ხევი).

ბოგა „ბოგიები თელი აყრილი იყო. წყლებში ვერ გევედით“ (ხევი; ნ. ს. ელ.).

ბოკინა იგივეა, რაც ბოკონა (აც.).

ბოკონა სახლის ხის ბარჯგი, პატარა ნაქერი ხისა რისამე შესაყენებლად (აც., ნ. ს. ელ. ბოკონი; შდრ. ქეგლ. ბოკონი)

ბორდონ-ი უწესრიგოდ, ტრაბახით რიხიანი ლაპარაკი. „ახლა ქე ვიცი, სასამართლოზე რას იბორდონხებს ნოვე, მარა როვა დეუქერებენ“ (ერკ., ნ. გ. შარაშ.).

ბორკო 1. ხის მორის ნაქერი, რომელზედაც ჩვეულებრივ ჩაფს დგამენ (ქვიმერ. საჩაფია). 2. რისამე პატარა ნატეხი, ხელში რომ მოგებორკებაო, — ვაგვიმარტეს (აც.).

ბორხულა უნისკარტო დოქი (აც.).

ბორჯა დრო. ვადა.. ჩემ ბორჯაზე ვამევედი სამუშაოთ“ — (ბახ., ნ. კ. ს. ელ. თ. კიკ. ქეგლ ბორჯი).

ბორჯამო იგივეა, რაც ბორჯა. „დრომდი ქამო ბორჯამო — სასიკეთო, სასისარული“ (ქვაბ., შელოცივიდან; სიტყვის მნიშვნელობა მთქმელისთვისაც უცნობია).

ბოლაზ-ი 1. ნოყიერი, მოსავლიანი. იტყვიან მიწის შესახებ. „მალთაყვას უფრო ბოლაზი იყო მიწები. მართლა კაი მოსავალი მოდიოდა!“ (ს.) 2. ნავის მისადგომი ადგილი. „ღამე იყო; ნავით მივდივართ. ვერ იქნა და ბოლაზი ვერ ვნახეთ“ (ს. ნ. თ. კიკ., ნ. კ. ქეგლ.).

ბოლოზ-ი იგივეა, რაც ბოლაზი (1). ჩვენ კოლმეურნეობას ბოლოზი მიწები ბეური აქ“ (ჯემ.).

ბოღრო იგივეა, რაც ბუღრო (ფარცხნ., ნ. ქეგლ.).

ბოჩიალ-ი ნელი და უშედეგო საქმიანობა. „თელი დღეი ბოჩიალოფ, ვაყეთებული აფერია“ (ნატ.).

ბოცო წყლის ერთგვარი მცენარეა. ეძახიან ერთი სახის ფოთლოვან ბალახსაც. „ბეკედი ბოცოში ჩამივარდა, სანემდი არ მოვქარი ბოცო, ვერ ვნახე“ (მამ.).

ბოწოწია სიმინდის ფორი (ჭუმ., ნ. ქველ ბოწოწია, ამაყ.).

ბოწოწო იგივეა, რაც ბოწოწია (ჭურყ., ნ. ვ. ბერ., ს. ჯღ. ქველ).

ბოჭიკო თავტოტიანი ბოძი (ლიხ.).

ბუჟუე-ი მოზრდილი მდინარეა გურიაში (მახ.).

ბუჟა ღვინო უძალი ღვინო. „შენი ადუ-საის ბუჟა ღვინო ივორი ფუ-თიკ ვეფერს მიხამს“ (ჭუმ., ნ. გ. შარაშ. ბუჟუქური ღვინო).

ბუჟუქრა სანათი, კრაქი. ვადატ. საზოგადო სუსტი, უძალი (აც.)

ბუზი-ი იგივეა, რაც ბუჟუე (მახ.).

ბრაგუნე-ი დაუზოგავად ცემა. „უბრაგუნეს და უბრაგუნეს ზურგზე საწყალ გოგიას. სიკტილზე მიაყენეს აი კაცი“ (მახ.: ნ. ქველ).

ბრავალწობა მრავალწობა, შობის წინა დღე (ფარცხნ., ნ. გ. შარაშ. ბრავალწობა).

ბრაყუნე-ი უსაქმოდ სიარული, ხეტიალი. „ვორი დღეი ვკირივარ მავას; ტყვილა რეზა ვიბრაყუნო?!“ (ქვაბ., ნ. ი. მაისურ., სტ. მენთეშ.).

ბრეტ-ი უსარგებლო, ზედმეტი. „მეტის მეტი არის ბრეტი“ (ს. ნ. ქველ).

ბრუს-ი (რუს.) ხის ნაჭერი, ქოხი. „გაცა ბრანება — ბრუსი არ უნდა გიეშვენ დუეწუეაი“ (ლიხ.).

ბულაბუე-ი ბულბულის მსგავსი ჩიტია (ლიხ.).

ბულაბული-ი იგივეა, რაც ბულაბუი (ლიხ.).

ბურდანა ბუდემი ჩასაფენი თივა ან სხვა რამ (შემ., ნ. ს. ჯღ. ბურდანი; შდრ. ქველ).

ბურდელე-ი ბუმბული, ბურტყლი. „ქალმა დეიწყო ბურდელელის წეწვა“

(ასკ., ნ. ს. ჯღ. შ. ნიყარ. ბურდელა).

ბურეკუ-ი იგივეა, რაც ბერეკუცი. ლობიოს ამოსაქნელი ორკაპი ხე (ლიხ., ნ. საბა; შდრ. ქველ).

ბურნათობა უსაქმოდ ყოფნა, გორაობა. „თელი დღეი უსაქმოთ ბურნათობს მაი“ (ერკ.). ბობოქრობა, გაცხარება. „დღეს ძაან ბურნათობს ზღვაი. ნაპირიდან ყოლიფერი მიაქ და მუაქ“ (ნატ.).

ბურულე-ი რაც დაბერულია, რაშიც ვერაფერს დაინახავს ადამიანი. „ერთი კვირა შეგვინახა იმ აჯამეთის ბურულმა“ (ფირ. 132; ნ. კ. გ. შარაშ. ქველ; შდრ. ვ. ბერ.).

ბუსლი-ი იგივეა, რაც ბრუსი (ნატ.).

ბუსუნაყი მსუნავი; უვარგისი. „ჩვენი ღორები ბუსუნაყია, პატები და გლახა“ (ჩოჩხ.).

ბუქაის ქიდი-ი მაღლობი ადგილის სახელია ლიხაურში.

ბულრო იგივეა, რაც ბოლო, ფულურო (ფარცხნ.).

ბლარტუა-ი დაბალი ტანის, პატარა, ქონდრის კაცი. „მავის ბლარტუაი ბიძაშვილები რას მიქთა“ (მამ.).

ბლარტუნე-ი ეკლიან ბუჩქნარებში სიარული (გომი).

ბლატუნე-ი იგივეა, რაც ბლარტუნი.

ბლექელი-ი ბლავილი. „თუ შემხთი და ბლექელი დაგაწყებთ, მე ვიქნები კაცი“ (ასკ.).

ბლიზი ავი, მიუყარებელი. „დღეი რო ძალს დაბამ, უფრო ბლიზი იქნება“ (აც.; ნ. გ. შარაშ. ბლეზი).

ბლუზი-ი იგივეა, რაც ბლიზი (მამ.).

ბძენკვიცხლი-ი გონებაშეხილი, ცოცხალი, მოხერხებელი. „ბძენკვიცხლია აი ბლანე. მისთანა კას იტყვის, გავვირდები!“ (ჩოჩხ.).

გააბრავება ყაჩაღის, აბრაგის თვისებების მიღება. ოჯახის წევრის სადღაც უმიზეზოდ გადაკარგვა. ზოგჯერ ტყუილად გასული, გატყუებული ცხოველების შესახებაც იტყვიან. „აი ბიჭი გააბრავედა. თუ რაფერ მიგვაცია ბერ-მალაზონი უპატრონო?!“ (ნაბელ). „ლორმა ტყივებში საქმელი თუ იშონა, წაე და წაე, სულ გააბრავედა, პატრონს აღარ იკარებს“ (ს).

გააბრავებული-ი ვინც აბრაგი ვახდა, გააბრაგდა. აბრაგს, ყაჩაღს დაემსგავსა. გაღად. ძნელად მოსავლელ შინაურ ცხოველებზეც იტყვიან (შემ., ნ. ქეგლ).

გააფართებს-ს გააფართობებს. უფრო ფართეს გახდის. „ამ გზას გააფართებს მაშინამ რუ გვიაროს, ისეთ“ (ნაბელ). „ჩვენ კოლმეურნეობას ძან გააფართებენ ასლა“ (ჯუმ.).

გააფრენია-ა გაარბენია. „მოკიდა ტურამ პირი და გოქუნიე გააფრენია“ (ლიხ.).

გაბახვა შერცხვენა, საქვეყნოდ თავის მოჭრა, გამოწყვეტა. „ჩემდა უკითხავთ ვინცხას თუ გეკიდა ციცი, გამბახავს და იგი იქნება, თავი არ ვამქეყოფა კარში“ (ჩოჩხ. თ. კიკ., ნ. ქ. ლომთ., ს. ჟღ. ქეგლ ვაბახება).

გაბაჭავინება ფეხებისა ფეხების განზე გადგმა. გადატ. ვაჭიუტება, ამოჩემებულის უსაბუთოდ დაეინება. „ფეხები გააბაჭავინა. ეზოში ჩაყვანა გვინდოდა, მარა ვერ გვაჭანეთ“ (ფარცხნ., ნ. გ. შარაშ. გაბაჭიკინება ფეხისა, ბ. წერეთ. გაბაჭავინება).

გაბაჭიკინებულ-ი ვინც ან რაც ფეხებგაშლილი დგას ან დადის. „დათრა და გაბიჭიკინებულ იარებოდა, არ წევიქცეო“ (ნაბ.).

გაბეუვა ძლიერ ვაძლომა. გაბერვა (შემ., ნ. ქეგლ).

გაბეუვა ძლიერ ცემა. გალახვა. „დეიქირა გზაში და ძან რო გაბეუვა, უთხრა: კილო ამეიჩემეფ ფირალის მოკლასო?“ (სურ.).

გაბეუვილი ძლიერ ნაცემი. გალახული. ვინც გაიბეუვა. გალახა (სურ.).

გაბზიკინება ძლიერ გახმობა, გამაგრება. საქმლის ვაცივება. „ქალი ისეთ გაბზიკინდა, დანით ვერ ვკვირიდი“ (ერკ. ნ. კ. ქეგლ).

გაბზიკინებულ-ი გამხმარი, ქვასებით გამაგრებული. ძალიან ვაცივებული საქმელი (ჩოხატ., ნ. ქეგლ).

გაბრევა გაბნევა, გაფანტვა. „თოლი ბრელოსავე გააბრია ქარმა“ (ჯუმ.).

გაბურღლ(ლ)ა ბუმბულის ვაცლა. გაბღღვნა, „დედაბერმა ქათამი გაბურღლლა და სადილის კეთებას შეუღლა“ (ჩოხატ.). „ქათამს გაბურღლა რაი საქმეა?“ (ს).

გაბუსუნებულ-ი ხმაგაქმნილი. ვაჩუჩებული, ვატრუნული. „კას ხანს იყვენ გაბუსუნებულნი. ვეფერი გევიგეთ, სეით წევიდენ. აფერი არ ისმოდა“ (ნიობ.; ნ. ქეგლ).

გაგალემა ყანისა სიმინდის ყანის ვამეჩხერება. საქიროზე უფრო ნაკლების დატოვება. საზოგადოდ რისამე მოკლებული. „მატმა აკრა და ძიერ გაგალდა ყანიები“ (ს.; შდრ. ქეგლ, ნ. გ. შარაშ. ვაგალემა).

გაგალეულ-ი რაც დასუსტდა, ძალა ვამოელია (არაყი, ლვინო). რაც გაგალდა ვამეჩხერდა. გაგალეულნი ყანა, ბალი, ვენახი და მისთ. (ს.; შდრ. ქეგლ).

გავვირა დაბალ-დაბალი. ბეჭებგანიერი, ჩაფსკნილი ადამიანი ვადატ. ცხოველებზეც იტყვიან (ამალღ.).

გაგოდერილი-ი გოდრის მსგავსი მოყვანილობისა. „სამი ბოთლი ადესი დავლიე და კარქა გაგოდერილი წაქვეცი სახში“ (ასკ., ნ. გ. შარაშ.).

გაღარება-ს გადააულებს, გადაასხამს. „ქიტყირს აშარს რო გააღარეფ, დემოლება“ (ჯუშ.).

გაღაბარბალებული-ი გაღაბიბინებული, გაღამწუნებული. „ქი აქ გოგისა გადაბარბალებული საბარგელი სიმილი“ (ბახ., ნ. ი. ქავთ. გადაბარბაშე ბული).

გაღადგომა დათქმულის უარყოფა, პირის შეშლა. წინააღმდეგობის გაწევა. „ათასი მანათი უნდა მიეცა ჩემდა. მარა გაღამი დგა და ხუთასის მეტი არ მომცა“ (აც.). „შენ ნუ გაღამიდგები: კი ვიცი, რაი ვაკეთო კოლექტივში“ (აც., შდრ. ქეგლ.).

გაღადენა საქონლის გადადენა. „ცა, ეზოდან საქონლის გადადენა არ დაგვიწყდეს. თვარა ყოლიფერს ააოსრებენ“ (ჯუშ., ნ. ქეგლ.).

გაღადარება ამოჩემებულზე უარის თქმა. „აქიმი უთათქუნებდა და უთათქუნებდა ცხვიპირი ჩოხს და, მანემდი არ მოცილდებოდა, სანემდი არ გადავარებოდა იმას, გაღადარეულმა რო იცის აჩემება“. „თვარ გადავარე ჩემი ნათქვამი. ქლა მომკლავენ ცემითო — იფიქრა გოგიაშ“ (მახ.).

გაღაწელილი-ი მოხარული ყველი. „გოგია, რეიზე გეჩინორკე ასთე, ფერმაში გადაწელილის ქვამ გაწყინა?“ (ს., ნ. ქეგლ.).

გაღაკაიწება გრძელი ტანსაცმლის კალთების შეკეცვა, სახელოების გადაკეცვა. რისამე ვასაკეთებლად დიდი მონღომებით მომზადება (ლიხ.).

გადაკვარაკინება გადახლართვა, ხელ-ხელჩაიცილება (სურ. ნ. ი. ქავთ. გადაკვარაკინებული).

გადაკიდება გადამტერება. „ბატონი გადაკიდა მამაჩემს და მოსვენ-

ბას არ აძლევდა“ (ჩოხატ. ნ. კ. ე. ლომთ. ქეგლ.).

გადაკიდულა გადამკიდე, შემხედვარე, გამო. „იმის გადაკიდული ბეტრი ვიტერი“ (ჯუშ.).

გადაკიდული 1. იგივეა, რაც გადაკიდული (მაშ.).

2. გადამტერებული. „კაია მი, ბიძამკილები გადაკიდული რო ხართ?“ (ერკ.).

გაღამთია გაღამთიელი, მთებს გაღამელი, უცხო, შორეული. „დათაი გაღამთია კარა, ნენე, აგერ ცხოვრობს ქუფასში“ (ჩოხატ. ნ. ს. ქლ., ვ. ბერ., ლეგა. გაღამთიელი).

გაღამუღრება წვიმის ან თოვის დროს გადახურულში თავის შეფარება (ს.).

გაღახარება-ი გადასასვლელი, გადასავალი. „მე გავაკეთე ლანხხუთში გადასარები გზაი“ (აც.).

გაღახვლა სიტყვისა დათქმულის შეცვლა. „მეფეს ახლა აღარ მოწონდა სიძე, მარა სიტყვას ხომ ვერ გადავიდოდა“ (ქლ.).

გაღახვანება წინათ ნათქვამის შეცვლის ცდა, გადაკეთება, სხვაგვარი გაგება. „თავმჯდომარისა კი უთქვამი მი სიტყვა. მარა ჩემთან გადაახვანა“ (ჯურჯ., ნ. ს. ქლ., გ. შარაშ., თ. კიკ., ა. ლ.).

გაღაუვილა მოესპო, გადაუშენდა. „ჩხავრები გადაგვივლა, სალა ნახავ ახლა იმას“ (ფატ., შდრ. ქეგლ.).

გაღაფთია იგივეა, რაც გაღამთია. „საცხა, გადაფთიას სხვაიე ბეჯურია, მარა ჩვენთვისა რაი“ (ერკ.; ს. ჯლ. გაღამთიელი).

გაღაფურჩნა გადაჩურჩულება, თანამოსაუბრობისთვის ჩემად რაღაცის თქმა. „გაღამფურჩნა ყურში: ტერი მაგი შენიო“ (ქვაბ.).

გაღაღვრაქინება დაბანის დროს ხელების ერთმანეთზე მაგრად წასმა ხელების თითების გადაჭდომით (სურ.).

გაღაღმიელი-ი გაღაღმელი, მთას იქითიდან მოსული, გაღამთიელი. „გადაღ-

ღმეილი კაცი მევიდა ჩემთან. მიჩივა აი კაცი — სუფსაში კაი ყანე-ბიოა“ (ჯუმ.).

გადაყურება იგივეა, რაც გადამყურება (აქ.; გ. შარაშ., ნ. ქეგლ.).

გადაჩაქურება მორთვა, ჩაქურას ჩაცმა; რაიმე საქმისთვის მომზადება. „გად-ვიჩაქურე სამყაროთ და წვეუ-ლი ვოზურგეთს“ (მახ.). „მეც გად-ვიჩაქურე საბოლოთ, მარა ჩემ-თან არეინ მოსულა“ (გომი).

გადაჩახახება ერთმანად ვულის მოსვლა, დამუჭრება (სურ.).

გადაჩემება დაჩინება. „უჭრო მოყვარე მეზობლებმა გადიჩემეს და გო-გიე ძალით მუუყვანეს აქიმს“ (მახ.).

გადაცრიალება წვიმის, თოვის დროებით შეწყვეტა, ვადადება. „შეიცადეთ, პა-ტონო, ძაან წვიმაა ახლა. გადიც-რიალებს და მერე წაით“ (ჩოჩხ., ქვ. იმერ. გადაკარება).

გადაკარაქებული — ცა ვარსკვლავებით მოქედილი ცა (სურ.).

გადახიზული — რაც გადახიზეს, სახელდა-სხლოდ შეღობეს ხმით: „გზაი გა-დახიზულია. საყოლი ყანაშივერ გადაიარს“ (ნინოშვი.).

გაღენილი — რაც გაღენეს. „მარტუაი ძროხებია გაღენილი. ხტიები ბალ-ნებმა წეიყვანა“ (ს. ნ. ქეგლ.).

გაღიარს გადავა. „ეზოს გადაღმა შეში-ზა არ გაღიარს“ (აც.). „ჩემი ძმაი სულ მალე ახალ სამოსახლოზე გაღიარს“ (ჯუმ.). დრო გევა. „სა-დილობა რო გაღიარს, მერე კა-მაყ აღარ გინდა“ (მახ.).

გადმორებული — ვინც გადმოიარა. გად-მოვიდა სხვა ადგილიდან, კუთხიდან. „ჩემ მეზობლად ერთი გადმო რე-ბული სომეხი ცხოვრობს“ (ლიხ.).

გადმოშობა სწრაფად გადმოხტობა. „ბა-ღანე აკოშკაში გადმოშვა და ბრე-ვა გააყრია პოლზე“ (ასკ.).

გადმოწონიება გადმოწევა. „ღედაბერმა ვაშლი ბოლი გადმოაწონიე ბია და ვაჟი ხიდან ჩამეიყვანა“ (ლიხ.).

გადმოკრა გადმოვარდა. „აშუბი ფსხალ-ზე, მარა არ გადმეიკრე“ (ერკ.).

გაერთებული გაერთიანებული. „ღღეი და ლამე აქ გაერთებული, ისე მუშაობს ბერი კაცი“ (ქვაბ.).

გე-ა წანდება, გაფუქდება. „კაქიკი კაი ყურძენია, — მარა წელს ქლა გევი-და“ (ქვაბ.; შდრ. ი. ქეთე, ქეგლ.).

გევარდი ყუთი. „ცალიერი გევარდე-ბი აპეიდეს ცხენს“ (ქვაბ.).

გეზაკვა ვენების მიყენება, გათვალვა. „აი მალაზონი რო გეგეზაკვავს, მერე აფერი გეშეელება“ (მახ.).

გათავება სიკვდილი. „ღღეს მეც გავ-თავდები და იგიც გათავდება“ (აქ.; შდრ. ქეგლ.).

გათოხვა ყანის მეორე თოხნა, გამორო-ლება. „ყანას რო გავთოხვიდიოთ, მერე ქერს დაფეთსვიდიოთ (თავარ.; შდრ. ა. ლ.).

გათოშვა გარღვევა, გახევა. „ჩვენი ბაღა-ნე ერ ღღეში გათოშავს ფეხსაც-მელს“ (ნიკ.).

გათოშული — რაც გათოშეს ან გაითოშა, გაირღვა, გაიხა. „ღღი თოლშიც გათოშული ქალაბნებით ვიარე-ბოლით სკოლაში“ (ლიხ.).

გაჯავება შეღობვა პატარა ადგილის. „გააკავოს აი ალაგე და საყოლი არ ჩოუა ეზოში“ (გომი; ნ. კ. გ. შარაშ. გაჯავება, გადაჯავება; ქეგლ.).

გაქიდება ცეცხლისა მოკიდება ცეცხლის. ცეცხლი არ გოუკიდო, თვარა მოქკლავ“ (მახ. მუზ. საქ. 106).

გაკლიმვა გასინჯვა. ჩვეულებრივ იტყ-ვიან სასმელების გასინჯვაზე. „გაკ-ლიმე აი ღვინო!“ (შემ.).

გაკლოვა გზისა გაგნება, გაკვლევა გზი-სა. „ღამე გზას ვერ გაიკლოვ“ (ს). გაგება. „ვეფერი ველარ გევიკლიე, სულ ღვეიბენი“ (აც.).

გაკოქილი — ვინც ან რაც გაკოქეს. „ბაწრით გაკოქვილი თრალი კა-ცი ურემზე დიეგდენ და ისთე მიზავ-დენ“ (ღვაბზე, ნ. ქეგლ. გაკოქილი).

გაუქმებული ვინც გაუქმდა, გაჯავრდა, გულმოსული. „ეგნატე მოსე ცინცაძეზე გაკუქებული იყო: სამი დღეი ხაუდა ეგნატე ციხეში მოსეს“ (ს).

გალა ვოტკა სუსტი, რბილი არაჲი. „აო გალა ვოტკა დალიე“ (ს. შდრ. ქეგლ. ნ. გ. შარაშ. ვალა).

გალამბვა გასაყერაჲ ადგილზე ლამბის გავლება, სახელდახლოდ ძაფის შორ-შორ ამოყრით ყერვა.

„გავ ლამბავ და გეოშინჯე, კაი თუ იქნა, გევაშინჯე მერე“ (ჩოხატ., ნ. ქეგლ).

გალამბული რაც ვალამბის, რასაც ლამბი აქეს გავლებული.

„გაკერამდი გალამბულს როვა გარლოვდა, მაი რაფერი იფიქრე“ (ბე.. ნ. ქეგლ).

გალაღვა ლაღედ გახდომა. ძალის და-ქარგვა, დასუსტება.

„ყოლი დღეი მუშაობამ გამ ლაღა, ფეხზე ძელე ვიარები“ (ფარცხნ. თ. კიკ).

გალახული ვინც გახდა, წონაში მოიკლო. გამხდარი.

„ციხიდან რო გამევიდა, ძიან გალახული იყო, ბალანგმაც ვერ იცნა. ახლა კაცს დეემგვანა“ (სურ).

გალესვა გასრესა, მოსპობა. „თებში უანას ან ქარი გალესვიდა, ან ხეცი შეკამდა“ (გომი: შდრ. ქეგლ).

გალოცვა კალანდის პროცედურის შესრულება. დალოცვა (გომი დაწერ. ნ. ჟლ).

გამარჯვება გასწორება მრუდისა, შემოკლება გზისა (ს, შდრ. ქეგლ).

გამეტ-ი თანდებელი „გარდას“ მნიშვნელობით. „თათრებმა ვოთხი სიმაგრის გამეტე ეილო, სულ მოშალა“ (ნიობ., ნ. ს. ჟლ., ქ. ლომთ).

გამთენიეს გათენების ხანს, განთიადზე. „გამთენიეს წევიდოდა ბაბაი ტუეში“ (კონჯკ., ნ. ქეგლ გამთენია, გამთენიერე).

გამთენიოს იგეგა, რაც გამთენიეს (ჭურყ., ს. ალ. თ. კიკ).

გამინდრება ფერდობიდან ვაკეზე ჩამოსვლა, მინდორში გასვლა. ვალატ. საშიშროების თავიდან აცილება, მდევრის ჩამოშორება, გათავისუფლება (სურ).

გამკედლური-ი ტიხრი, თხელი კედელი. რომელიც ერთ ოთახს მეორისაგან ჰყოფს. „გამკედლურს იქით ვიყავი და ყოლიფერი კარქა გევიგონე“ (მახ).

გამოაშკარდება გამოაშკარადება, ყველასათვის ცნობილი გახდება, გამომქლადენდება. „თავედომარეს ძველი მუშაობა ახლა კი გამუშკარდება, მარა ჩემდა რაია მაგი“ (ერკკ).

გამობარებული-ი გამოძახებული, მიწვეული. „სკოლაზე ვიყავი გამობარებული, შობლების კრება ქონდენ“ (წიომთა).

გამობარჯვა რისამე (ჩვეულებრივ გვირახის) ბარჯვებით, ბოძებით გამავრება. „გამოქვებილი მაგრათ გამოვბარჯვეთ, მერე აფერი იყო საშიში“ (ს).

გამობახება იგეგა, რაც გაბახვა. სახელის გატხა, შერცხვენა, საქვეყნოდ გალანძლვა. „თავი რო გამეიბახა, მიტოა საში დაგდებული. ახლა რაღაია მისი გათხუბაი“ (თავკ). „ქაი იქვი, თვარა გამობახება ადვილია“ (საქთ).

გამობახებული-ი ვისაც სახელი გაუტყდა, გალანძლული, გამოწილებული. „ი ვახერი ქალი რო ხავს, იმიზაა გამობახებული მაგნების ვოჯახი“ (თავკ).

გამობრეკება გამოცლა, გამოთაყება. „სამი ბოთლი ღვინო გამოვბარეკეთ, მარა კილო გეინდოდა“ (ქვაბ).

გამოდრავა გამოლევა. „ნაწშირი რეიზა გამომიდრავეთ, რაი ექნა ახლა მე“ (ქვაბ).

გამოზუზვა ზუსტად, ზუზით გაზომვა. „ავია ზუზი (გვაწვენებს მშენებელი),

„ამით რო გამოზომავ რამეს, გამ რ-
 ზ უ ზ ვ ა ს ვ ე რ ტ ვ ი თ მ ა ვ ა ს“ (ერკ., ნ.
 გ. შარაშ. გამოზუზული).

გამორაქვა დიდი შრომით მკიმე ტვირ-
 თების გამოტანა რაიმე ნაგებობიდან
 ან მდინარის ვალმიდან. „გორმოცი
 ტამარა სიმილი გამოვ ერთაქე
 სკ/ყობიდან. ბლანეც არ შემიხიდე,
 ზია“ (მამ.). „ვალმიდან (მდ. სუფსა
 აქვს მხედველობაში) ხიები გამოვ-
 ერთაქეთ, ერთი სახლი კი გამუა
 შითე“ (ჭუმ.).

გამოიობით იგივეა, რაც გამო (მიზებით).
 „ქიშვარდში ცოდვა გაწია გაყოფი-
 ლობის გამოიობით“ (ბე.).

გამოიობით იგივეა, რაც გამოიო-
 ბით. „ოთარის გამოიობით
 ეირია ქორწილში ყოლიფერი“ (სურ.;
 ნ. ქეგლ. ა. ლ.).

გამოყევს გამოჩევს. „მოხარული კვერ-
 ცხი ქუქულებს რაფერ გამოკეკ-
 სო“ (ბახ.).

გამოკობიტება რისამე გამოთლა გაულა-
 მახებლად (ბახ., ნ. გ. შარაშ.).

გამოკობიტებული რაც გამოთალეს, სა-
 ვანს მიამგავსეს, მაგრამ არ გაულა-
 მახებიათ. გადატ. მსგავსი. „აი ბლა-
 ნე ქლა ბახია გამოკობიტებუ-
 ლი“ (ნიგ., ნ. ქეგლ.).

გამომგელემა ძლიერ მოშეება. „გამუ-
 უმგელდა გოგის შიმშილით მე-
 ცელი“ (ბახ.).

გამომგლანა ვადაბთელა. „გამომ-
 ჭლანა ვაცმა და წვეილა“ (აქი).

გამონალიე უკანასკელი კვერცხი, რომე-
 ლიც ყველაზე პატარაა, ნალევა. გა-
 დატ. იტყვიან ყოველგვარ უკანასკ-
 ნელზე, პატარაზე, გამოლევის წინა-
 ზე, ნაბოლარაზე (ჭუმ., ნ. ს. ელ. ა.
 ლლ. გამონალია/ე.-ი.).

გამონოყილი გამოკონილი. ქურჭლი-
 დან ბაწა წყალი ან ღვინო რემ გა-
 მუა, ამაზე იტყვიან გამონოყი-
 ლიაო“ (შემ; განმარტება მთქმე-
 ლისაა).

გამორჩევა გარჩევა, განსხვავება. „ბა-

ღიში ძან მიყვარს, შვილში არ გა-
 მემერჩევა“ (გომი, ნ. კ. საბა,
 ქეგლ.).

გამოსყენა გამონასყენა. „ბაწარი ვერ გა-
 მუუსენია კარქა, თვარა რაფ-
 რა ეიზობდა ძროხაა?!“ (ნასაქ. ნ.
 ქეგლ.).

გამოსხალვა გამოსხვლა, გამოწმენდა,
 ზედმეტის მოცილება გასხვლა.
 „თხილს ძირი უნდა გამოუსხ-
 ლო. ადესასაც უნდა გამოსხალ-
 ვაი“ (შემ.).

გამორტოვა გამოსვლა რისამე (წყლის,
 თოვლის, ტლახის და მისთ.) დღი
 წვალბით გადმოლახვა. „სამი დღეი
 უწვალათ, მეოთხე დღეს გამოუტო-
 ვან თოლი და ყველაი ცოცხალი
 ღარჩენილა“ (ქეაბ; ქეგლ.).

გამორტუალება ვამორტუნება. „მაშვინა-
 თე გამოტრუალდა უკან“
 (შემ.).

გამოფხენა რისამე გამოფხევა დანიო
 ან სხვა რამეთი. „ქალმა კარდალე
 დანით გამოფხეკენა და ჩიი ილ-
 თე აადულა“ (შემ.).

გამოქვაბილი გამოქვაბული, ქვაბის
 მსგავსად გამოკვეთილი ადგილი.
 „წყალვადლით გამოქვაბილში
 ცხოვრობდა ბერი“ (შემ.).

გამოქვაფვა გამოქყლეტა, გამოსრესა.
 „საქონლის კონახი თუ არ შეაკეთეს,
 ხამთარში სახურაფი ჩატყდება და სა-
 ქონელი გამეიქვაფება შით“
 (ქეაბ.).

გამოღლეტა თავის მოჭრა, შერცხვენა
 გაბახება. საზოგადოებიდან გამოწყ-
 ეტა. „ქეყენაში გამომღლიტა
 აგინმა ტყულთე“ (ს). „მაგინა ხალ-
 ში ვერ გამევიდლიტები“
 (ქეაბ.-ნაბელ.).

გამოღლეტილი შერცხვენილი საქეყ-
 ნოდ გაბახებული (ნატ., ნ. კ. ქეგლ.).

გამოყლონევა დახარება „ყლონეში“
 (ყაყარტოში) ხელის მოკერით. „ორი
 გული გამოყლონევი, ერთი
 კეიქა“ (ლიხ.).

გამოწურება გამოხედვა: „გამეიყუ-
რე აქო, გამეიყურე ელს-
ქე“ (ს).

გამოშვება გამოშვება, შვება-ს
(ზევების) ჩამოსვლა, მოწყვეტა.
„წყალდიდობა რო იყო, მაშინ ძაან
გამოშვავდა სუფსის ნაპირები“
(ს).

გამოშლა გამოყლება, მოსპობა, სიკვიდი-
ლი. გამოცლა. „ყოლიფერი კაი გა-
მიეშალა გვარში“ (კვირიკ, შღრ.
ქაგლ).

გამოჩარჩალება გამოჩანჩალება, ჩანჩა-
ლით გამოყენა. „სახლიდან გამე-
ჩარჩალა ვარე და დუქროი კე-
ტი თავში“ (ს).

გამოჩოვა 1. წამოსვლა, წინ წამოწევა.
„გამეჩვიე აქით, გამეჩვიე.
პაწე საქმე მაქ შენთან“ (შემ-სურ).
2. გამოოკევა, სწავლება, გამოწ-
ვრობა „ყოლიც თავისნაირედ გა-
მიუჩოვია და ბლანეტ“ (ნასკ).

გამოჩორჩილი-ი უსწორ-მასწოროდ ულა-
მხოლოდ გამოთლილი. „გამოჩორ-
ჩილიმა თობის ტარმა ბლანას
ხელები ატყინა“ (ჭურყ).

გამომგევა კეტის ცემით მარცვლის დაყ-
რევენება. „ლობიაი ჭრეთ არ გა-
მეიძეგვება. კარქა, რო განიჩინ-
დება, ერთი კეტის დარტყმა ეყოფა“
(ავ: ნ. ქეგლ).

გამომღვანება თან წამოღება, წამოყვა-
ნა (ჩვეულებრივ უსულო საგნებზე
იტყვიან. იშვიათად სულიერზე).
„ფლარმა ვორი დღის საქმელი
გამეიძღვანია და წამვიდა“
(სმ). „შენი ბიკი გამეიძ-
ღვანია. თუ ღმერთი ქწამს, ისეთ
არ მოხვდება“ (განახლ: ნ. ქეგლ).

გამოწორწორება გამოწოგება, გახანგრ-
ძლიება. გაკიანურება. „ზოგს გა-
მოწორწორება უყვარს საქმის“
(ავ.-ს).

ნოღრი წყალდიდობა, ნიაღვარი (მამ.-ჯემ.).

ო

ობრუჯი (რუს.) დღლეკი, დაგრებილი წყელი. „აქეთებდა თუთუნის დენებს და თხილის ობრუჯებს უჭირებდა“ (ჯემ.).

ოთურა რკინის პალო. პალო საზოგადოდ (მახ.: ნ. გ. შარაშ.).

ოთუხბირი (თურქ. ოცდათორმეტი) „ოთუხბირად დამიჯდა“ — ძვირი დამიჯდა (შემ., ნ. ივ. ქავთ. ოთუხბირი).

ოლქა ჯარის ნაწილები. სამხედრო ოლქი. „მუხიან მერეში მთელი ყაზახების ოლქა შეყრილა“ (ე. ნინოშ.).

ომანო ნადირთ ბუნავი, ბინა, სორო (სურ., ნ. კ. ს. გლ.).

ოპელაცია ოპერაცია (ონქიქ.).

ორპოვეს ღელე ღელე და ადვილი ს. ერკეთში.

ორე 1. ფიცრებისაგან შეკრული ყუთი, რომელშიც გაღის არაყის სახდელი მილი, როფი საზოგადოდ (ამოტოხილი ხეც შეიძლება. შდრ. ქეგლ.).

2. ხარების შესაძახებელი ბეგრათა კომპლექსი (ჩოხატ., ნ. კ. გ. შარაშ., ს. გლ.).

ორთხოში ქვეერის სარეცხელი (ერკ., ნ. ორჩხუში).

ორმე ორმო, ამოთხრილი ან ბუნებრივად ჩაღრმავებული ადგილი (ს. ნ. ქეგლ. ორმო).

ოროგი-ი ადგილია ბასილეთში.

ოროკა იგივეა, რაც ოროკი — ქვიანი, უნაყოფო ადგილი (ს. ნ. გ. შარაშ. ოროკი, ნ. ქველ ოროკი).

ორტოტიკა გზა-ი გზაჯვარედინი, გზაბოძალი, „ამ გზით რო წახვიდე, ორტოტიკაი გზაი შექვთება, იქინე მარჯვენა ხარეს შუუხვიე“ (მახ.)

ორშუმა საწნახელიდან ღვინის ამოსაღები დიდი კოპე (მახ., ნ. გ. შარაშ. ორშუმი, ოშუმი, ნ. ქველ ორშიმო).

ორჩხუში-ი იგივეა, რაც ორთხოში (ნ. ს. ჟღ.)

ორწოხ-ი ცუდი, ვიწრო გზა, ორღობე, კლდის ბილიკი.

„თავედომარე ორწოხზე მიდიოდა, დუუცთა ფეხი და სამუდამოთ დეიარგა“ (აი.: ნ. ქველ).

ოტროკილდე ფიზიკურად შეძლებული, მაგრამ უსაქმოდ მოხეტიალე ადამიანი. „სახში ერთი ოტროკილდე ბიკი მხავს, აფერს აეთებს, კამა ბუერი უნდა, თავის დროზე არ ისტავლა, ვეფერი უხერხე“ (გვებ).

იფეთლა ჩქარი, დაფეთებული, მოუფიქრებელი (ნიგ.).

ოფიშტოს ხიდე ხიდი და ადგილი მდინარე აცაურაზე ს. აცანაში.

ოფიშო ქვევრიდან წყლის ამოსაღები კოვხისებური ხელსაწყო (სურ., ნ. კ. გ. შარაშ., ს. ჟღ., ნ. ქველ).

ოუოჭირო კუთხე სახლისა (მახ.).

ოზე ყანა, ახლადდამუშავებული უყი, ყამირი, კარგმოსავლიანი ადგილი. „საბატონო ოზეში ანუ ყანაში მუშაობდა ვაბრიელა“ (ე. ნინოშ., ნ. ქველ).

ოჩიფება, ოჩაფება 1. ორი გრძელი სარის სიმსხო კაუქიანი ხე. კაუქებზე შემდგარი დადიან. ოჩიფეხებით სიარულით ჩვეულებრივ ბავშვები ერობობან (ნიგ., ნ. ქველ ოჩიფება). 2. ხის ქოშები (ს. ნ. კ. ს. ჟღ. ოჩაფება-ი.-ი).

ოწვეთო სახლის საწვეთელი (სურ.). „თუ გინდა მორჩეო, ოწვეთოში ოცდაოთხი მეტანიე ქენიო“ (ს. ნ. ოქვათო).

ოქვათო 1. იგივეა, რაც იწვეთო, 2. წვეთი. „მიაკვდეთ აი ფიცარი ოქვათო რუ არ ჩემევიდეს“ (ქვაბ., ნ. კ. ს. ჟღ.).

3

აიწვანი-ი პატარები. პატარანები. „პაიწვანი ხიებია ეზოში, აგინი როის გეზღება?“ (ჭურყ.).

პაიწველა, პაიწველა ძალიან პატარა. „იბლანაი პაიწველაი იყო, რუ მევიყვანე, პაიწველაი კაცი ყოლიფერში საცოდაია“ (ლანჩხ.).

პაასკირ-ი ერთგვარი ავადმყოფობაა, შარდის შეკაება იცის (ჩოხატ., ნ. ს. ჟღ.).

პატა პატარა. უმეტესად დროს აღნიშნავს. „პატა შეიცადოს და მერე ყოლიფერს გეიგებს“ (შემ.)

პატე იგივეა, რაც პატა (პატეი, პატაი). „პატე შეიცადე, გაკვეთილი რო გამუა, მეც წამუალციხეზე“ (ხევი).

პატარვანი-ი პატარვანი-ი პატარება. „პატარვანი დოქები ნახეს მიწაში“ (თავპ.). „აი სიები პატარვანი იყო, სკოლაში რო დევიწყე მუშაობა“ (თავპ.).

პახოთობა (რუს.) ომიანობა, ლაშქრობა, ძალმომრეობა, თვითნებობა. „პახოთობამ დააქცია ჩენი გურია“ (მამ.) პეპერა ბაბუს მამა, ბებიას დედა, წინაპარი (ნაგომ., ნ. ქველ).

პეტერვანი-ი პატერანი, პატარები. „ჩენი ბუერი აფერი გვეკითხება, პეტერვანი სალხი ვართ“ (ჩოხატ.).

პეტმეზ-ი ყურძნის წვენი გადმოღობული. ინახვენ საფელამუშედ (ლიხ.) პირველი-ი კვალი მიწის პირველად ხენა (მახ.).

პირის ასარებათ მოსაჩვენებლად (ქვე-
შოიშერ. პირსაფარობე). „ზოგიერთე-
ბი ჩემთან შევიდა პირის ასარე-
ბათ, მითამ სანახავათ“ (ს).

პირის ბაგა საქონლის ბაკაზე ჩაღის ან
თივის ჩასაყარი ადგილა (მამ.-ჯემ;
ნ. გ. შარაშ.).

პირნასრი შესწრებული -- გარეთა კა-
ნი იწეება. მაგრამ შიგნით ცოპია
(მჭადი, აურ. შეუწევეი თვეზი,
სორცი; მამ., ნ. კ. გ. შარაშ.).

პირსაბურველი პირის სახის ასახვევი,
ჩაღრი. „შამოკრა თუ არა არაბს, პირ-
საბურველი მიეშალა“ (გომი).

პირსაცოვი 1. ისლის სახურავის პირ-
ველი ყრის გადანასკვი (მახ.)

2. აბრეშუმის ვიის პარკის გასაკეთე-
ბელა ხის ფითლიანი ტოტები, რომ-
ელთაც ლასტის კიდევებს შემოაყო-
ლებენ, რომ ქია ლასტიდან არ გაო-
მოვარდეს (შემ.).

პირშესრობილი. პირშესწრობილი იგი-
ვეა, რაც პირნასრი (ნატ).

პირფარი პიფარი პირფერი. არაპირ-
დაპირ მოლაპარაკე (ჯემ).

პიჭვარი პირჭვარი. „ვადიწერა პიჭვა-
რი“ (ხახ., ნ. ქ. ლომთ).

პლიკვი არაფრისმქონე, ღატაკი, გაღა-

ჟაჟნი ბორძიკი, ჟაჟნით სიარული
— ბორძიკით სიარული. „ბერძენი
ჟაჟნით იარებოდა“ (ერკ.; ნ.
კ. თ. კიკ. ჟაჟნით).

ჟვავი ნამით ან წვიმით დასველებული
ბაღახი. სველბაღახიან ადგილს სა-
ზოგადოდ „ჟვავს“ ეძახიან (აც.; ნ.
ი. კუ., ქეგლ).

ჟვანქი წვეთი (ეგებ წვეთზე პატარა!).
„კვი დაბურვილია ჩემი; სახლი, ჟვან-
ქი არ მუა შითუ“ (მთისკ.; ნ. გ.
შარაშ.).

ჟვინი 1. შამბნარი, გაბურღული ბუჩ-

ტაკებული. „შვილებს მივეცი ყო-
ლიფერი, მე ქე დავჩი ჰლიკვათ“
(ლანჩხ).

პოქია ნ. ბოქიკო (ჯემ).

პრავიანტი (რუს.) სურსათი, ხორაგა,
სანოვაგე. საჭირო მოწყობილობა.
„თავის პრავიანტს ეზიდებოდა
სალდათები“ (გომი).

პრავა ფართოდ გახელა თვალისა. „ღამ-
ჟდარა ზი ძირში და პრავეს თვა-
ლებს“ (ხიდისთ., ნ. კ. ს. ჟღ. ქეგლ).

პრონტი უღონო, უძალი, თხელი ქსო-
ვილის შესახებაც იტყვიან. (ნიკ.).

პრონწო იგივეა, რაც პრონტი (მამ.
-ჯემ).

პუჟია ხელსანათე (რაქი). თუნქის
ნაფთან პატარა ბალონში ჩაღებენ
ბაზის ძაფის დაახლოებით ნეკის სიმ-
სხო გრუბილს და თავზე ცეცხლს მო-
უქიდებენ. იმით ინათებდნენ ძველად
(მახ.).

პუწკი ძალიან პატარა, ნამკეცი. „ყვე-
ლი შუქამიენ, ერი პუწკი არ დუ-
ღტიებიენ“ (ნავ. შდრ. გ. შარაშ.).

პწიქი წიწილას ხმა (როცა კრებსა და
სხვა წიწილებს დაეძებს; ყვ.; ნ. გ.
შარაშ.).

უ

უჟანი ბორძიკი, ჟაჟნით სიარული
— ბორძიკით სიარული. „ბერძენი
ჟაჟნით იარებოდა“ (ერკ.; ნ.
კ. თ. კიკ. ჟაჟნით).

უჟავი ნამით ან წვიმით დასველებული
ბაღახი. სველბაღახიან ადგილს სა-
ზოგადოდ „უჟავს“ ეძახიან (აც.; ნ.
ი. კუ., ქეგლ).

უჟანქი წვეთი (ეგებ წვეთზე პატარა!).
„კვი დაბურვილია ჩემი; სახლი, უჟან-
ქი არ მუა შითუ“ (მთისკ.; ნ. გ.
შარაშ.).

უჟინი 1. შამბნარი, გაბურღული ბუჩ-

ქნარი (საქთ.; ნ. კ. ა. ლლ.). 2. იგი-
ვეა, რაც უჟავი. „ზაფხულ — ეგე-
რ ში მუდამ ეღომა ქი მოქეწყინდა“
(ლის.; ამბობს ფირალი). „გადავარ-
დნილა წყალჩი, მარე ეგერ ში ვაქ-
ცეულა და ქლა დასოლობულა“ (ბე-
ვი; ნ. ა. ლლ.; შდრ. ქეგლ).

უირული — ვინელილი (ყვ.).

ულერთება დაცემა, ძლიერი დარტყმა.
„არავი ეღერთებდა ნადირს და
მოკლიდა“ (ჩოჩხ.).

ულერტვა იგივეა, რაც ეღერთება
(შემ.).

რავე-ი მახე. „ღუუგია ნადირიზა რავეი, მარა ნადირის მავიორში ღღელი ღუუქირიენ“ (ჩოჩხ.; ნ. კ. საბა, ვ. შარაშ., ს. ელ., ქველ).

რავე-ი რავეარი, როგორი. „რავეი მანძელი იყავით თახე?“ (ბახ.; ნ. ქ. ლომთ., ს. ელ.).

რავეარა როგორარა (მახ.). „წიგნს შეიტანს. რავეარარა“ (ფარცხ.).

რაზ-ი საყტი. „აი ზღაპარი იმაზეა ნათქვამი: რუ გადიდები, ქლათ კარ გეიწო, იმაზე უნდა იყო რაზი, რაც გექნება“ (მახ., ნ. ქველ რაზა).

რათახთ გამოსატეხად, ვანგებ. „ყოლიფერი ჩაკითხა რათახთ“ (გომიბახ.).

რაიგან რადგან. „რაიგან შეილი ჩამომივლად, მეტი აფერი მინდა ჩემ ცხოვრებაში“ (ბახ.).

რაისა. რისია. „ში ვათლილი ქვაი რაისა, კაცი ვერ მიხთება“ (ჩოჩხ.).

რაკაპ-ი (ყოფო?) ნ. იხეჩალდაყი (ერკ.). რამაზან-ი მუსლიმანური წლის მარხვა (ზოტი. ნ. შ. ნიე. რემეზანი; ნ. კ. ქველ).

რამეთ-ი რამდენი ერთი, რამდენი. „რამეთი დაფასა, არ ვიცი“ (ლიხ.).

რამ-ი რამდენი, რა. „რამი სიშორეზე იქნება ჩვენგან ბახმარო?“ (ბახ.).

რამხელა რა სიდიდის, რამოდენა. „რამხელა ვაზლილა აი ბიჟი, ნენა?“ (შემ.)

რაჟ-ი ეყვანი, პატარა ზარი. შეიძლება ზარის ფორმის ხეც. „ჩემ ძროხას რაჟი აქ კისერზე შემბული, მარა რაჟის ხმაი არ ისმის“ (შემ, შდრ. ი. გივ., ა. ლ.).

რაფერ როგორ, რანაირად. რაფერც — როგორც (ყვ., ნ. კ. ქ. ლომთ., ა. ლ., ქველ).

რაფრა/ე ყოველთვის ენაცვლება სალიტერატურო ქართულის „როგორს“ (ყვ.).

რალაის-ი რისი. „მე რალაისი მემინოდა“ (აც.).

რაც ხანია საცაა, სულ მალე. „მერთი ღლი მევე მუავს გადამტერბული, რომელიც, რაც ხანია, მომსპობსო“ (ქლ.). „რაც ხანია, მუა ჩემი ციკაი სკოლიდან“ (ასკ.).

რახი-რაზ-ი „რახი-რახი ზუთო — მიძახის ტელეფონი“ (შემ.).

რეთ-ი რა ერთი, რამდენი ერთი, რამდენი. „რეთმა გეიკეთა აპელაია შენ ხელნი?“ (მაკ.; ნ. ს. ელ.).

რეის. რეის-ი რის, რისი: „რეის კობრია, კაძახო, ხომ არ გაღირე შენ“ (ბახ.).

რეკამანცია რეკომენდაცია. „რეკამანცია მოთხუენ ბლანას ორგანიზაციაში“ (სურ.).

რვალ-ი ლითონის რალაც ფორმის ჰურქელი. „გასკტა რვალი“ (წითაშელოცვიდან. ნ. კ. საბა, ს. ელ. გ. შარაშ.; შდრ. ქველ).

რვარ რომ არ. „აღდომისთვის რვარ ეზიარებოდა კაცი, როვა შეიძლება“ (ს.).

რკოლ-ი კოლი, პალო. „პაწე ვიყავი, მახსოვს, რკოლი ისო ჩიტიახე“ (აც.).

რო გამეიქნა იი რომ გამოვიდა, რომ გააკეთა, რომ. ... მოქმელი არ ასახელებს მთავარ წინადადებას (ბახ.).

როგო ორგო, ქვეერის სახურავი ხისა (ნ. ს. ელ., თ. კიკ., ქველ. „ამ ტყეში ქუ-

რია. როგო დახურვილი აქ“ (ონქიქ.)

როგორწილათ რალაცნაირად. „ამ კაცთან ხოჯა როგორ წილათ მოყვარესაეითა“ (მახ.).

როლინა ხის ლარი, საიდანაც გასასუქებლად ჩამწყვდეული ქათმები საყვებსა და წყალს ღებულობს (ყვ. შდრ. ქველ).

როვა როგორ. „გალახე და როვი გეგეკარება“ (ჩოხატ). როვარც — როგორც.

როიცხა როცა, როდესაც. „როიცხა

გეხმარებოდი, კაი ვიყავი“ (ლანჩხ. ნ. კ. ქ. ლომთ.).
 როკვი ჩირკი (ჭურყ.: ნ. ქველ. როკი).
 რომენე რომ. „თქვენ ბჰანეთ, რომე-
 ნე ძველი ამბები გეინდაო“ (ანას.).
 როუყავი რა უყავი, სად წაიღე, სადაა.
 „როუყავი, ქალო, დღეს სადილი,
 შიშვლით რუ მომკალი“ (ბახ.).
 როფ-ი შეშის ნაპობი (მახ., ნ. კ. ს. ჟღ.,
 გ. შარაშ.; შდრ. ქველ).

როჩო მოზრდილი ლელე, პატარა მდინა-
 რე (შდრ. გ. შარაშ., ზოტი-ქვაბ.).
 როხვა უთავბოლო ყვირილი. „ღეიწყო
 როხვა — არვი აფერი გუფგონიენ“
 (შრ.).
 რუ რავა: როგორ. „რუ ა იქნება ავი
 მართალი“ (ბახ.).
 რუბი სანთლის წონის ერთეული 1—2
 მისხალი (მახ.; შდრ. ქველ).

ს

საბარგელ-ი საბარგელი, რაც უნდა გაი-
 მარგლოს, პირველად გაითხოვოს. „კი
 აქ გოგოას აი გადაბარბალებული სა-
 ბარგელი სიმილი“ (ბახ.).
 საბარგულ-ი იგივეა, რაც საბარგელი (მახ.
 შდრ. ქველ).
 საგდელა, საგდოლ-ი წისქვილის წყლის
 გადასაშვები ფიცარი (მამ.; ნ. ქველ
 საგდოლი გ. შარაშ. საგდულაი).
 სადავ სად არ (?). „ყველგან ყაჩაღად
 ვიყავი, სადავ ვეთრეე აქამდი“
 (ფირ.).
 სადგაშურ-ი სანაშენე, რითაც უნდა მო-
 შენდეს (ჩვეულებრივ იტყვიან ცხო-
 ველებზე). გასაჩერებელი, მოსაყლე-
 ლი. „მოუხუცი, ახლა რა სადგა-
 მური ვარ მე“ (ნიაბ., ნ. ქველ).
 საზეუ საფისტონე (მახ.).
 საეტლო საბედო, ბედით დათქმული
 (ცხადია, ცრუ რწმენით). „თუ აქ კაი
 საეტლოი, ავი თქვი შენ“ (ლანჩხ.:
 ნ. ქველ).
 საზედაშე ვაზის ერთი გიში ყოფილა ს.
 ლიხაურში. მისი ყურძნის წვენს ზე-
 დაშისათვის ხმარობდნენო (ლანჩხ.:
 ნ. ქველ).
 სათავან-ი ადგილი, საიდანაც გადმოჰყავთ
 წისქვილის წყალი, სათავე. მერე სა-
 თავედან წისქვილამდეც არხს „სათა-
 ვანს“ ეძახდნენ (გამ.: ნ. გ. შარაშ.).
 სათამაშო სოფლის ცენტრში იმ ადგილს
 ეწოდებოდა. სადაც კვირაობით თავს
 იყრიდნენ თამაშის გუნებაზე მყოფნი.

იქ იმართებოდა ცეკვა, სიმღერა
 სპორტული თამაშობანი და სხვა.
 „ნენა, სათამაშოში ძველათ
 დიდებიც ქე გადივარდით“ (ჩიხაბ,
 შდრ. ქველ).
 სათოხავი-ი თოხით დასამუშავებელი. გუ-
 რიაში ჩვეულებრივ მერე თოხნას
 „სათოხავს“ ეძახიან. იგივეა, რაც
 სამოროდო (ჭუმ. ნ. ქველ სათოხარი).
 სათრეულე რაც მიწაზე თრეულით მიაქვს
 ხარებს ან კაცს (სურ., ნ. ს. ჟღ. სათ-
 რიული. ნ. ქველ სათრეული. სათრეი-
 ლა).
 საკარია საქათმე. „შოიადღს მეფე საკა-
 რიაში ქათმებთან“ (ერკ.: ნ. ს. ჟღ.
 საკარია/ე-ი, ნ. გ. შარაშ. საკარიე).
 საკარულ-ი კარის გადასასვლელზე,
 ზღურბლზე დაქედებული ხე. ზოგან
 კარის ზღურბლსაც „საკარულს“
 ეწოდებენ (სურ.; ნ. გ. შარაშ.,
 ქველ).
 საკედრიო ნაწილი, კუთვნილი მხარე.
 „ჩემ საკედრიოზე ღობერი მკე.
 სხვაი მაგან იცის“ (ლიხ.).
 საკვალა ჩასათესი კვალის გამვლები
 იარალი (მახ.).
 საკმეღა ვაზის გიში ყოფილა ადრე ს.
 ლიხაურში.
 საკმეღ-ი საკმეველი (ყვ.).
 საკოტე სატარე. „საკოტეში შკ
 სული“ — ჩასატარებლად გამზა-
 დებული. „საკოტეში შესული

ყანიები მოცეკლეთ სილოსისა“ (ნა-საქ).

სალავათი-ი ძალა, ენერგია. „დღეს ბეუ-რი ვიშუშავე, სალავათი გამემე-ლია“ (ს: შდრ. ქველ).

სალევა, **სალივა**, **სალიკა**, ალავა. ადგი-ლი. ეს თვეიღური ს უნდა იყოს მი-ცემობის ნიშანი: ერთ-ს, ორ-ს, სამ-ს, ბეურ-ს: ერთსალევა, ორსალევა, სამ-სალევა... ბურსალევა... „ვორსალე-ვა ვნახე სახლი“ (ასკ).

სამანი-ი საზღვრის ნიშანქვა (ჩოხატ: ნ. კ. ს. ვლ. სამანე; შდრ. ქველ).

სამერმითი მერმისისათვის, შემდეგისათ-ვის, მომავლისათვის. „სამერმიოთ რა მდგომარეობა შექნება, რა ვიცი“ (ს).

სამზირი-ი სთვალთვალო. ადგილი. საი-დანაც ნადირისათვის შეუმჩნევლად „უმზურს“ მონადირე მიღამოს და ელოდება ნადირის გამოჩენას. „თე-ლი დღეი ვიჭეკით სამზირში, მარა არც ღორი და არც შველი არ გამოჩნა“ (ს: შდრ. საბა სამზირალი. ნ. კ. გ. შარაშ. თ. კოკ. ქველ).

სამიწე მიწისთვის განკუთვნილი. სასიკე-დლო. წყუელის ფორმლა. „მე სა-მიწე, მაქანე ვერ მივედი“ (ლიხ).

სამკელავი-ი (ჭუმ). ნ. გამკელური.

სამკეთო რისგანაც კეთი მზადდებ-ა (მახ, ნ. ქველ)

სამუშევარი-ი სამუშაო. „სამუშევარ-ი ყოლგან ბურია. მკეთებელი არაა თვარა“ (ჩოხხ.. ნ. ქველ).

სამუშიერი-ი იგივეა. რაც სამუშევარ-ი (ხევი: ნ. კ. ი. გიგ. ქველ).

სამყარი-ი საყარი. უძლური, დაერდომი-ლი. მოხუცი. „კაი სამყარი მოხუ-ცებული ვარ“ (შემ; კარგი მოსავ-ლელი).

სამყარი გამძლე, მგარი. სამყარო სარტყელი — მგარი გამძლე სარტყელი. „მიაკრა აი ქალი უკანი-დან სამყარო სარტყელით“ (ერკ).

სამშაფათა სწრაფი, მგარამ საქმის უხა-

რისხოდ შემსრულებელი (ნოგ).

სამხვე სანაშენო. უმეტესად შინაურ ფრინველებზე იტყვიან, იშვიათად ცხოველებზეც (გუნკარ., ნ. კ. გ. შა-რაშ).

სამცხვე იგივეა. რაც სამხვე (მახ).

სამახელი-ი საწნახელი. „კაცი სამ-მახელში ჩაწეა“ (ერკ).

სანეფიო სამეფო. სანეფიო ვაშლი — ვაშლის კარგი ჯიში გურიაში „ბიჰს შამუთვალა — სანეფიოთ იპოვწყიო“ (კონკ).

სანხილე ცხოველის თვალის ავადმყო-ფობა: თეთრი გარსი გადაეკრება თვალის კაკალზე (აც: ნ. გ. შარაშ. საფხილე).

სანხვე იგივეა. რაც სამხხვე, სამც-ხვე. საგელისხმოა, რომ ს. ნიგოთ-ში ცხოველებს გარდა თესლეულის შესახებაც ხმარობენ ამ სიტყვას (ნიგ).

საოკე სამინდე. დახლოებით კოლონა-ხეგრიაში საწყაო ჭურჭელია ტყეით მოწნული. შეიძლება ამოტოხილი ხი-საც იყოს იგი (მახ: ოკა აქედან სა-ოკე).

საპარასკეო პარასკევისათვის განკუთვნი-ლი. პარასკევის ბაზრობა. „საპარ-ასკეოზე მიქონდა გასაყიდელი და ვორ კაპის იქნე ვშოულობდით. ხალხში ფულს ვერ ნახვიდი“ (ლანხხ).

საყენი-ი დაწყობილი შეშა. რომელიც 9 კუბიკ. არშინის მოცულობისაა (ერთი საყენი, ჩოხხ).

სარაბაყი ნ. სარაბახის ხეები (ნატ).

სარაბახის ხეები-ი სახლის ის ხეებია, რომ-ლებზედაც ჭერია აქედებელი ან ია-ტაკი დაქედებელი (ლაპარაკია ხის შენობაზე).

სარაკინა წისქვილის ნაწილია. სარეკლა: წისქვილის ქვის მოძრაობით სარაკი-ნა ირხვეა და ანძრევს ჯამჯამს, რომ-ლიდანაც დოლამში მარცვალი ცვივა (მახ; ნ. ს. ვლ. სარაკუნა/ე.-ი; ნ. ქველ სარაკუნო, სარაკუნა).

სართვა ნათესის გამეჩხერება, ზედმეტი-

საგან გავმენდა. იტყვიან ვენახის
გავეირტკაზუე (ლიხ.).

სარისხვა-ი რისხვის მომტანი. „ეკლესიე-
ბი ქოყნის სარისხვა-ი იყო ძვე-
ლათ“ (ხვი).

სასალუქო შესაკობი, საკობტაო. „სალ-
ხინთ და სანადიმოთ სასალუქოთ
წოდებელი“ (წითომ).

სასირე ადგილის სახელია. თითქმის ყვე-
ლა სოფელში გვხვდება ამ სახელის
ადგილი (სირი — ჩიტ. სასირე — სა-
ჩიტე; ნ. კ. ს. ელ: შდრ. ქავლ).

სასირეთ-ი უღელტეხილი. რომლითაც
სმირად ფრინველები გადაფრინდება
მთის მეორე მხარეში (ჩოხატ).

სასხო ხე, რომელზედაც სახურავის ბო-
ძებია დაყრდნობილი (შუა ხე); „სას-
ხო ხეს“ ეძახიან სამირკველს. სარტ-
ყელს, ღვიროს და სხვა (მამ. ნ. გ.
შარაშ. სასხო ხეები).

სატირელ-ი მიცვალებულის დასაფლავე-
ბის დღის ცერემონიალი (ჩოხხ: იგი-
ვეა. რაც სატირალი).

სატივარი-ი ავადმყოფობა. „სატივი-
არი ბეური მაქ. რაფერ უძლიფ, გა-
საყვირელი“ (შეი: ნ. ქავლ).

საფელამუშე თეთრ-ი თეთრი ყურძნის
ერთი სახეა გურიანში (მახ).

საფენ-ი მაგიდის გადასაფარებელი. „იმი-
სანა საფენი მაქ. რასაც ვინატრედ
მომივო“ (ერკ. ნ. ქავლ).

საფუტია შუაცეცხლიანი სამზადი, სამ-
ზარეთლო. „ბერიკატი საფუტია-
ში შიაგდეს — ფუტში ღეიხობო“
(ლიხ).

საქედვის თავ-ი ნ. კარაბის თავი (შემ).

საქნე-ი სასროლი. საქნე-ი ბადე —
სასროლი ბადე (შემ).

საღამე საღამო. „საღამე მევიდა და
კაცი არ გამოჩოა“ (ქვაბ).

საღიერ-ი საღი, ჯანმრთელი. „ბულარას
რო ნახვიდი, საღიერი კაცი იყო“
(ბე).

საუადლი-ი დაწყობილი შუა (ს. ნ. კ. ს.
ელ).

საუანეთ ყანის დასამუშაველად —

„პირველათ მამაჩემი ჩამევიდა სეფ-
საში საუანეთ“ (ს). „საუანედ
არაინ ჩავიდეთ მის მამულში“ (მახ.
მუხ. საქ. 108: რეველუციონერები
ფიცს აძლევენ ერთმანეთს, რომ მე-
მამელეთა ადგილებში სამუშაოდ არ
ჩასულიყვნენ).

საუანელი-ი საყანე. „სუფხაში ბეური იყო
საუანელი და იმიზა ვსახდებო-
ლით აქანე“ (ს).

საყანოველი-ი იგივეა. რაც საყანელი.
„გაღობო ს. ხეის საყანო ველე-
ბია“ (ხვი).

საყანული-ი 1. საყანე მიწის გადასაქა-
ლი. მოსავლის გარკვეული ნაწილი.
„ბატონს თავისი საყანული ექ-
ლეოდა“ (ს. შდრ. საბა საყანერი). 2.
იგივეა. რაც საყანელი, საყანოველი
(ნაბელ).

საყორტიე ტლანქი, ჩასუქებული. „ერ-
თი საყორტიე კაცი შემხთა, ათი
ფუთი კი იქნებოდა“ (ნაგ).

საყტარი-ი საყდარი (ყვ).

საყულარი-ი თავშესაფარი. „ტყუებში
ქონდენ საყულარი და იქნენ
ათევედენ ლამეზს“ (ხვი, ნ. ქავლ).

საშუა შუა ადგილი. ცენტრი. „ახლა
ხემწიფე შიეითხა: დედომიწის სა-
შუა-ი საარისო (ლიხ).

საშუაო იგივეა. რაც საშუა. „ჯუმათ-
სილაურის საშუაო ადგილს მიეწ-
ვიეს კრება“ (მახ. მუხ. საქ. 106).

საჩორჩაო ხის დასაცურებელი ადგი-
ლი, სასრილო (ასკ).

საჩხინავ-ი ერდო. „გამიეწყო ამ კაცმა,
ფხვში ნაციარი ამისევა და წკვერთა
გაყარია საჩხინავში“ (ერკ; ნ. კ.
ს. ელ).

საცვა ადგილის სახელია ს. მამათში.
„ძროხებს მგლებისაგან ცავედენ სა-
ცა-ში (მამ).

საცმელი-ი ტანსაცმელი. „ქალებს საც-
მელი უნდა მიექსონა“ (ლიხ).

საძლეველა ზვინზე ჩალის კონის მისა-
წოდებელი ვრძელი ქოცი. „ზვინი უნ-

და დავდგა, საძლეველია მათ-
ხუე, ჩემი გამიტყუა“ (ქავბ.).

საწლე წელში, სახლის შუა ადგილზე
დასადები ხე (მახ.).

საწმენდელი-ი მესამედ თოხნა ყანისა, ვე-
ნახისა და სხვათა (მახ.).

საწყავ-ი საწყაო, ორფუთიანი თიხის
ქურჭელი (მახ.; შდრ. ქველ).

სახიფ-ი ოითაც ვინმე ან რაიმე უნდა
მოიხიფოს, შეკადვს. ხე, რომელსაც
ძალს მიიბამენ, რომ ყანაში ან ვე-
ნანში ვერ ჩავიდეს (მამ.-ჯუმ.).

სახლ-ი სამზარეულო (ყვ.).

სახმათ სახმოდ, შესაშინებლად. „სახ-
მათ დეიწყეს თოფის სროლი“ (ქვაბ.).

სახსარი-ი შესაძლებლობა, „მავდენის ვა-
რაბთის სახსარი არ მაქ“ (შემ.;
ნ. კ. ქველ).

სახტარბეჭებიანი-ი სწორბეჭებიანი, ამარ-
თული. „ქალი მინდა თმინაო ძეძუ
კოკობიანიო, სახტარბეჭებიანი-
ნიო“ (შემ.).

საჯავ-ი საჯაყი, მახინჯი, ულამაზო. „შე
კაცის საჯავაო — რო დოუძახა.
ველარ მეთფინა“ (ჩოხატ. ნ. ქველ სა-
ჯაყი).

სეისო ტურის, მელის, მგლის, დათვის
და სხვათა ნადირთა დასაფრთხობი
სმა (ლიხ.).

სენთ-ი 1. შრომა. „დიდი სენთი მაქ
გაწეული ამ ეზოში“ (ავ.). „კვი სენ-
თი გარამხთა ამ სახლის აშენებზე“
(შემ.). 2. ნადირის გასასრელთან
ჩასასაფრებელი ადგილი (მამ.-ჯუმ.;
ნ. კ. გ. შარაშ.. აღლ.).

სერესყერი-ი დიდძალი ხალხი. „ამ სერ-
ესყერში თავი რეიზა მომპარი.
ტიტველი რე იარები“ (ჩოხხ; სერ-
ესყერი თურქეთის სამხედრო მი-
ნისტრის სახელწოდება).

სეფეთ-ი პატარა ძველებური ყუთი
(მახ.-ლიხ., თურქ.).

სეყე-ი ნ. საჯაყევი (ნატ.).

სვია თევზის ერთგვარი სახეა (ლიხ.).

სთვა რთვა (მაკ.).

სიარული: ასიარული ქვეყანაზე — არო-
ნინე ქვეყანაზე (სასაყ.).

სივცა ვრცელი. „სივცეა ქვეყანა,
კაცო“ (ფატ.).

სიკორკოპილე საჩოჩილა (ნიბა.; ნ. კ.
ს. ვლ. სიკორკოპილა/ე.-ი.).

სილაბანდურა უნტერესო, მოვონილი
ამბავი (ნივ.; ნ. კ. გ. შარაშ. სილა-
ბანდურა).

სინსილა კვარი, შორეული შთამომავა-
ლიც ვი. უკანასკნელი ნაშეირი (მახ.;
წელას ფორმელაში იხმარება; ნ.
კ. გ. შარაშ. სინსილა). „მაგის სინ-
სილა ი არ გეიშვა ქვეყანაზე“ --
(შემ.; ნ. ქველ).

სიპ-ი მაგარი, მაგრამ სწორზედაბირიანი,
ჩვეულებრივ კლდის მსაზღვრელად
იხმარება სიპი კლდე. ზოგჯერ მარ-
ტო სიპი კლდეც აღნიშნავს. ძლიერ
ნაყინავზეც იტყვიან გასიპულიაო (ჩო-
ხატ.).

სირ-ი ჩიტი (ყვ.; ნ. საბა; ნ. ქველ).

სიტიალე ქარაფი, თავისუფალი ადგილი.
„ქათამი სიტიალეს ეძებდა ლო-
ბეში გასაძრომათ“ (ს.-შემ.).

სიძაბუნე ცუდი საქმე, დანაშაული. „გე-
ნატეს ერთი სიძაბუნე ხონდა ჩა-
დენილი: მოსე ცინცაძის იგი ერთი
დღეი და ღამე ხავდა დამწყდოული.
განატემ ამიზა ეილო და მოსე წერ-
ლათ გემეიყანა იგი“ (ს; შდრ. ქველ).

სკვარამ-ი მიუწვდომელი, დასაყარავი
ადგილი (ნივ.).

სკვერტა ვახტომა. „ეიწია მელამ და
სკვერტა“ (გადახტა; მახ.).

სკურდუპ-ი 1. შემადლებული ლამაზი
ადგილი. „იგი სკურდუპი ადგი-
ლია. ძაან კვი სანახავია“ (ქვაბ.).
2. ღელე და ადგილი ს. ბეოლიეთში.

სლაქვა ლოკვა (მახ.; ნ. ქველ სლექვა).

სოის მსგავსი, ნაირი. „მე რუმ ვარ, ამ
სოის შეხედულობა ხონდა“ (ჯუმ.;
ნ. ამსოის).

სოლო მოსული, ჩასუქებული. „კვი სო-
ლო ქალი ითხუა, მარა აი ყაძახიც

არაა პაწა“ (ასკ. ნ. კ. ქეგლ).
სუბუქი-ი მსუბუქი (ყვ).
სული ერჯებოდა სული უწუხდა. ძალი-
 ან იტანჯებოდა. „სული ერჯებო-
 და შიმშილით“ (აც).
სულუბედური-ი არაკაცი, ყველასთვის
 გამოუსადეგარი, მიუკარებელი ადა-
 მიანი (ფატ).
სულუსხარა გაუმადლარი, შურიანი. „ხო
 გინახავს მისთანა კაცი, სულ რო
 სხვის ქონებას ჩამოთვლის, ეშურება,
 ენანება, წუწუნოფს, აგია სულუხ-

სარა“ (მახ.; ნ. კ. გ. შარაშ. სულუხ-
 სარი).
სულწინ თავდაპირველად, ყველაზე ად-
 რე. „სულ წინ კალანდაძნები მო-
 სულა აქ“ (თავპ.).
სუნთღეთი-ი სუყველა (მახ.; ნ. ს. ელ.
 სუნთელი).
სხმო-ი დიდი მუნჯი, დამუნჯებული
 ადვილი ორგანიზმზე (ლანჩხ).
სხუმის სხვა დროს (აქ; ნ. ქ. ლომთ. ს.
 ელ. სხომის).

ბ

ტაბარჯუკი-ი ზურგზე მოსაკიდებელი ტოპ-
 რაკი ტყავისა. „მოგროვებული ფუ-
 ლი ეასილას ხონდა ზურგზე ტა-
 ბარჯუკში“ (მამ.-ჯუმ.; ნ. გ. შა-
 რაშ. ტაბარჯუხი).
ტაბლა ღომის ფქვილისაგან გაკეთებული
 ნამცხვარი. ასეთ ნამცხვარს პურის
 ფქვილისაგანაც ამზადებენ. ხაჭაპურის
 მიცვალებულის სულის მოსახსენებ-
 ლად (ლიხ.; ნ. კ. ქეგლ).
ტაბო ჩამურის ფიკარი (მახ.); ღომის სა-
 ცხეველის ფიკარი (მამ).
ტანტალა საუკეთესო. უნაკლო, გარეგნუ-
 ლდაც ლამაზი. „ტანტალა ლეკუ-
 რი იყო ბუღარეს ლეკური“ (ხევი).
 მხოლოდ, მარტოდმარტო. „იქინე
 ტანტალა სალოცავი იყო. მი-
 დიოჯენ და წირეადენ“ (ხევი).
ტანში აშვებული-ი დამშვიდებელი. დაწ-
 ყნარებული. „ყველაი ცოცხალი და-
 გობრუნდა ეომიდან: ახლა კი ხარ
 ტანში აშვებული“ (ჩოხატ).
ტანჯი-ი ტანჯვა, შრომა. „დიდი ტანჯი
 მაქ ნახული ობლობაში“ (აც; ნ. ქეგლ
 ტანჯვა).
ტარაკვეცი-ი კლიტე, რომლითაც ხის ბოქ-
 ლომი (დათუა) იღება (შემ.).
ტაფა ბუბრის წინა მხარე (მახ.; შღრ. სა-
 ბა; ქეგლ).

ტელიორი-ი ტერორი. „ტელიორით ვე-
 ფერი მიქნეს“ (მაკ.).
ტიალი-ი ადგილი, სადაც მცენარე არაა.
 ირგვლივ ყველაფერი კარგად მოჩანს
 „ლუკაის ეხო სულ ტიალია: ერთი
 ძირი ხეი არაა შითე“ (ჭან; ნ. კ. გ.
 შარაშ; ს. ელ. ნ. ქეგლ).
ტიანა მიწისა გაძნელებით მიწის თხრა
 (კინა).
 „ტიკნიდენ და ტიკნიდენ ამ
 გზაზე მიწას, ვეფერს გახთენ“ (ს).
ტკვაშუი შუფი, წყლის ბუმტულები,
 რომლებიც წარმოიქმნება წყლის ძლი-
 ერი შერხევით. „წყლიდან ამოყრილ
 ტკვაშუმებზე ეტყობოდა, რომ
 მიდიოდენ ნავისაკენ“ (ე. ნინოშ.).
ტკვარი ორგანიზმზე წყლიანი მუნჯე-
 ბი. „სულზე კოლონას ნაქუნზე თეთ-
 რი ტკვარი დამაყარა“ (ლიხ. ნ. გ.
 შარაშ. ტკვაფში).
ტოგონი-ი ოთხკუთხედად გათლილი ხე.
 ზოგჯერ ხის გაუთლელ გადანაქერსაც
 ამ სიტყვით აღნიშნავენ. „ვოდააათი
 ტოგონი გავთლავ. თუ შვიდობით
 ჩაპევიტანე თოდან, თელი ვოდის პო-
 ლი და ლამფა კი მექნება“ (ნაბელ).
ტოლოშინობა მლიქნელობით უფროსის
 ირგვლივ ტრიალი, ლაქუცი. „უფროს
 რო დასდევს ხელქვეითი კულში და

ყოლიფერში ეთანხმება. ყოლიფერს უწოდებს. ეტოლოში ეწება. აია ტოლოში ეწება (შემ.: „მგონია, კარგა ვერ ვთქვი“).

ტომბოუო დამდგარი, გაყვითლებული წყალი (ნიგ.). გადატანით -- წამხდა-ლი. ცუდი (ღვიწი და მისთ. ნ. გ. შარაშ.).

ტომონი ჭაობი, ადგილი, სადაც ხშირად ღვას წყალი. „ბაილეთი ტომონი ადგილია“ (კონკკ.).

ტორი ორი ხელის კურპლისებურად შეერთება (მახ.: ნ. ი. გიგ.: შღრ. ქველ).

ტომება, ტომობა წყენა, მოწონება, გაოცება, გაყვირება. „კაცს რო ელოდი ვთქვათ, არ მუვიდა, გეტომება აეცილებლად ან. მავალოთად, კაცი რო მოკტება, იტყვიან -- მეტოშაო“ (შემ.).

„წამოი, ვოთახი ნახე (მეუბნება მე).

იქნება არ გეტომოს ღა“ (გუნ-კარ). „ყოველი კაცი ტომობდა, შარი ცოცხალი გადაჩა“ (ხევი).

ტრესკუტა ერთგვარი სარეველა ბალახია (შემ.: ნ. გ. შარაშ. ტრესკუდაი, ს. ელ. ტრესკუდა/ე-ი. ქველ ტრესკუდა).

ტრული ბრუნვა, ტრიალი, წრიალი. „ბიჭები ქეტრულიობდენ ცესთან თოლი ღამეი“ (მაკ.).

ტურაქანკა ისლეს სახურავის დასამაგრებელი ქოკი (მახ.).

ტყიურ-ი 1. ტყიანი ადგილი. „გაღმა რე ტყიურებია, სულ ყანიები იყო ძველათ“ (ნაბელ). 2. ველური, გარეული. „ვეუწალოლებელი კაცი ტყიურია“ (ქვაბ.).

ტულიზი, ტულიზი ტყიობი, ეღწაო (მახ.).

უ

უარება მოსდის (მოსავალი). „ოცი ფუთი ქაღი მთარება ნავეთში“ (გომი). ჰყავს, დაუდის. „ხუთი ქათმის მტეი აფერი მთარება ეზოში“ (ჩონხ.). ჩაუდის (სახურავში წვიმა). „ვერ იქნა და ვერ დაეხურე სახლი უარდა წუმა სახურავს“ (გომი).

უგერგლო ვისაც გერგლი -- ფხა, სიმარჯვე, მოხერხება არ აქვს. მოუქნელი, მოუხერხებელი: არც ავი იცის და არც კარგი. „უგერგლო კაცი ცხოვრებას ვერ მუიყვანს“ (ჭუმ-ბამ: ნ. ქველ).

უგეში „უგეში იგია, რე არაფერს უფროსი ვარ იცის და უნეროსი“ (ნატ., ნ. გ. შარაშ: ნ. ქველ).

უზანდარა იგივეა, რაც ვოზანდარა (ყვ.: ნ. ს. ელ.).

უზნოური უზნეო, მორალურად ცუდი ადამირალი. „უზნოური ბაღანი არ იბადება! უზნოურობას მკარე სტავლობს“ (ონქიქ.: ნ. გ. შარაშ: ნ. ქველ).

ა. ღლა: ნ. ქველ უზნეური).

უჯალონებს შეუხსრულებს. „ნუ მიკალონებს -- სე უმეხსრულებ. „ღმერთო, ჩემ წყველს ნუ მიკალონებს. მომიჩინე აი ბაღანე“ (ამაღლ.).

უჯანამინამ უენიდან. „უჯანამინამ მოუარა და ისთე თაართყა ჭოხი თავში“ (აკ.).

უჯანდებით კერა გვირისტო, ამოხეყვით კერვა (მახ.).

უჯანდოულა ადგილია ს. ხეუში.

უჯდავა ერთგვარი ბალახია, გრძელი ღეროებით გაუკერის მიწას, წიწვისებურთა მსგავსი ფოთლები აქვს (შემ.: ნ. ქველ).

უჯიდან უენიდან. იგივეა, რაც უჯანამინამ (ჭურყ).

უკინ უკან „გურეღლის კაცები უკინ გავაბრუნეთ და სიკტილიც შეუეთვალოთ“ (ს.). „უკინ ფერდი აქ გაღასარები“ (ქვაბ.).

უმაღე უმაღ, ადრე, ძველად. „მაი კი

იქნებოდა უმაღლე“ (ჩოჩხ.) პირველად. „გლები რო ქალს ითხოვდა უმაღლეზე ბატონის იყო“ (ჯუმ.). „უმაღლეში (ძველ დროში). გლების შეილი ასე ადვილათ ვერ წევიდოდა სტაელში“ (ს. ნ. ქეგლ უმაღლ.).

უმაღმდელი, უმაღდელი უძველესი, ადრინდელი. „ჩვენ სოფელში უმაღმდელი ნაშენი აფერი ყოფილა. უმაღდელი ამბავების მცოდნეც აღარავინ გადარჩა“ (შემ.).

უმიხით მის გარეშე. მისი ნებართვის გარეშე. „ასე ვამიგია: ბატონის უმიხით ქალს თუ ითხოვდი, დაგიპირვიდა, ავაკონვიდა ხეზე და ქცემდა“ (გომი.).

უნაზავა ხელიყისებურია, ყვითელი გულმუცელი აქვს. დიდი ხნით მიტოვებულ ქვევრში გვხვდება ხშირად (ჩხტი: ნ.გ. შარაშ, უნახველა).

უნკილი 1. მოუნჯარაშე-შეუწყავი. „უნკილი ხორცი რაფრა უნდა ქამო?! კი მოხარშულ და შემწვარ ხორცს აქ გემო“ (მახ.: ქვემოიშერ, უნდილი). 2. შვებაზე. ლაუმწიფებელი. „ბეურ ხიებში უნკილია ადესი“ (გომი.).

უნჯე საუნჯე, განძი. „ოჯახის უნჯე იყავი, ვითამ მქონდა ბანკში ფული“ (ასკ.: ნ.ქეგლ უნჯი).

ურევვენესი უმცროსი. უფრო პატარა ხნისა. „შენი ბაბაი ჩემზე ურევვენესია ათი წლით. მე მისი დაბადებაი კარქა მახსოვს“ (მახ.).

ურისხი ურიცხვი. რიცხვი რომ ვერ დაიტევს, ძალიან ბევრი. „ურისხი ხალხი მევიდა ბულარეს სატირალში. სულ გვიფსო ეხო“ (ხევი: ნ. ქეგლ ურიცხვი).

ურჩხობი ადგილია ს. შემოქმედში. „ურჩხობისკე შემოვხვეით, დევტრეთ ნასაკირალი“ (შემ.).

ურხანდი უნდო. „უსანდო კაცს ფული არ ესესხება, უსახლო კაცს ქალი არ მიეცემა“ (ს.).

უსახხიდლო უსასყიდლო, სასყიდლის გა-

რეშე. „ქალი ვიყავ აზნოური, გლების შელომა მითხუაო. ჯერ უსახხიდლოთ მეპყრობა (აქ კარგ მოპყრობას ნიშნავს), აწე თუ არ დამტყუაო“ (ასკ.).

უსტიობა დურგლობა. საზოგადოდ რაი მე ხელობა.

„უსტიობას ვენმობდი, ყოლიფერს ჩემი ხელით ვაკეთებდი“ (ჯურჯ.).

უსაქმები-ს რისამე ვაკეთებდას ავალუმს ან დაავალუმს. „აი ბლანას რასაც უსაქმეფ, ყოლიფერს გააკეთებს“ (ად.). „აფერს უსაქმეებდა“ (ს. ჯლ. 101. 8).

უსტობა იგივეა, რაც უსტიობა (მამ.).

უვალატობა ლალატის არჩადენა. ერთ-ველუმბი. „სამშა კაცმა უვალატობაზე შეფიფიჯეთ“ (მახ. მგზ. ს.ქ. 109).

უღელი ღორის კატეტი (მახ.: ნ. კ. ქეგლ).

უღელტეხილა ადგილია ს. ბეოლიეთში, უყალბო რაც ყალბი არაა, სიყალბე არ ახასიათებს. „სიმღერა კი ვიცოდა, უყალბო ზარიეთ ვრეკავდი“ (მამ.).

უშველევანი ძალიან დიდიები, დიდგონი. „აქანე უშველევანი ნიგუზები იდგა“ (თავკ.).

უშმოთებს-ს ჩხუმს აუტებს, ცოლ საქმე შეყრის. „იგინი რას გვიშმოთებდენ: მართალი ჩვენ ვიყავით“ (ერკა.).

უშუალი შეუვალი, გაუვალი. „ეს ადგილები ყოფილა ძველათ უშუალი რეე“ (ნაბელ.).

უჩაქალა შავი ქალა. „უჩაქალასა ნადირსა პირს შეუკრავენ და აღარ დააცილიან ქამასა“ (ქვაბ.: შელოცვიდან).

უძლები უძალი, უღონო, ავადმყოფი. „უძლები კაცია ქიშვარდი, იღვალდი კაცია საწყალი“ (ბე.). „ბიძამისი უძლებათ ყოფილა: თვალები დაფსილი აქ“ (ს.; შდრ ქეგლ).

უწილო ვისაც წილი არ აქვს, ან არ მისცეს. „მოაზე სახლი ქონდა; ძმებმა უწილოთ დამტრეს“ (ნიგ.; ნ. კ. ქეგლ).

უზიბაკებს ხიზაქს, ქონებას ართმევს. „აი დროი იყო, სახს უზიბაკებ-
ლა ქურდები და შუესტარით“ (ჯუმ.)
უჯანჯალა სამზარეულოს ცეცხლის სან-
თაბე ადგილის (შუაუცხლის) ზემოთ
მოთავსებული ქიმებიანი ხე, რომელ-
ზეც ჩამოკიდებულია ჯაჭვი (შემ.: ნ.
ოკინჯალა).

ფაზარა მახარა. „რათ წამოგისხამს შავი
ფაზარა“ (ერკ.)

ფაკელ-ი ლამპარი, ჯოხზე დაახვევენ ბამ-
ბას, მერე ნათით დაასველებენ და
ცეცხლს წაუკიდებენ (მამ.-ჯუმ.; შდრ.
საბა, ქეგლ).

ფაკლობა ლამპრობა. ფაკელების ან-
თების დღე. „ფაკლობის დღეი
არ გამემუპარებოდა ბაღნობას“ (მას.).

ფანატური-ი შენობის ირგვლივ ადგილი,
რომელსაც ფარავს კედლიდან სახუ-
რაუის გადმორჩენილი ნაწილი (მას.;
შდრ. საბა, ქეგლ).

ფარდი ტოლი, შემკული, შასტყვისი,
თანაზომიერი. „მოწა ჩამომართევს, მა-
რა ფარდი ნაკეთი კი მომცეს“
(შემ.: ნ. კ. ს. ელ. ა. ლა, ქეგლ)

ფარდის ქა გაყოფა. „დღიო ხანია მებე-
მა ფარდი ვქენით და თვისთ-
ვისათ დავსაბით“ (ჯუმ.).

ფარცაგი იგივეა, რაც ფარცაკი. „ფარ-
ცაგი აფერი მომხთარა. მარა ჩვენ
ქახამ გუდევირეთ, ასთე იცის მოტა-
ნილმა სიტყვამ“ (ამალ.).

ფარცაგი საყვირველი, საინტერესო, უც-
ნაური რამ. „ჩვენი კრება ფარცა-
კი სანახაი იყო: მითამ სიმიდს ვარ-
ჩედით ნამდვილათ კი ურადნიკის
მოკლის გეგმას ვაღვენდით“ (შემ.:
ნ. ა. ლა.).

ფაცური თეჯის დასაქერი დაღობილი
ძარი (ს. ნ. კ. ს. ელ., ფაცურა/ე. ი
ქეგლ).

ფაცური განძრევა, გარყევა, ტრიალი,

უჭდეზ-ა ეძლევა, ლებულობს. „ბარღს
ვკრებლით, მანეთი არ გვიჯდებო-
და დღეში“ (ყვირიკ.).

უჯომ-ს ურჩენია, მისთვის ასე სჯობს.
„უაშუაკობა გიჯობს, თუ ცოდნა“
(წითმთ.).

ფ

ფლა. „მურიამ ბეჯრი იფაცურა
მარა დამბული იყო და ვეფერი ქნაო“
(ლიხ.). „ფაცური ვერ ქნა“ —
ვერ გაინძრა: (ნ. ქეგლ).

ფაცხე-ი ბალახის ერთი სახეა. „ბერბუ-
შალა ბალახიო“, — გეითხრეს სუფსა-
ში (ს.).

ფაქა ფეტურის მიერ გაეთებული (აყე-
თებენ ხელოსნები) თაფლის მოსა-
თავსებელი უკრუდეები (მას.: ნ. ქეგლ).

ფახაცი შიში. „იმას კი მიეცა ფახა-
ცი“ — ძან შეეშინდაო (ბე.: ნ. ქეგლ).

ფენტელა თოვლის ფაჭვი (ლიხ.).

ფერაფერა მრავალწლიანი ბალახეული
მცენარეა. მისი ნაყოფის ფერს წარ-
ბების შესაღებავად ხმარობდნენ ძვე-
ლად ქალები (მამ.; ნ. ქეგლ).

ფერჯატეკალი ფერწასელა, გაფერ-
მკრთალებული. „ფერჯატეკი-
ლი გოგე ჰიჯერის წერით ფიცე-
ლობდა — კი ვნახე კობრი ყანა-
შიო“ (ბახ.).

ფესვიანი ქუდი კრავის ტყავისაგან შე-
კერილა მოგრობ ქუდი (ქვემოიმერ,
ბეჯრის ქუდი.) „მალამდი ფესვი-
ანი ქუდი იცოდენ. ახალი დაბადე-
ბული კრავის ტყავისაგან კარვიდენ“
(ჩოჩხ.).

ფეხამბარი მოციქული, წინასწარმეტყვე-
ლი. შუამავალი (აქ ხელმძღვანელი).
„ჩვენ კრებაზე ბათემიდან იარებოდა
ფეხამბარი. ყველაფერს იგი
გვიხსნიდა“. — ამბობს ერთი ძველი
რევოლუციონერი. (წითმთ.; შდრ.
ქეგლ. ფელ ამბარი).

ფებურლა გარეული ფრინველის ერთი სახეა. ზოგიერთები მას „უფუხუხასაც“ ეძახიან (მახ.; შღრ. ქველ. ვადატ-ლარობი).

ფეხებათ ძილება „იმან ჩემი ვაჟირევა ფეხებათ არ შიილო“ (ს) — იმან ჩემი ვაჟირევა ფეხებზე არ მოიცი-ღლა, არაფრად წაავლო.

ფეხმალა ფეხშიშველი. „მოწაფეობი ფეხმალა ვიარებოთ ძველათ სკოლაში“ (ჯემ.).

ფთა 1. ფრთა. „მავალმა-თავისი ძობი-ლი ძრთა შერბე ფთაზე და შორე სახეშიფიფოში გარაფრინდა“ (ლიხ.; წღაბ.; 2. შღა. „ხევაიფი ფთაზე თიბვენ თიბას“ (ხაბედ. ნ. კ. ულ. ფთა).

ფილი 1. ცილინდრისებური მოგზაბო ქვა. რიპლითაც როდინში საქაზს ნა-ფილენ (წღა; შღრ. ქველ). 2. ამოტო-ხილი ხე, რომელშიაც საქაში იწყე-ბა. როდინი. (ქვემო იმერეთში მას „ქვიჯას“ ეძახიან, ხოლო რითაც ნა-ფილენ. მას „ქვამანაყი“ ჰქვია. (მახ. ნ. კ. ქველ).

ფილის ქვა იგივეა, რაც ფილი 1. მარი-ლის თუ სხვათა სანაყი ქვა (ლანჩხ.; ნ. ი. გიუ).

ფინჩა ნამცეცი, ნაფხეენი (მამ.; ნ. კ. ი. გიუ; ქველ).

ფინჩალა იგივეა, რაც ფინჩა (მემ.).

ფირალობა ეწოდება: ერთ, როცა ფი-რალბი მომრავლდენენ. „ჩენნი საქ-მე შამინ ფირალობა იყო, სო-ფელში აღრ გვედგომებოდა. ტყეში გიარებოდათ და ისეთ ვიანაქილით თავს; აგი იყო ჩენნი ფირალობა“ (ნასაქ.; ნ. ქველ).

ფიტონი ბიტონი, ბეტონი, ხრემისა და ცემენტის დღეობი — „სახლებს ახლა ფიტონი გებოდა ღებუნ“ (ჯემ.; შღრ. ი. ჰყ.).

ფიტა (რუს) ასანთი. „ფიტაი და ნაე-ლი რუ არ იყო, კარტა მასსომს“ (ლიხ.).

ფინხაურა საღვინე ღვინო შერბე ნ. კ. ს. ულ. ფინხაური).

ფიცარის ურეპი — ძაბალი, კაბილოთ-კრებანი ვერები. „საქდე ფიცარის ურეპები ქონდენ. იგი ფიცარის გოგრბიანი იყო“ (ჯემ.).

ფიცრულა ფიცრულით აგებული შენო-ბა. მას უმარისპირთებოლა აქარვეა-ლი. „წინაწინ ფიცრულა სახლი ვრთს. არ ხონდა სოფელი. ყველაი ჩარველქში და კონახეშში ცხოვრობ-და“ (ქვაბ.; ნ. კ. ლ. ლომი; ფიც-რულა სახლი, შღრ. ქველ).

ფოთნა ხალხის ფოთრით რასამე სა-განგობოდ ძებნა. საგნებს სწრაფიოთ თავის შეყრა, შეყრება. ხელეობით ცხო-ველს მიერ თათობი) მიწისა და მისთ. ამოთხრა. „ძალმა მიწა ფოთ-ნა. ფოთნა და თავეი ვაშეყენა“ (ჯემ.; ნ. კ. ქველ).

ფოლი ცხოველს თვის გული, სლი-ქი, წიხლი. „ჩემი რაშის ფოლს მო-ვარტყამ“ (ფუნკარა; ნ. ქ. ქველ).

ფორჩიხი წვალემა, ცოდვილი, დიდი ვარჯით ცხოვრება.

„მანაობაში აქანე დეფრწყე ფორ-ჩიხი და თავსახოი. როვარც იყო. ჩემი შვილებიც აქანე ფორჩიხო-ბენ“ (ს. ნ. კ. ს. ულ. ფორჩიხი).

ფორო ფულფო. სიცარილე ხუმი ან სხვა რაიმე საფანში (ლიხ.; ნ. გ. შარაშ.).

ფოფრა შიშისაგან თმების ყალყუე და-ვობა. „ლორი რა წეწელებუბა ღორს, გეფოფრება ჩხელის ღროს იფოფ-რება მამალიც“ (ნატ.).

ფოქოკი ღორის ფიხი. ვადატ. ერთი ცო-ლი. „კირმა სულ ვაწყეიტა ქათამი, ერთი ფოქოკი არ ღატი“ (აც) „თხანს ფოქოკი არ გუეშვათო, — გამუანახადეს“ (ლანჩხ.; ნ. კ. ქველ პოქოკი).

ფოხავს ცოდოდ, ფშხოდ აშენებს რას-მე, წვალეობით აშენებს. „აი ჩემი მე-ზობელი ფოხავს სახს ლა კერ და-

ამოვარა“ (ლიხ.; ნ. კ. ს. ვლ. ფოხვა). მოფოხვა).

ფრაქტია პრაქტია, „ფრაქტია ვი-საჲ აჲ, თვარა ვინ ილაპარაკებს მასე“ (ხევი).

ფრიტა იგივეა, რაც ფრიტინა (ჩიხატ. ნ. ს. ვლ., გ. შარაშ ფრიტა).

ფრიტინა თევზის ერთი სახეა. პატარაა, არ იზრდება, ნაჯარდობს მღინარის მდორე ადგილებში (ს).

ფრუნტი ფერტი (მამ).

ფრცხილი-ფრჩხილი. „ფრცხილი-ბით გაეხადე კედელს ტყავი“ (ლიხ.).

ფუთქვა თქორვა. „ცოტა-ცოტას ფუთქვიდა, მარა ტალახი კი შეიქნა მაინც“ (მამ). „თელი დღეი ფუთქვიდა, დაესოდით და აგია“ (ჯუმ).

ფუნჩხი ნამცეცი (ნაგ).

ფურჩული ჩურჩული, ფაჩუნი. „ღამე იყო, ეზოში რაცხა ფურჩული მე-მეყურა“ (ს; ნ. კ. ლომთ).

ფუსუნველა კოლოს ერთი სახეობაა; იგივეა, რაც ფუცუნველა (ს).

ფუსუნა იგივეა, რაც ზეუქურა. „ცა, ფუ-

სუსაი ანთე, ჭურს მოვთხრი“ (მამ).

ფუტი 1. ბოლი, კვამლი. 2. კომლი, კერა. „ფუტი გაგვიცივდა“ (სურ.; ნ. კ. საბა. ს. ვლ.; ქეგლ).

ფუცუნველა კოლოზე უფრო პატარა მწერია. შემოდგომაზე გამოჩნდება; ძალიან ეტანება ყურძნის წვენს, ტკბულს (შემ.-ლიხ.). იგივეა, რაც ფუსუნველა.

ფუხარა ლატაკი (ასკ., ნ. თ. კიკ. ქეგლ).

ფუქუნა ძალიან პატარა. „ჩემი ძმაიერთი ფუქუნეი კაცია, მისი ვის შეეშინებოდა“ (ქვაბ).

ფსხალი იგივეა, რაც მხალი (შეშ.).

ფხაცი-ი ბალახეული მცენარეა. ბერბე-შელა ბალახი (მახ).

ფხეპი ვერცხის ნაშუპი (ნათ.; ნ. ქეგლ).

ფხიქუნა შეპლადგამოსულ სიმინდში მლოდავი შავი მწერი (მამ.-ჯუმ. ნ. კ. ს. ვლ.)

ფხუციანი ადამიანი, რომელსაც ყველა-ფერზე გული მოდის, ნერვიულობს. უსაფუძვლოდ ყვირის (ავ.; ნ. ს. ვლ. ქეგლ).

ჟ

ჭაიდელა უსაქმერი, მოსეირნე. „სოფელს თუ დუქვირდები, რაწიერი აღამიანები ცხოვრობენ. კი მიხთები; თელ ჩვენ სოფელში ორი ჯარგვალია. ორივეს პატრონი ჭაიდელაია—სხვია რომ მუშაობს. ავინი საგულაოთ მიდიან“ (ბახ; ნ. გ. შარაშ. ჭაიდელი).

ჭაიჯარა სოფელ საქორითავში (ხევის სას. საბუკო, ჩიხატ. რ.) სალოცავი ადგილი (ჭაი ჯარა—ქუთაის ჯვარა. იქ ახლაც არის ქვის ჯვარი).

ჭაიჯარობა „ჭაიჯარობა დღეობა იყო ს. საქორის თავში“ (საქთ.; ნ. გ. შარაშ. ჭაიჯარობა).

ჭალ-ბალანე ცოლ-შვილი. „ჭალ-ბალანე მოტაცეს ბერიკელას“ (ლიხ.).

ჭალთა შემოდობილი ადგილი მინდორ-

ში. საღაც საქონელს ამწყვდევინ. შერე შეიძლება საქონლის დასამწყვდევ ყოველგვარ ადგილს „ქალთა“ უწოდონ (გუნჯარი; ნ. თ. კიკ. ს. ვლ. ქალბა. ქველ ქართა).

ჭანდური (თავისა) თავის ქნევა. „თავის ქანდური თ დიქაძნა ელპიტაი გოგისა“ (ბახ).

ჭარ კი არ. „აი ფირალი ქარ მოუყვანია სახში“ (ლიხ.). ეს ნაწილაკი მოულოდნელობის ან განცვიფრების გამოსახატავად იხმარება.

ჭარახს-ი ყანწი საქონლის რქისა (ს; ნ. კ. ს. ვლ. ქეგლ).

ჭარჩხიანი კაცი 1. ცბურწმუნით ადამიანი, რომელსაც დაბადების თანდაყოლილი ბადე აქვს. იგი იცავს მას ყოველგვარი განსაცდელისაგან. ყო-

ველვის ბედნიერება მოაქვს მისი პატრონისათვის. 2. კარგი სიტყვა-

პასუხის მქონე ადამიანი (მახ.). 3. გამთვალავი, სხვაზე ვნების მიმყენებელი (მამ-ჭუმ.; ნ. ქეგლ; ნ. გ. შარაშ. ქარჩხი).

ქაფშია ხამსა (ს).

ქაშაპი-ი თევზის ერთი სახეა. ბინადრობს მდინარის მდორე ადგილებში (ს; ნ. ს. ჟღ. კ. ქეგლ).

ქაჩაჩი-ი ცხენის ფეხის გრძელი ბალანი და თვით ის ადგილი, სადაც ეს ბალანი იზრდება (მახ.; ნ. კ. საბა. ქეგლ).

ქენტერა მსუბუქი ჭკვის ადამიანი (მამ-ჭუმ.).

ქენჩერი-ი მუცელი, ღიბი. ჩემო მიხელანთაჲ. გადმოგიშვია ქენჩერი“ (ასკ.).

ქენჭერა იგივეა, რაც ქენტერა (სურ.; შღრ. მ. ალაფ. ქენჭერი).

ქერაზი-ი კრაიტი (გომი; ნ. ს. ჟღ. ქერაზინდი).

ქეტო ქატო (მამ-ჭუმ.).

ქეშელი-ი სირბილის გამო აჩქარებული სუნთქვა. „მირბის გორაზე და ქეშელობს. ენა წამოუვარდა პირიდან“ (მამ.; შღრ. ქეგლ, საბა).

ქეშელამოვარდნილი-ი აქეშელბული, ქეშელი რომ აუვარდა, სუნთქვააჩქარებული (ჩოჩხ.).

ქეჩონა ზღაპრის გმირის სახელია. „იყო ერთი ბადიში. სახელათ ქეჩონა ერქვა“ (ბახ).

ქეცეცი-ი ფხა (ნიობ., ნ. ქეგლ ქეცეცი).

ქეციმერე ადგილია ს. ბეოლიეთში.

ქვა მარბილის სანაყავი ქვა. ეს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ საოჯახო ხმარებაში და არა ყოველთვის (ს).

ქვანთქარი-ი ხონთქარი, სულთან, მეფე (ოსმალეთისა). „ამ აშბავმა ქვანთქართან მიაწია“ (ქვაბ.; ნ. ქეგლ ხონთქარი).

ქველი-ი ქვედაური. ქვედა მხრისა „ქველი ული გოგო მხავდა“ ნაბელ. „ნაბელაეს ქველი ული-

ბი სხვანერათ ლაპარაკობენ—სიტყვას გააგრძელებენ“ (ხაბელ).

ქვერულე ქვერულე. ცოტა ქვემოთ. „ჩვენს ქვერულე იყო ვალესია“ (შემ.).

ქვეყნისდონეთ-ი ქვეყნისოდენი, ძალიან დიდი ან ბევრი. „ყოლქტოვში მე ქვეყნისდონეთი დღეი მაქ ნამუშეირი და სიაში არ ვარ?“ (შემ.).

ქვეშემაღვე ურმის ხელნების შესაყენებელი ხე (ქვემოიმერეთში მას „კონკილას“ ეძახიან (სურ.).

ქი დასტურის კი. „აგი ჩემთიზა ქი იყო კაი“ (ლიხ.; ნ. ი. გიგ.; ს. ჟღ.).

ქიაფი-ი ასანთი (მამ.).

ქილა მარცვლეულის და მისთ. საწყაო — ერთი ფუთი (ასე ვაკვიმარტეს). „ვოცი ქილა სიმიდი მირება — ოცი ფუთი სიმიდი მომდის“ (გომი. ნ. ს. ჟღ.)

ქილიში-ი სახლის ის ხეებია, რომლებზედაც ზევით კურია აქედებული, ხოლო ქვეით—აბაკი დაგებული. „ქემო იმერეთში ამ ხეებს „კოკებს“ ეძახიან (მამ-ჭუმ.; ნ. კ. გ. ბერ. ს. ჟღ. ქეგლ).

ქირიმი-ი სძიებელი „ქირიმში ჩასელია“ — სძიებელში ჩაყვა (მამ.; ნ. გ. შარაშ. ქირიმში ჩაყოლა).

ქლათ მთლად. „ქლათ გაკეთებულა მაგის საქმე“ (ონქიქ.; ნ. ს. ჟღ. ქლა).

ქმარზე იარება-ა ქმრისათვის დადის, ქმარს ეძებს. „ცა, ყოლიფერი დღეი მახარაქში რო დადიხარ, ქმარზე ხეარ იარებნი?“ (მახ.).

ქნივ-ს იზამს. „წამოსლას არ ქნივს, თვარა მე ბზათ ვარ“ (ს).

ქნილა-ი ყოფილა. „ასე ქნილა აი საქმე“ (მახ.).

ქონალბობა ლობიოს ერთი სახეა (ნატ.; ს. ჟღ.).

ქორთუხი-ი ხის გადანაკერი მორი, ოთხკუთხედად გათლილი ან გაუთლელა. მაგარტე კანცელილი (მახ.; ნ. კ. ს. ჟღ., ი. გიგ., ა. ლ., ქეგლ).

ქოყანა ქვეყანა. „როგორც სხვაი ქოყ-

ნებში, ისეთ არ იყო ბატონოსო.
ჩვენში" (ს. არ ვეკეს „ჩვენის“ მა-
ვივრად „ჩონი“!).

ქოჩახურე ადგილია ს. გრეცენი
ქონისა პატარა ხბოს ვასიან (ნ.ხ.).

ქრივი-ქერივი (ყვ.).

ქუ(რ)დუღობ-ს იპარავს. „ათათრი ქერ-
დუღობდა ჩვენ ხალხს“ (ჭან.).
„ყანაში სიმინდს ქუტრუღობდა.
საკარიაში — ქათამს. დევიქირვიღენ.
აბა რას იქთენ?!“ (ს.).

ქუნთელა გოგარს შიგნითა მარკვლანი-
ნი ნაწილი. „ყახის შიგნით რომაა,
იგია ქუნთელა, როგარ იცი“ (ს.
ნ. ჭეგლ ქერთლა, გ. შარაშ. ქერ-
თელა).

ქუნც-ი ნ. ქურცი. გეინძლი (ჩოხატ.).
ქურთელა იგივეა, რაც ქუნთელა (ბახ-
ს. ნ. კ. გ. შარაშ.).

ქურთულ-ი თურქული. საქონლის ფხე-
ბისა და საღეკი აპარატის ერთგარს
ავადყოფობაა, გაღადის აღამიანხეკ
(სურ.).

ქურცხ-ი ეკალ-ბენქნარი. „გეიარეს
ქურცხი ტყეი და დეინახეს სინათ-
ლი“ (სკე-ბახ).

ქუნჩი სიმინდის ტაროს საფარველი.
„ქუნჩნაით გავსებული ლეხი მიც-
შითათ“ (ჭუმ.; ნ. ჭეგლ ქუნჩერი).

ქუნხა (რუს.) სანსალი, სანსარველო
(ლანჩხ.).

ღ

ღალღ-ი მოშვებელი. მოღერებელი.
„ღალღათ შემხივე, თვარა მეტ-
კინება“ (ნასაყ.; ნ. გ. შარაშ.; შდრ.
გ. ბერ. ღალღათი).

ღანი-ი წვიმის ან თოვლის შეჩირება (შე-
სუსტება დროებით): წყლის დინების
შეწყვეტა. „წყალი რომ იღანირებ-
და, ერთი წვეთი არ დადვებოდა“ (ს.).
წყლის სიღრმის დაკლება. „სუფსამ
ერთი მეტრი იღანირა: ახლა ბა-
ღანეც ქე გავა გაღმა“ (ს. ნ. ს. ჟღ.
ჭეგლ ღანილი).

ღანე-ი ქონებრივი შესაძლებლობა. „ქა-
ლაქში სახლის ყიდვას ჩემი ღანეცი
ღერ ასწევს“ (მამ.-ჭეგა.).

ღანტი-ი ძალა, ღონე. „თელი ღლეი ვი-
არბოლი ისეთ დევიღალე, ღანტი
არ მქონდა“ (ს.). ზოგჯერ იგივეა, რაც
ღანეცი.

ღანქია ძალზე გამხდარი და ფიზიკუ-
რად სუსტი აღამიანი. „მაგისტაა
ღანქიპას თავისი ციკაი ვაატა-
ნოს, მე როვა გამიბედა მაგის თქმაო“
(ხევი. ნ. გ. შარაშ. ღანქიაი, ნ. ქეგლ.
ნ. ს. ჟღ. ღანქიპორა/ეი).

ღარდა მიუვალი ადგილი, ხშირი ეკალ-
ბარდით დაფარული კლდე-ციცაბო.

ზოგჯერ საქონლის ჩასამწყვდევსაც
„ღარდას“ ეძახიან. „შესაძლებელი
იყო შენა მხოლოდ ღარდებში
და ტყეებში“ (მამ.-ჭეგა. ჟღ. 108).

„საყოლი ღარდაში შეყარე და მ-
ლე თითო“ (ნას. ნ. კ. გ. შარაშ.
ქეგლ).

ღარ-კოღალი-ი მშვილდ-ისარი. „ღარ-
კოღალით ჩხები რომ იცოდენ. მა-
შინღელია ელოთის ციხეი“ (ლის.).

ღარქა-ი ვიწრო, ჩადრმკეხებული. დაბა-
ლი, მიუვალი ადგილი. ხევი (სურ.).

ღერწი-ი ღვინის სასმელი ხაპის (კეღის)
ყუნწი, საზოგადოდ რისამე ტარი (ს.
ნ. გ. შარაშ.; ქეგლ).

ღვანღალი წყალში ნელი ცურვით ნე-
ბიორბო (ჩოხატ. ნ. ქეგლ. შდრ. ს.
ელ).

ღვაქივა ბაყაყი (ს.): მწვანე პატარა ბა-
ყაყი, ხეზე იცის (მამ.).

ღვიერო დადარე, ტეხილანი ნავარი
(შუმ.; ნ. კ. ჟ. შარაშ.).

ღვინა-ღვინა ბალახეული მცენარეა ტყი-
სა (ჩოხატ.; ნ. ქეგლ).

ღუნეულ-ი გრქნეული (?). „ალა-მარა,
ლალა-მარა. ელაბოდე ღუნეულ-
სა“ (ერკ.; შელოცივიდან).

ღაწა სუსტი აგებულებისა და უძალი ხმის პატრონი (ნიგ.).

ღინჯილი- ხანგრძლივ მუდარა, თხოვნა (იან; ნ. გ. საოაშ, ა. ლა; ქველ დინჯილი).

ღირცვა დავასება, შეშინება. „ვინც ვერ ღირსავეს ახლანდელ ცხოვრებას, იგი ვეფერს გვიგებს ქვეყანაზე“ (ს).

ღლაბუცი- ღლაშუცი. პირმოთხოვით სუძრობა (მახ.; ნ. ქველ).

ღლატუნ- ი ტყე-ღრეში წვალეებით სიარული „რეიზა ასთე უნდა იღლატუნით, ვას გზას გასტავლი“ (ერკ.).

ღლაფუნ- წყალ-ტალახში ან თოვლში დაუზოგავად სიარულით გამოწვეული ხმა. ამგვარ პირობებში სიარულსაც „ღლაფუნს“ ეტყვიან. „ვზი თოვლი და წყალი, სულ ღლაფუნით მივდივარ“ (ნაბელ).

ღლაწუნ- „ღრეში ღლაწუნით მიდიოდა“ — ურემი კრიალით, ხმაურით, ხრიგინით მიდიოდა (ს).

ღლიტინ- გამაღებელი სირბილი, მოუსვენრობა. „რეიზა არ მოქწყინდა თელი ღლიტინი, ფუხები მაინც არ გეტყინა?“ (სურ).

ღობერა ღობე. „ველსიის ქეიები ახლა კოლექტივის ეზოს ღობერათაა გაყოფილი“ (ქვაბ.; ნ. ქველ ღობერი).

ღობერი იგივეა, რაც ღობერა (ლიხ).

ღომისღომ- ღომის მცენარის მარცვლებისაგან დამზადებული ღომი. ზოგჯერ ამ უკანასკნელსაც „ღომისღომს“ ეძახიან (სურ.; ნ. ს. ჯღ. ქველ).

ღონქოპო კაკლის (ნიგეზის), თხილის, წაბლის და მისო. გარკანი, ვერცხის ნაჭუჭი (სურ.; ნ. გ. შარაშ. ღონქოპო).

ღორის იაღონ-ი გათენების ხანი (მახ.).

ღორჭო ერთგვარი მსხვილთავა თევზია. (ნასაყ.; ნ. ს. ჯღ.).

ღოჩე სახლის გვერდითი ფიცრების შეერთების ადგილი. გარეთა კუთხე. სახლის კუთხეში მიჭედებული საკმლის შესახავეი პატარა ყუთი. ღოჩე ქველდებრივ სამხარეულშია (ყვ.; ნ. კ. ქ. ლომო, ა. კიკ, ს. ჯღ, ღლა ქველ).

ღრაყუს- უშიზნოდ სიარული (ქემ., ნ. კ. კ. შარაშ, თ. კიკ, ქველ).

ღრანჯვა გაპრუდება, სწორი მამართულებიდან გადახვევა. „სტორათ დეიკაჲ, სუ ღრანჯავ ხერსს“ (ყ., ნ. ქველ).

ღრანჯი ქვედა ყბა. „მასანა ამუარტყა ღრანჯში, ნიკაი ორათ გუქხეთქა“ (ერკ.; ნ. ქველ).

ღრეპი ღვლევი, დაგრეხილი წნელი (შემ).

ღრიანე ღრიკო, ოდნე გაღებული. უმეტესად კარების შესახებ იტყვიან (მამ. ჯემ).

ღრიანე- ნედმეტსმიანობით მეტყველება. გამოუყვეთელი ხმით ლაპარაკი. „მისი ღრიანეების ვეფერი გეაჲ“ (შემ.; ნ. გ. შარაშ, ქველ).

ღრისკა იგივეა, რაც ღირსვა. „ჩვენი კოლექტივის თაემგდომარე კი ღრისკავს კი მუშებს, კოლექტივში ვარ მუშაობს, რაპატივი უნდა ეცს“ (ერკ.).

ღურღუთ- ღრმა ღურღუთი წყალი — ღრმა წყალი, ღურღუთი ტყე-დაბურტული, გავეალი ტყე (მამ.; ნ. ა. ღლა ქველ).

ღურჭუმეღა პატარა ღრე, მატლის გამოსრული ადგილი ხისა (მამ.-უმ., ნ. ქველ).

ღჭა ჯღა. ქიმებიანი სარი (მახ.). 2. საქონლის რქა (მახ.).

ყ

ყა ნაწილაკი, დაერთვის განსაზღვრებით ნაცვალსახელს „ყველას“: „ყველაყაი კარქა ამოუწერია“ (ს).

„მაგანებს ტყვეთ წვეიყვან ყველაყას“ (ჟან).

ყადაღობა მოხერხება, უნარი. „მავის გა-

კეთების ყაღაღობა არ ქონდენ
მაგნებს= (ხევი).

ყადრი ფასი, დაფასება, ღირებულება.
„ხალხს რო წარე არ შეხთება, გემ-
რიელის ყადრი არ აქ მერე“ (ქან;
ნ. კ. ქველ).

ყაზვი ბანაკი. „ტრის ყაზავში შევი-
და, მუსრი გაველო“ (ქვებ).

ყაზლა მატყლის ძაფი (ლიხ).

ყარათი-ი ქონება, შესაძლებლობა, უნ-
არი. „თურქებს აპარლებზე დახმარე-
ბის ყარათი არ ქონდენ“ (ნაბელ;
ნ. ქველ).

ყაიში-ი ქამრის ერთი სახე იყო ძველად
გურიამი (ნ. ს. ელ).

ყაღბი ცუდი. რაიმე საქმეში ყაღბის
შეხვედრა ნიშნავს გატულებას—„ხე-
ლის წასვლას“ (ნადირობისას წარუ-
მატებლობის შემთხვევაში იტყვიან
—„ყაღბი შემთაო“) ყაღბის ახს-
ნა—ხელის მობრუნება, ხელის ახს-
ნა (შემ; შდრ. ქველ).

ყანობა ყანის მუშაობა. „ჩვენ ვყანობ-
დით და გურიელებს მოსაეაღს ვაძ-
ლევდით“ (ჭურყ.). „აქანე ვყანობ-
დით, ცხოვრებით, ქვეით ვცხოვრობ-
დით“ (ქვებ).

ყანულობა იგივეა, რაც ყანობა. „ზო-
ტიპურიაში ვცხოვრობდით, მარა აქა-
ნე ვყანულობდით“ (ზოტი).

ყაყაბა იგივეა, რაც ღვაკიბა. პატარა
მწვანე ბაყაყი (მამ; იგივეა, რაც ვა-
საკა ნ. ქველ).

ყარაო ვაწარახი (მახ).

ყაფაღლი-ი თოფი, ძველებური თოფის
ერთ-ერთი სახეა (გომი).

ყაში-ი იგივეა, რაც ყაიში (მამ.—ჭუმ).

ქამარი ტყავისა.

ყბად ქცევა სხვისი ნათქვამის თუ მოქ-
მედების უსაფუძვლოდ გაიციხვა, და-
ცინვა. „შენ ყბად რას მიქცევ ნათ-
ქვამს. მასე რო ჩივი, მიი როვა შეიძ-
ლება. ყბად ქცევა დიდი უზღი-
ლობაა“ (მთის.).

ყბაჩონგურა ისაა, ვისაც ყბა ჩონგურს

მიუგავს. ეძახიან ყბამოკეულსაც
(სურ).

ყელწია ყელწითელი. გულწითელი ჩიტი
მამ.-ჭუმ.) ჩვენში ზამთარშია. ზაფ-
ხელში მთაში გვიწახავს (ნ. ს. ელ. ნ.
ქველ ყელწითელი).

ყვავისტყემალა ეკლიანი ტყის მცენარის
ერთი სახეა. წითელი მარცვლები იცის.
ხაყოფი არ იჭმება (მამ).

ყველა ყოველ. „ყველა დღე“ — ყოველი
დღე, მუდამ. „ყველა ხუჩაფათს აქა-
ნე ვიარები“ (აც).

ყველაყა ყველა, სუყველა. „მეფემ ვეზი-
რები ყველაყაი დეიპატიეა. რო
ისადიუნ, ყველაყას საჩუქრები
დღურეგა“ (ასკ; ნ. ქ. ლომთ).

ყველესუმალი-ი ყველაზე ადრე პირვე-
ლად. „ყველესუმალი მე დავა-
არსე კოლექტივი“ (ს).

ყველიფერი ყოველ „ბათუმში ყველი-
ფერი დღეი ვიარები“ (მახ). ყვე-
ლიფერი წელიწადი კაი მუა სიმი-
დი, მარა სუფსის საყანულებს სხვა-
ნიერი დამუშავება უნდა“ (ს).

ყია ყელი, ხახა. „მოხდა ყიასა,
გუულლიტა ყია“ (ერეკ; შელოც.
ნ. ქველ).

ყინტორია 1. კისერწავარძლებული. 2.
ცივი. ყინტორია წყარო — ძალიან
ცივი წყაროს წყალი (მახ; ნ. კ. საბა
— ყინტორი, გ. შარამ. ყინტარო,
ქველ). 3. ყინტორია ქათამი — უბუ-
ბლოკისრიანი ქათამი (მამ.-ჭუმ).

ყინჩვა ვინმესაკენ მუქართა და კისერ-
გაქიმით უტეხად გაწევა (მახ; ნ. კ.
ქველ).

ყიყვზე მიყენება დამთავრებამდე საქმის
მიტანა. „ბეური ინწვალა, მარა იი
ძნელი საქმე ყიყვზე მიაყენა —
ხურვას მალე დეიწყებს“ (ნაგ).

ყიყვზე მიყენებულ-ი რაც მალე დამ-
თავრდება, ცოტალა უკლია დაწყებუ-
ლი საქმის დასრულებას (ჩოხტ).

ყლამტი წვეთი. „ერთი ყლამტი ღვი-
ნო არ მაქ“ (ჭურყ., ნ. კ. ქველ, ა.
დლ. ყლანტი).

ყმარწვილი-ი ყმარწვილი, ახალგაზრდა (მახ.).
ყმაყოფილობდა-ი ყმაყოფილდებოდა. „სა-
ქონელი კი ყმაყოფილობდა ბა-
ლახით“ (ჩოხხ.).

ყმედ-ი ახალგაზრდა. ბავშვი. ყმელი
ვიყავი და მეტი არ მესმოდა, თუარა
კი ვისტავლიდი რაცხას“ (ამალღ.).

ყოღონი ყოველი მსრდიან. „ყოღონი
ქარი შამოდინდა ჩვენ სახში“ (სურ.).

ყოლი-ი ყოველი. „ყოლი კაცი კვირობ-
და“ (ხევი).

ყოლიფერი-ი იგივეა, რაც ყველაფერი
(ნავ.; ნ. ქ. ლომთ.).

ყოლობს აყოვნებს. აგვიანებს, დროს
კარგავს. „წადით დროზე, ნულა ყო-
ნობთ“ (კონკვა).

ყორყანტო ყელ-კისერი (მახ.).

ყრა ჩაღისა ჩაღის დაზეინვა. „მე და
ჩემი რძალი ჩაღას ვაყრიდით“
(ჭურყა).

ყრიალი-ი (ყვრიალი) ჩაყურყუმალემა.
სითხეში ერთბაშად რისამე ჩაძირვა.

„ამ ქურდმა ყრიალი მეატანა და
ქე ჩეიყლიპა კვპრში“ (მახ.).

ყრუვდება-ი ისპობა. იშლება. ჩეეულბ-
რიე წყლის დაშრობაზე იტყვიან: კა

დაყრუვდა, საყივი დაყრუვდა
(ერყ.).

ყუღურო სადაც წვიმა არ ჩამოდის და
ქარი არ ხედება. ყოველშხრივ წყნა-
რი ადვილი. „მყარყველებმა თქვეს:
აქანე ქარი და წვიმა სანთელს არ
გავვიჩერებს, წყვიდეთ სადმე ყუ-
ღუროში და იქინე გვიჩიროთ აი
ფულიო.“ იგივეა. რაც ყუღრო (აყ;
ნ. ქავლ ყუღრო).

ყუმური-ი „ფაცხას ცეცხლი მუჟიდეღს,
გარე გამოი ყუმური“ (ღიხ.).

ყურება ხედვა. სმენა. მყურება—
ხედავ, ვისმენ „ყურს არ მეყურე-
ბა, თვალს არ მეყურება, რაღაია
ჩემი სიცოცხლე“ (უბ. შდრ. ქავლ).

ყურყუმა შავი. ბნელი (ჩოხხატ)

ყურყუმალა იგივეა. რაც ყურყუმა,
ძალიან შავი. ბნელი (შემ.; ნ. ქავლ
ყურყუმი, ყურყუმა).

ყურყუტი-ი დიდხანს ცდა. „თელი დღეი
ვიყურე ყუტი. მარა ღირექტორის
მოსლას აფერი ეშველა, ვარაქყაული
წამევედი სახში“ (სურ.; ნ. კ. ს. ჯლ.
ყურყული: ქავლ).

ყურყუმულღ-ი ნაჭრებიანი, ბელყაიშია-
ნი ქამარი (მახ.).

შ

შავგულა 1. ერთგვარი ბალახეული მცე-
ნარეა (მახ.). 2. ხარბი: აღამიანი.
რომელსაც სხვისი კარგი შურს (მახ.;
ნ. კ. ქავლ).

შავკალა ბალახეული მცენარეა. შავ
მარკლებს ისხამს. ნაყოფი არ იქ-
მება (ჩოხხატ.; ნ. კ. ქავლ).

შავმოლა ბალახ. მცენარეა (ერყ.; ნ. კ.
ქავლ).

შავროზა შავი და უღამაზო აღამიანი
(ჩოხხატ.; ნ. კ. გ. შარაშ. შავროზაი).

შათირ-ი დაშნა (ჩოხხ.; ნ. კ. გ. შარაშ.
შდრ. ქავლ).

შამბალა შამბალა. ბლის ერთი სახეა (აყ.
ნ. ქავლ შამბალა).

შამყოფვა შამიოზულდეა, გარემოცვაში

მოქცევა. „შეიარაღებულემა შამო-
ყოფეს აი ფაცხა“ (აყ.).

შამუუსლედი-ი მიუეალი. უგზო. „საქო-
რისთავი შამუუსლედი სოფე-
ლია. ვზაი სულ არ აქ“ (საქთ.).

შან-ი შანის მოგება—ნიშნის მოგება.
სხვისი ცული შემთხვევის გამო სი-
ხარულის გრძნობის გამოხატეა, მო-
წონება, დადასტურება: „ალაღია რაც
მოგიედაო, რომ არ დამიჭერე, ასე
მოგიხდებაო“ (მამ. ნ. ქავლ).

შან-ი ფშანი. დიდი მდინარის დაქაო-
ბებულ პატარა განაკადს (ასეთი შე-
იძლება რამდენიმე იყოს) „შანს“
ეძახიან.(ჩოხხ.).

შარახვეთია უსაქმური, ქუჩა-ქუჩა მოხე-

ტილუ: თამაში, ურიდი. „მისხანა შა-
რახევეტია გოვოს სახში ჩალო
ვერ შამეიოვან: ოჯახი ღემენგრევა.
ქს აფერა მომრანს ძაგ“ (მახ.: ს.
კ. ქეკლ).

შატრამი-ი შატრის შატრის მცენარეა, რე-
ზანი ს. შატრამი.

შაფანური აფილია გომის ახლოს. „შა-
ფანურ რუქ ყალური დეიუნეს თათ-
რამა“ (გომი).

შატრამი-ი ირევა, რაც შატრამი ---
რეპანს (მახ. ნ. გ. შარაშ. ნ. ქეკლ).

შეზავებული-ი სიმწიფეში შესული, შე-
